# საქართველოს რესპუბლიკა

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

კვირა, 14 დეკემბერი, 2003 წელი
№336 (4715)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი.

## ინფორმაცია

### ზურაბ ჟვანია ბათუმს გაემგზავრება

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერთან ასლან აბაშიძესთან მოლაპარაკების გამართვის მიზნით ბათუმს გაემგზავრება, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ.

მისი თქმით, ბათუმთან კონსულტაციები აუცილებლად გაგრძელდება და საჭიროების შემთხვევაში არ არის გამორიცხული, ის ასლან აბაშიძეს თავადაც კიდევ ერთხელ ეწვიოს. იმედი მაქვს, რომ კომპრომისის მიღწევა მოხერხდება, – აღნიშნა ბურჯანაძემ.

### იგორ გიორგაძეს უარი უთხრეს

გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს უშიშროების ყოფილ მინისტრს, ინტერპოლის მიერ ძებნილ იგორ გიორგაძეს ქვეყნის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობაზე უარი უთხრა. ამის საფუძველი გახდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მას საქართველოში არ უცხოვრია.

### სამხედრო თანამშრომლობა – ახალი ფორმატით

საქართველოს თავდაცვის მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე აცხადებს, რომ „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის დასრულების შემდეგ საქართველოსა და ამერიკის სამხედრო თანამშრომლობა სხვა ფორმატით წარიმართება.

თანამშრომლობის შემდგომ ეტაპზე პრიორიტეტი ნატოს სტანდარტებზე გადასვლის მიზნით თავდაცვის სამინისტროს მე-11 მექანიზებულ-მოტომსროლელი ბრიგადის საბოლოო რეორგანიზაცია იქნება, დაიწყება აქტიური მუშაობა შტაბების მართვის დახვეწის მიზნით და განხორციელდება გენერალური შტაბის საბოლოო რეორგანიზაცია.

ინტერ-პრესი.

## ქართველი ხალხის სახელით

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამს აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის გარდაცვალების გამო.

„ჰეიდარ ალიევი გამორჩეული ადამიანი და საქართველოს დიდი მეგობარი იყო. მე ქართველი ხალხის სახელით სამძიმარს ვუცხადებ მის ოჯახს, შვილს და აზერბაიჯანელ მოსახლეობას, – განაცხადა გუშინ ნინო ბურჯანაძემ, რომელიც ბაქოში ჩავა და ალიევების ოჯახს პირადად მიუსამძიმრებს.

## აჭარა

# ქართულმა ჯარმა წვრთნის მესამე ფაზა წარმატებით დაასრულა






დასრულდა ამერიკის „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის მესამე – დელტა ფაზა. ამჯერად, სამხედრო სწავლება წარმატებით გაიარა თელავის მსუბუქი ქვეითი 111-ე ბატალიონის შემადგენლობამ. სწორედ ამ მოვლენას მიეძღვნა 13 დეკემბერს თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე გამართული აღლუმი, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე, სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია, თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ჩვენს ქვეყანაში აკრედიტებული უცხოელი დიპლომატები და სამხედრო პირები.

ქართველ ჯარისკაცებს წვრთნის მესამე ფაზის დასრულება მიულოცა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მდივანმა მამა ზაქარიამ, მათ საბრძოლო დროშა გადასცა და დალოცა სრულიად საქართველო და ქართველი ჯარისკაცები.

ამერიკელმა ინსტრუქტორმა, მაიორმა უესტერნმა მაღალი შეფასება მისცა ქართველი სამხედროების მომზადებას „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ფარგლებში და განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავაც გააგრძელებს აქტიურ თანამშრომლობას საქართველოსთან სამხედრო სფეროში. მას მიაჩნია, რომ ორი ქვეყნის ამგვარი თანამშრომლობა პარტნიორობისა და მეგობრობის მყარი საფუძველია. **„მე სიამოვნებით გავყვებოდი ასეთ ბატალიონს ნებისმიერ ბრძოლაში"**, – განაცხადა მაიორმა და წარმატება უსურვა ქართველ და ამერიკელ სამხედროებს.

ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში რიჩარდ მაილსმა აღლუმის მონაწილეებს მიულოცა წვრთნის მესამე ფაზის დასრულება და აღნიშნა, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველო მარტო არ არის. **„თქვენ ბევრი მოკავშირე და მეგობარი გყავთ, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატები"**, – დასძინა ამერიკელმა დიპლომატმა. როგორც რიჩარდ მაილსმა თქვა, დღეს საქართველოში იმყოფება ამერიკელი სამხედროების ახალი ჯგუფი, რომელიც „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის შემდგომ ფაზას გააგრძელებს. ეს ჯგუფი შედგება სამხედრო-საზღვაო ქვეითებისა და მეზღვაურების, ასევე საჰაერო ძალების ოფიცრებისაგან. ამის საფუძველზე კი ქვეყანაში მალე შეიარაღებული მექანიზებულ ჯავშნოსანთა ჯგუფი შეიქმნება.

ელჩმა ილაპარაკა ქართველი ჯარისკაცების მომზადების მნიშვნელობაზე და განაცხადა, რომ საქართველოში არსებული პრობლემების მიუხედავად, ქართულმა ჯარმა დაამტკიცა – მას ძალუძს ნებისმიერი წინააღმდეგობის გადალახვა. **„სწორედ ასეთი ჯარისკაცებით დაკომპლექტებული 70-კაციანი ჯგუფი ამჟამად ერაყში მსახურობს, სამომავლოდ კი, დაგეგმილია 500-კაციანი ბატალიონის მივლინება ამ ქვეყანაში"**,– აღნიშნა მან.

იხ. მე-2 გვ.

## სამძიმარი

### აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს, ბატონ ილჰამ ალიევს

ძვირფასო ილჰამ ჰეიდარის ძევ,

მწუხარებით შევიტყვე უდიდესი პოლიტიკოსისა და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის, აზერბაიჯანელი ხალხის სასახელო შვილის, ჩემი დიდი მეგობრისა და თანამებრძოლის ჰეიდარ ალიევის გარდაცვალების შესახებ. მე და ჰეიდარ ალიევს ოცდაათწლიანი მეგობრობა გვაკავშირებდა, მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ ორი ადამიანის პირადი ურთიერთობა. ამ ურთიერთობამ აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების სამუდამო მეგობრობასა და ძმობას ჩაუყარა საფუძველი და მე ამით ბედნიერი ვარ.

თავისი ერის ბრძენმა წინამძღოლმა პოლიტიკური კარიერაც ასევე ბრძნულად დაასრულა – თქვენ განდოთ აზერბაიჯანის ბედი. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ილჰამ ჰეიდარის ძევ, ასევე ღირსეულად გააგრძელებთ დიდი მამის მიერ დაწყებულ საქმეებს და ამით უკვდავყოფთ მის ნათელ ხსოვნას.

პირადად თქვენთვის და მთელი აზერბაიჯანელი ხალხისთვის ამ დიდი მწუხარების ჟამს თქვენს გვერდით მიგულეთ.

ედუარდ შევარდნაძე.

## ინტერპანორამა

**აშშ-მ** მოლაპარაკებათა განსაახლებლად „კონკრეტული ნაბიჯების" გადადგმისკენ მოუწოდა პალესტინას. ახლო აღმოსავლეთში ჩასულმა სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსანმა ისიც განაცხადა, რომ აშშ კვლავ უჭერს მხარს პალესტინის სახელმწიფოს შექმნის იდეას.



**ირანის** საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, მისი ქვეყანა უახლოეს დღეებში მოაწერს ხელს ოქმს ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ.



**იემენში** გახსნეს ბრიტანეთის საელჩოს წინააღმდეგ ტერაქტის გეგმა. სპეცსამსახურების თანამშრომელთა ყურადღება მიიპყრეს ადამიანებმა, რომლებიც საელჩოს შენობას სურათს უღებდნენ.



## კადრები

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 12 დეკემბერი ქ. თბილისი

**გ. მესტვირიშვილის თეთრი წყაროს რაიონის გამგებლად დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს **გიორგი მესტვირიშვილი** თეთრი წყაროს რაიონის გამგებლად საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

**ნინო ბურჯანაძე,**
**საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი.**

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 13 დეკემბერი ქ. თბილისი

**გ. კირვალიძის თელავის რაიონის გამგებლად დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს **გელა კირვალიძე** თელავის რაიონის გამგებლად საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

**ნინო ბურჯანაძე,**
**საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი.**

## წარდგენა

### ემზარ გვეტაძე ტყიბულის გამგებელია

საქართველოს პრეზიდენტის ახალმა რწმუნებულმა იმერეთის მხარეში დავით მუმლაძემ გუშინ ტყიბულელებს ახალი გამგებელი – 32 წლის ემზარ გვეტაძე წარუდგინა.

წარდგენის დროს მუმლაძემ აღნიშნა, რომ ახალი გამგებლის შერჩევისას ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატის ბონდო შალიკიანის აზრი გაითვალისწინა.

**ინტერ-პრესი.**

## აჭარი

(პირველი გვერდიდან)



# ქართულმა ჯარმა წვრთნის მესამე ფაზა წარმატებით დაასრულა

„გახსოვდეთ, სამშობლოს თქვენზე მეტი დამცველი არ ჰყავს და საქართველოს ერთადერთი ღირსება წმინდა ჯვარი და ხატია თქვენთვის“, – ამ სიტყვებით მიმართა ჯარისკაცებს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ. მან მადლობა მოახსენა „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის ქართველ და ამერიკელ სამხედროებს, მათ, ვინც ქართული დროშა კოსოვოსა და ერაყში ატარა და ვინც მომავალშიც გააგრძელებს ამ გზას.

მინისტრმა განაცხადა, რომ ასეთი ადამიანების გარეშე ქვეყნის მომავალი არ აშენდება.

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ გულწრფელად მიულოცა ქართველ და ამერიკელ სამხედროებს „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის მესამე ფაზის დასრულება და განაცხადა:

ბატონო გენერლებო, ოფიცრებო, სერჟანტებო და რიგითებო, პატივცემულო საზოგადოებავ!

დღეს ჩვენ ყველანი ერთად საზეიმოდ აღვნიშნავთ კიდევ ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯს საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობის გზაზე.

არმია დამოუკიდებელი სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ატრიბუტია და მისი სრულყოფა რთული და სერიოზული პროცესია.

ჩვენ, ფაქტობრივად, ეროვნული არმიის შექმნა ნულიდან დავიწყეთ და დღეს თანამედროვე მოთხოვნათა და ახალი პრინციპების შესაბამისად მძიმე ეკონომიკური რეფორმების ფონზე უნდა განვახორციელოთ მისი რეფორმირება.

საქართველომ აირჩია დემოკრატიული განვითარების გზა და ყოველმხრივ უჭერს მხარს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს საერთაშორისო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემის შექმნაში, რამაც განაპირობა კიდეც მათი ჩვენდამი აქტიური და მრავალმხრივი დახმარება.

ეს დახმარება განსაკუთრებით დასაფასებელია იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი შეზღუდული შესაძლებლობები არ გვაძლევს რეფორმების განხორციელების და დაფინანსების შესაძლებლობებს.

საქართველოს ოფიციალური განცხადება, ნატოში გაწევრების სურვილის შესახებ, გვავალდებულებს სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალები დასავლურ სტანდარტებს შეესაბამებოდეს.

მისასალმებელია, რომ ამ პროცესში აქტიურად არიან ჩაბმული როგორც სახელისუფლებო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები. ეს კარგი წინაპირობაა მიზნის მისაღწევად.

არმიის რეფორმა სტრუქტურულ ცვლილებებთან ერთად, სათანადო კვალიფიკაციის კადრების მომზადებას და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას მოითხოვს, რაშიც დიდ დახმარებას გვიწევენ ჩვენი მეგობრები.

ამ მხრივ ამერიკის შეერთებული შტატების ძალისხმევა მართლაც გამორჩეულია!

წლების განმავლობაში გამოვლენილი თანადგომა და სამხედრო სფეროში თანამშრომლობა თვისებრივად ახალ ეტაპზე გადავიდა. „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის დაწყებიდან წელიწად-ნახევარი გავიდა. მისი შინაარსიდან გამომდინარე, იგი დამსახურებულად მოექცა საზოგადოების ინტერესის ცენტრში.

პროგრამა გეგმის მიხედვით ხორციელდება და გვაქვს კიდეც შესაბამისი შედეგები.

საქართველოს მთავრობამ ყველაფერი უნდა იღონოს მისი წარმატებით დასრულებისათვის, ვინაიდან პროგრამა გვაძლევს რეალურ და მყარ საფუძველს პროფესიული არმიის შესაქმნელად.

დღეს აღინიშნება პროგრამის მესამე ფაზის მეოთხე ეტაპის დასრულება.

ჩვენს წინაშეა საქართველოს შეიარაღებული ძალების მეოთხე პროფესიული ქვედანაყოფი, 111-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონი, რომელმაც ამერიკელი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით ინტენსიური მომზადება გაიარა და მიაღწია საბრძოლო მომზადების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის დონეს.

დარწმუნებული ვარ, პროგრამის ბოლო ეტაპზეც არანაკლები შედეგები იქნება მიღწეული.

ბატალიონის პირად შემადგენლობას საზეიმოდ გილოცავთ წვრთნის დამთავრებას!

თქვენ გაქვთ საფუძველი ამაყად ატაროთ ჯარისკაცის მუნდირი, საქართველოს კი ყოველთვის ეამაყებოდა ქვეყნის მთლიანობისა და სტაბილურობის ღირსეული დამცველები. თქვენ გააკეთეთ უაღრესად საპატიო და დასაფასებელი არჩევანი სამშობლობისათვის განსაკუთრებული სამსახურის გასაწევად.

დარწმუნებული ვარ, შეძენილი ცოდნა შეგაძლებინებთ მომავალში თქვენს წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით შესრულებას.

დღეიდან კი თქვენი ამოცანაა, ყოველდღიური შრომით შეინარჩუნოთ საბრძოლო მომზადების მიღწეული დონე.

მჯერა, თითოეულ თქვენგანს გაცნობიერებული აქვს სახელმწიფოს ერთიანობისა და უსაფრთხოების დაცვის დიდი პასუხისმგებლობა.

გისურვებთ მშვიდობას, წარმატებებს, ღირსეულ სამხედრო სამსახურს!

ვსარგებლობ შემთხვევით, მადლობას ვუხდი ყველას, ვინც იღვწის „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის, ვინც იდგა ამ პროგრამის სათავეებში!

მადლობას ვუხდი ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებას, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს!

ვფიქრობ, დასაფასებელია ის წვლილი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავის დროზე გასწია ამ პროგრამის განხორციელებისათვის.

მინდა მადლობა გადავუხადო ამერიკელ ინსტრუქტორებს, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობენ საქართველოს შეიარაღებული ძალების ფეხზე დასაყენებლად!

მინდა მადლობა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს!

მინდა გითხრათ, რომ ქართველ დედებს თქვენი იმედი აქვთ.

მინდა გითხრათ, რომ თქვენი შემყურე თითოეულ ქართველ დედას გული სიამაყის, სიმშვიდის და ხვალინდელი საქართველოს იმედის გრძნობით ევსება.

დიდი მადლობა! გისურვებთ წარმატებას, ბედნიერ, წარმატებულ, ღირსეულ საქართველოში ცხოვრებასა და მოღვაწეობას!

**სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური-საქინფორმი.**

**ფოტოები მოგვაწოდეს: ანზორ კოჯლამაზაშვილმა და ინტერ-პრესმა.**

## დანიშვნა

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 12 დეკემბერი ქ. თბილისი

**ვ. გოლიაძის საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის რაიონები) საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულად დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს **ვახტანგ გოლიაძე** საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის რაიონები) საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულად.

**ნინო ბურჯანაძე,**
**საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი.**

## თანამშრომლობა

# უკრაინა – მეოთხე ვექტორი საქართველოსთვის

**„ჩვენი უკრაინის“ ლიდერმა იუშჩენკომ და „ნაციონალების“ ლიდერმა სააკაშვილმა კიევში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გააფორმეს**

**უკრაინის ოპოზიციური პარტიის „ჩვენი უკრაინის“ ლიდერმა ვიქტორ იუშჩენკომ და საქართველოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ კიევში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ამ პოლიტიკურ ძალებს შორის თანამშრომლობის შესახებ.**



როგორც შეთანხმებაშია ნათქვამი, „ჩვენს უკრაინას“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ „უკრაინასა და საქართველოში სამართლის უზენაესობის, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი კონტროლის, სიტყვისა და კრებების თავისუფლების, ასევე საკუთრების უფლების დაცვისა და ეფექტური ადგილობრივი თვითმმართველობის აუცილებლობის რწმენა აერთიანებთ“. მხარეები სახელმწიფოს მართვის კლანურ-ოლიგარქიული მოდელების, სახელმწიფო შოვინიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ გამოდიან, ასევე აღნიშნავენ ორივე სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და შიდა საქმეებში სხვა ქვეყნების ჩაურევლობის მნიშვნელობას.

შაბათს კიევში გამართულ ბრიფინგზე იუშჩენკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ჩვენი უკრაინა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ერთიანნი არიან იმ საკითხში, რომ აუცილებელია უკრაინისა და საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია და ამავე დროს რუსეთთან ეფექტური და პარტნიორული ურთიერთობების განვითარება.

თავის მხრივ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ „აშშ-თან, ევროპასთან და რუსეთთან ერთად, უკრაინა საქართველოსთვის მეოთხე მნიშვნელოვანი ვექტორი უნდა გახდეს“.

ჟურნალისტთა კითხვებზე პასუხის გაცემისას სააკაშვილმა განაცხადა, რომ არ თვლის საჭიროდ, უკრაინაში პროცესები ქართული სცენარით განვითარდეს. „დარწმუნებული ვარ, უკრაინელი ხალხი თავის გზას იპოვის, რომელიც მას საშუალებას მისცემს, კანონებისა და კონსტიტუციის ფარგლებში თავისი არჩევანი გააკეთოს“, – თქვა მან.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა ასევე მაღალი შეფასება მისცა უკრაინის პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას როლს ქართულ-უკრაინული ურთიერთობების განვითარებაში. „ჩვენ ჩვენი სიმპათიები გვაქვს, მაგრამ ვიმუშავებთ უკრაინის ნებისმიერ პრეზიდენტთან, ვინაიდან საუბარია არა პრეზიდენტებს შორის ურთიერთობებზე, არამედ ორ ხალხს შორის კავშირზე“, – აღნიშნა მან და მადლობა გადაუხადა უკრაინელ ხალხს „საქართველოსთვის მძიმე დროს გაწეული დახმარებისათვის“.

გარდა ამისა, მიხეილ სააკაშვილი კიევში ოპოზიციის ლიდერებს ალექსანდრე მოროზს და იური ტიმოშჩენკოს შეხვდა. მან განუცხადა ჟურნალისტებს, რომ შესაძლოა, უზენაესი რადას სპიკერს ვლადიმერ ლიტვინოვსაც შეხვდეს, ოფიციალური კიევის სხვა წარმომადგენლებთან შეხვედრას კი სააკაშვილი არ აპირებს.

„ეს ნახევრად კერძო ვიზიტია“, – განაცხადა „ნაციონალების“ ლიდერმა, რომლის თქმით, საქართველოს პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში უკრაინა ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იქნება, სადაც ის ოფიციალურ ვიზიტად ჩავა.

**ინტერ-პრესი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

აქტუალური თემა

# კანონის მიმართ კომპრომისული ვერ ვიქნებით

**საქართველოში მიმდინარე მოვლენებს მთელი მსოფლიო თვალს ადევნებს. ექსპერტების აზრით, იმის დიდი ალბათობა არსებობს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ, თუკი საქართველოში ეკონომიკური აღმავლობა დაიწყო, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაც დაიწყოს, რასაც ხელს, ერთის მხრივ, რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გასვლა და, მეორეს მხრივ, აშშ უპრეცედენტო მხარდაჭერა შეუწყობს.**

ძნელი მისახვედრი არ იყო, კოლინ პაუელმა, მაასტრიხტში გამოსვლისას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხს ხაზი რატომ გაუსვა. აშშ მხრიდან აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის საკითხზე ასეთი აშკარა მინიშნება ჯერ არ გაკეთებულა. როგორც ჩანს, რუსული რეაქციული ძალები ამ საშიშროებას უკვე სერიოზულად აცნობიერებენ. ამიტომაც მოიცალა წინასაარჩევნო ციებ-ცხელებაში ჩაფლულმა რუსულმა ბიუროკრატიამ აჭარასა და აფხაზეთში რუსული პასპორტების დარიგებისათვის. სამწუხაროდ, დესტაბილიზაციის მსურველნი როგორც ქვეყნის გარეთ, ისე ქვეყნის შიგნითაც, ნამდვილად არსებობენ. მთავარი საფრთხე, რაც დღეს ქვეყანას შეიძლება დაემუქროს, არჩევნების ბოიკოტია. საქართველოს 4 იანვარს არჩეული პრეზიდენტი სჭირდება. ეს ბათუმშიც და თბილისშიც კარგად ესმით. სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ აჭარამ ამ არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს. პირველი უშედეგო ვიზიტის მიუხედავად, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე თვლის, რომ ის შეძლებს ასლან აბაშიძეს 4 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნების ბოიკოტირება გადააფიქრებინოს.

**ვალერი გელბახიანი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საჩხერის მაჟორიტარი დეპუტატი:**

— კარგი იქნება, თუ ამას ჩვენც ოპტიმისტურად შევხედავთ. ყველანი ბევრი პრობლემის თვითმხილველი ვართ. თითქმის ყველა პრობლემა პოლიტიკური რესურსების ხარჯზე გვარდება. აქაც საქმე ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს. ალბათ, მალე მოვისმენთ იმ განცხადებებს, რომ აჭარის ხელისუფლება ავტონომიის ტერიტორიაზე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ხელს არანაირად არ შეუშლის. ასეთია ჩემი რწმენა. ღმერთმა ნუ ქნას, რომ სხვაგვარად მოხდეს.

**მაია ნადირაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი, „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი:**

— მოდით, საკითხი ასე დავსვათ: ჩვენ, დანარჩენი ქართული საზოგადოება, ვართ იმისათვის მზად, რომ კანონის მიმართ კომპრომისული ვიყოთ, ანუ კანონის დაცვა არ მოვითხოვოთ? არ მესმის, ასეთ შემთხვევაში რა კომპრომისებზეა საუბარი. კომპრომისები დავუშვათ და არჩევნები აჭარაში ისევ ისე ჩატარდეს?

23 ნოემბრის შემდეგ ველარ გავაგრძელებთ იმ ტენდენციას, რაც აქამდე ხდებოდა. სანახევრო მეთოდებს, რაღაც გარიგებებს თავი უნდა გავანებოთ. ეს ძალიან პრინციპული საკითხია.

ასეა თუ ისე, ცენტრსა და რეგიონს შორის დაწყებული დიალოგი უკვე წინგადადგმული ნაბიჯია. ასლან აბაშიძის მოთხოვნა, საპარლამენტო არჩევნები ივნისამდე გადაიწიოსო, არარეალურია და ეს თავად აჭარის ლიდერმაც კარგად იცის. საქმე ის გახლავთ, რომ არჩევნები მაისის მეორე ნახევრიდან სექტემბრამდე მსოფლიოში არსად არ ტარდება, რადგან ეს შვებულებებისა და დასვენების დროა. შესაბამისად, აბაშიძე, ალბათ, არჩევნების აპრილში ჩატარებას დათანხმდება.

**მზია გელენავა.**

ჯანდაცვა

# მარინა ღუდუშაური: — ჭორებს ვუმღლებთ!..

**ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ 12 დეკემბერს აკადემიკოს ოთარ ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში გაიმართა ბრიფინგი, რომელზეც ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მარინა ღუდუშაურმა და სამსახურის უფროსებმა ისაუბრეს იმის შესახებ, თუ რა კეთდება ცენტრში და რისი შესაძლებლობები აქვს, როგორი კვალიფიკაციის პერსონალი მუშაობს და არსებობის 6 თვის განმავლობაში რას მიაღწიეს.**

ქალბატონმა მარინა ღუდუშაურმა ისაუბრა იმ მოარული ხმების შესახებაც, თითქოს მიზანმიმართულად არ იხარჯებოდეს გრანტით მიღებული მილიონები. და თითქოს იგი ვიღაცეების ჯიბეებში ილექება.

— ის მილიონები ნამდვილად აქ არის, ყველაფერი თავის ადგილზეა და კარგა ხანია მუშაობაც მიმდინარეობს. საკმაოდ დიდი მოცულობის დახმარება გაეწია მრავალ პაციენტს და, სამწუხაროა, რომ ჩვენი ცენტრის შექმნას, მის მუშაობას სრულიად უსაფუძვლოდ ნეგატიურ ფონს უქმნიან, — განაცხადა მარინა ღუდუშაურმა და ამის დასტურად ამ დღეებში ტელეარხ „რუსთავი-2"-ის მიერ გადაცემული სიუჟეტი დაასახელა.

უცხოელები, — ითქვა ბრიფინგზე, — მინიმალურ თანხასაც არ დახარჯავენ, თუ შესაბამისი უკუგება არ მიიღეს. არადა, იაპონიის გრანტული დახმარებით და მსოფლიო ბანკის პროექტით ცენტრმა მიიღო 470 დასახელების 8.859.968 ლარის ღირებულების 2008 ერთეული სამედიცინო აღჭურვილობა. მათ შორისაა ცნობილი კომპანიების მიერ წარმოებული უახლესი აპარატურა.

ყველაფერი ეს ეფექტიანად არის გამოყენებული. სწორედ ამის შედეგია, რომ ამიერკავკასიაში არ არსებობს მსგავსი ცენტრი არა მარტო სამედიცინო ტექნიკის აღჭურვილობით, გამორჩეული შენობითა და დიზაინით, არამედ კონკურსის წესით არჩეული მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, ტექნიკური მუშაკებით, საშუალო სამედიცინო რგოლით და ყველაფერი იმით, რაც თითოეული პაციენტის მკურნალობის, სიცოცხლის გახანგრძლივების, რეაბილიტაციისა და პროფილაქტიკისთვის არის საჭირო.

მაისიდან დღემდე ცენტრში გაკეთდა 1184 ოპერაცია (მათ შორის, რამდენიმე უნიკალური), 3523 — სხივური დიაგნოსტიკა და 24011 ლაბორატორიული კვლევა, მიღებულია 1070 მშობიარობა (204 საკეისრო კვეთით).

ცენტრი მძიმე შემთხვევების კოლექტორია. ეს ერთადერთი IV დონის (უმაღლესი სამედიცინო მომსახურების) კლინიკაა. კატასტროფისა და გადაუდებელი მედიცინის სამსახურს საქართველოს ნებისმიერი კლინიკიდან ცენტრში ჩამოჰყავს ყველა პროფილის მძიმე კლინიკური დიაგნოზის მქონე პაციენტები რეანიმობილით (რომელთა საექიმო ბრიგადები დაკომპლექტებულია კვალიფიციური რეანიმატოლოგებით), სადაც მათ პოლიპროფილურ დახმარებას უწევენ. ამ კლინიკას ნამდვილად აქვს თავმოსაწონი ათეულობით ლამის განწირული პაციენტის გადარჩენის გამო.

**ის. მე-5 გვ.**

პრესკონფერენცია

**გუშინწინ „შერატონ მეტეხი პალასში" საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმა საგანგებო პრესკონფერენცია მოაწყო, რომელსაც მასმედიის მუშაკთა გარდა, არასამთავრობო სექტორისა და უცხოეთის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ყველამ იცოდა, რომ მას თავისი მოსაზრებები უნდა გაეცნო საზოგადოებისათვის კონტროლის პალატის მიმართ ბოლო ხანს უხვად წამოყენებულ ბრალდებათა შესახებ. ამიტომ ინტერესი ამ პრესკონფერენციისადმი იმდენად დიდი იყო, რომ სასტუმროს საკმაოდ ვრცელმა დარბაზმა ხალხი ძლივს დაიტია.**

# ალბათ, ძალიც შესწევს ქადილისა...

## სულხან მოლაშვილი მწვავე დოკუმენტების გამომზეურებას აპირებს

დასაწყისშივე ბატონმა სულხან მოლაშვილმა შეკრებილთ შეახსენა, კონტროლის პალატის თავმჯდომარედ 2000 წლიდან ვმუშაობ და ამ ხნის მანძილზე პალატის საქმიანობის მიმართ მხოლოდ დადებითი ითქმოდაო.

საქართველოს პარლამენტმა, რომელიც ერთადერთი უფლებამოსილი ორგანოა, შეამოწმოს კონტროლის პალატა, 2003 წლის ზაფხულში დაამთავრა მისი შემოწმება ყველა მიმართულებით. პარლამენტის საგამოძიებო კომისიის დასკვნაში ხაზგასმულია, რომ პალატის საქმიანობა „სრულიად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობასა და კონსტიტუციას".

კონტროლის პალატამ სისტემის უმნიშვნელოვანესი რეფორმები განახორციელა, თანაც უმცირეს ფასად — სულ 35 ათას დოლარად, არც ერთი თეთრი სესხის სახით მას არ მიუღია. პალატის თავმჯდომარემ დამსწრეთ გააცნო, თუ როგორ აფასებენ უცხოური კომპეტენტური აუდიტორული ორგაგიზაციები ქართველი კონტროლიორების საქმიანობას. შემდეგ ბოდიში მოიხადა ამ ერთგვარი „თავისქებითი პრეამბულისათვის" და მთავარ სათქმელზე გადავიდა.

პალატის ირგვლივ შექმნილ პირქუშ ვითარებაზე ლაპარაკი იმით დაიწყო, რომ პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომიდან 48 საათში მან განცხადება გააკეთა 2004 წ. 4 იანვრიდან საკუთარი ინიციატივით თანამდებობიდან გადადგომის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ის კონსტიტუციური ფიგურაა, 2005 წლის მაისამდე სათანადო წესით არჩეული. ეს გავაკეთე, რათა ახალ ხელისუფლებას გავუადვილო კონსტიტუციური საკადრო გადაწყვეტილების მიღება კონტროლის პალატასთან მიმართებაში. მაგრამ სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ყოვლად გაუგებარი და ძნელად ასატანი პროცესები ჩემს ირგვლივო.

როდესაც ყოველივე ამან ზღვარს გადააჭარბა, სულხან მოლაშვილი მივიდა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე და სიტყვით გამოსვლისას დაასახელა ზეწოლის რამდენიმე ფაქტი (ზოგიერთი გვარიც), რაც პოლიტიკური დევნის ხასიათს იძენს, გაახსმიანა ზოგიერთი ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციის მოსაზრება, რომ არსებობს ეგრეთ წოდებული დასაჭერი ხალხის სია, სადაც სულხან მოლაშვილიც მოიაზრება...

მაგრამ უშიშროების საბჭოს შემდეგ არა თუ შენელდა, დევნის პროცესი უფრო გაძლიერდა. მარტო ბოლო ერთი კვირის მანძილზე პროკურატურამ 3 პრესკონფერენცია მიუძღვნა პალატას და მის თავმჯდომარეს. სულხან მოლაშვილმა აქვე ხაზი გაუსვა, ეს პირი სჭირდებათ არა პროკურატურას, არა გამომძიებლებს, არამედ გარკვეულ პოლიტიკურ ძალებსო.

დღეს ბევრი ლაპარაკია ენერგეტიკის სფეროში ჩადენილ დანაშაულობებზე. ამბობენ, ლომინაძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით გაირკვა, რომ კონტროლის პალატა რაღაც-რაღაცაშია მხილებულიო, თან ტელეეკრანზე ტიტრები მიდის, თუმცა სულხან მოლაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი არ დგასო. გაზეთები წერენ, თურმე მოლაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრაო და ა. შ.

საზოგადოებას უნდა ახსოვდეს, რომ კონტროლის პალატამ პირველმა აღიმაღლა ხმა ენერგეტიკაში არსებული კორუფციის წინააღმდეგ, უამრავი საქმე გვაქვს გადაგზავნილი პარლამენტსა და გენერალურ პროკურატურაში, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სხვადასხვა დაწესებულებაში „საქგაზის", სემეკის, „თბილგაზის", სს „ელექტროგადაცემის", სს „ვარციხჰესის კასკადის", „საქრუსენერგოს" და სხვა ორგანიზაციების შემოწმებათა შედეგებზე. ჩვენს გადაგზავნილ მასალებს პარლამენტი, მაშინდელი პოზიციაცა და ოპოზიციაც, ერთი-ორი დეპუტატის გარდა, ერთმნიშვნელოვნად დადებითად აფასებდა.:

არადა, დღეს ისმის ბრალდებები, თითქოს კონტროლის პალატამ რაღაცა დამალა, რაღაცა არ გამოავლინა და ა. შ.

მინდა გამომძიებლებს მხარში დავუდგე, როგორც იურისტი, დავეხმარო რითიც შემეძლება, რათა საზოგადოებამ სიმართლე გაიგოს არა ასეთი პრესკონფერენციებით, არა პიარით: შემიძლია მათ გადავცე ყველა დოკუმენტი, ყველა აქტი.

საქართველოს კონტროლის პალატამ, ბოლო წლებში, ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში, სულ პროკურატურაში გადაგზავნა 575 სისხლის სამართლის ნიშნების შემცველი მასალა. შევადაროთ ეს რუსეთის საანგარიშო პალატის ანალოგიურ მაჩვენებელს: იქ წელიწადში მხოლოდ 48 საქმე აქვთ პროკურატურაში გადაცემული.



საერთოდ, კონტროლის პალატა არ არის რეპრესიული ორგანო, არ გვევალება ადამიანის დაჭერა. ჩვენ აუდიტორები ვართ. ასეთია საერთაშორისო სტანდარტიც და ასეთია საქართველოს კანონმდებლობაც.

ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში პალატის წარდგინებების საფუძველზე თანამდებობიდან გათავისუფლდა 361 სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკი. კონტროლის პალატა იყო იმის ინიციატორი, რომ საფინანსო მაქინაციებში შემჩნეული ხალხის შესახებ შეგვექმნა საინფორმაციო ბანკი და შემდგომში მათს თანამდებობაზე დანიშვნაზე შეზღუდვა დაწესებულიყო.

ახლა პროკურატურაში და პრესით ბევრს საუბრობენ, რომ ჩვენ მავანს ცოტა დავარიცხეთ, ხოლო სხვა მაკონტროლებელმა მეტი დაარიცხაო. მინდა, ჩემს კოლეგებს პროკურატურიდან განვუმარტო, რომ კონტროლის პალატა გადასახადის დამრიცხველი, მით უფრო, ამკრეფი არ არის; ეს საგადასახადო უწყების ფუნქციაა. კონტროლის პალატამ ერთი თეთრიც რომ გამოავლინოს, მას მადლობა უნდა ეთქვას.

ისე, ცნობისათვის ვიტყვი, რომ 2000-2002 წლებში გამოვლენილი გვაქვს 100 მილიონზე მეტი ლარი ბიუჯეტის სასარგებლოდ, საიდანაც, სამწუხაროდ, საგადასახადო ორგანოებმა მხოლოდ 30 მილიონამდე ლარი თუ ამოიღეს. ამიტომ კონტროლის პალატასთან დავა, რომ მან ცოტა დააწერა, სხვამ კი — მეტი, მეთოდოლოგიური საკითხია და არანაირ პასუხისმგებლობას არ აკისრებს კონტროლის პალატას.

სულხან მოლაშვილმა დამსწრეთა ყურადღება მიაქცია იმას, რომ კონტროლის პალატის ხელმძღვანელი ან პასუხისმგებელი პირი შემოწმების აქტზე არასოდეს არ აწერს ხელს. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი რომელიმე თანამშრომელი გაიწიროს, სანამ აქ ვარ და მერეც, როცა თანამდებობიდან წავალ, ჩემს თანამშრომლებს, რითაც შემეძლება დავიცავ, თუ მათ მართლა რაიმე გადაცდომა არა აქვთ ჩადენილი. ერთი სიტყვით, ბატონი სულხან მოლაშვილი არ ეთანხმება აჟიოტაჟს იმის გამო, რომ კონტროლის პალატა არაეფექტიანად მუშაობს — ეს უბრალოდ პოლიტიკური დევნააო.

მან პრესკონფერენციაზე მიმართა ხელისუფლებას და გენერალურ პროკურორს: მე განცხადება მაქვს გაკეთებული 2004 წლის 4 იანვრიდან თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. ახალ წლამდე ემცნოს საზოგადოებას, ვიმხილები თუ არა კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენაში. თუ დავრწმუნდი, რომ დევნა გრძელდება, უკან გამოვიწვევ ჩემს განცხადებას — ჩემი გადაყენება შეიძლება იმპიჩმენტის წესით (რომელიც საკმაოდ რთული პროცედურაა) და ვიბრძოლებ ყველა არსებული სამართლებრივი და პოლიტიკური მეთოდით. ეს არ შეეხება მხოლოდ ჩემი — ერთი კაცის ინტერესებს, ეს შეეხება მთელი კონტროლის პალატის ინტერესებს, პალატის მუშაკები დაშინებული და პარალიზებული არიან. შეწყვეტილი გვაქვს თითქმის ყველა შემოწმება, გარდა რამდენიმე აუცილებლისა, რადგან ამის არც ფიზიკური და არც ფსიქოლოგიური შესაძლებლობა არ გვაქვს.

ვიღაც-ვიღაცეები მითვლიან, საქართველოდან წადიო, არ წავალ. ვარ 34 წლის და ცხოვრებას ვაგრძელებ, მყავს სამი შვილი და მინდა ისინი აქ, საქართველოში გავზარდო. მე არ უნდა დავისაჯო იმის გამო, რომ ბოლომდე ერთგულად ვედექი პრეზიდენტ შევარდნაძეს მხარში. მაგრამ მაშინაც მხოლოდ ოპოზიციის წინააღმდეგ გამოვდიოდი? ჩემს მიერ გამოქვეყნებული ენერგეტიკის კორუმპირებული მაღალჩინოსნების ნუსხა ოპოზიციის პირთა სია იყო? საღეჭი რეზინის ბიზნესზე რომ ვილაპარაკე მთავრობის ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე, ოპოზიციის ლიდერების ჩამოთვლა იყო? ქონების მართვის მინისტრი ჩვენი დასკვნების საფუძველზე რომ გაათავისუფლეს, ოპოზიციონერი იყო? ახლა სოფლის მეურნეობაში, განათლების სისტემაში აღმოჩენილი დარღვევები... 2000 წლის დასასრულს „კვარციტისა" და „მადნეულის" შესახებ პირველი მასალა კონტროლის პალატამ არ გადასცა გენერალურ პროკურორს? რა თქმა უნდა, იყო ოპოზიციაზეც! მე რომ იმის გარჩევა დამეწყო, ვინ ვინ იყო, ვის რა მოეწონებოდა, სწორი არ ვიქნებოდი. მხოლოდ არჩევნებამდე ორი კვირით ადრე თქვა მოლაშვილმა პურ-პროდუქტების კორპორაციის შესახებო! არა, ჩვენ ეს მასალები 2002 წლის ივნისში ვაახლეთ საქართველოს პარლამენტს.

რა მასალებს ფლობს სულხან მოლაშვილი, რაზეც მისი მოწინააღმდეგეები ასე მწვავედ რეაგირებენ? მას არ დაუმალავს: მართლაც მაქვს უამრავი მასალა, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც კონტროლის პალატის კომპეტენციას არ განეკუთვნება, მაგალითად, ზოგიერთი მაღალჩინოსნის ნათესავები როგორ დადიოდნენ ენერგეტიკის ობიექტებზე და ხალხს ფულს სძალავდნენ ხან ოპოზიციის, ხან ხელისუფლების სახელით. ბატონი სულხანი ჟურნალისტებს შეპირდა, ამ მასალებზე მომდევნო პრესკონფერენციაზე გესაუბრებითო.

ერთი სიტყვით, თუ მის დანაშაულზე ან უდანაშაულობაზე ახალ წლამდე ოფიციალურ პასუხს არ მიიღებს, სულხან მოლაშვილი შეტევაზე გადავა.

ალბათ, ძალიც შესწევს ქადილისა!..

**ალეკო ასლანიშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# სტუდენტობა — მძებნელი გზის და გზის...

**საქართველოში უკანასკნელ ხანს განვითარებულ მოვლენებს ჩვენზე უკეთესად ისტორია შეაფასებს. ყოველ შემთხვევაში თითოეული მოქალაქის სურვილი ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაა. საზოგადოება კორუფციის ამოძირკვას, დაუსჯელობის სინდრომის გაქრობას და კანონის უზენაესობას ელოდება. ბოლოსდაბოლოს, სიმართლემ უნდა იზეიმოს სიცრუეზე...**
**ვნახოთ, რას ფიქრობდნენ ახალგაზრდები იმ დღეებში, როცა ხალხი ახალი ცხოვრების დასაწყებად ქუჩაში გამოვიდა, როცა პროტესტების ტალღამ გააერთიანა საქართველო, ყველაზე შთამბეჭდავად რა ჩარჩათ მეხსიერებაში. გვესაუბრებიან თბილისის მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტები:**

# ვარდების რევოლუციის ექო

## შიშიც მიპყრობდა და მხნეობაც მემატებოდა

**დაძაბული თვალებით შევყურებდი იმ მოვლენებს, რომელიც ელვის სისწრაფით ვითარდებოდა ჩვენს სამშობლოში ორი ნოემბრის შემდეგ.** მახსენდებოდა 9 აპრილის ამსახველი კადრები და შიში მიპყრობდა, იმავდროულად რწმენა და მხნეობაც მემატებოდა, როდესაც ჩემი თანატოლების და საერთოდ, ხალხის იმედით სავსე სახეებს შევცქეროდი. ისინი ხომ უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად იყვნენ შემართული. ერი, რომელიც წლების განმავლობაში იტანდა ეკონომიკურ გაჭირვებას და სულიერ ტრავმად აჩნდა დაკარგული აფხაზეთი და სამაჩაბლო, მზად იყო ეყვირა, მდგარიყო სიცივესა თუ წვიმაში, ეთია ღამეები, ოღონდ დაებრუნებინა რწმენა და იმედი იმისა, რომ ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს. „მოთმინებასაც საზღვარი აქვსო" და ხალხმაც ითმინა წლების მანძილზე, ბოლოს კი, ვულკანივით ერთნაირად იფეთქა და მოედო მთელ საქართველოს, ჩაითრია ახლის, უკეთესის მოლოდინის მორევში.

მახსენდება მოხუცი ქალის აკანკალებული ხელები და ხმა, რომელიც შესთხოვდა პრეზიდენტს, გადამდგარიყო, რათა აეცილებინა საქართველოსთვის კიდევ ერთი ძმათა შორის დაღვრილი სისხლის მძიმე ტვირთი.



**ეკა ვაჩნაძე.**

## როდესაც იმედიან სახეებს შევყურებდი

**ახლა ძნელია ვთქვათ, რას მოუტანს საქართველოს შევარდნაძის გადადგომა: ბედნიერებას თუ უბედურებას.** მას შემდეგ, რაც საკუთარი თვალით ვნახე, რა ბეჯითად ცდილობდა მოხუცი ქალბატონი (რომელიც ჩემს გვერდით იდგა აქციაზე), რომ ხმა მიეწვდინა მიკროფონთან მდგომთათვის, მე ქალბატონ ნინოსთან ვარ მოსული და „მიშას" რატომ ყვირით, უმჯობესია, „საქართველო" დაიძახოთ, ჩვენ ხომ ვინმეს გულისთვის კი არა, ერთიანი საქართველოს კეთილდღეობისთვის ვართ მოსულნიო...

მოლოდინს გადააჭარბა პარლამენტში შეჭრის ამბავმა. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ უკანონოდ შეიჭრნენ ისეთ დაწესებულებაში, როგორიც პარლამენტია, მაგრამ როდესაც იქ რაღაცეების გადაბრუნება და დამტვრევა დაიწყეს, ეს უკვე ერთობ უსიამოვნო სანახავი იყო. 23 ნოემბერს, როდესაც ოპოზიციის ლიდერები პრეზიდენტის რეზიდენციიდან გამოვიდნენ, ყველასთვის მოულოდნელად, მათ სახეებზე სიხარული სულაც არ იგრძნობოდა, არა, ეს სულ სხვა რამ იყო. მათ თვალებში ვხედავდი მხოლოდ შეშფოთებას, თუ რა მოხდება ამის შემდეგ...



**ნატო ბუჩაშვილი.**

## წაქცეულს წიხლს აღარ ურტყამენ...

თუ მასმედიის ბოლო წლების მუშაობას თვალს გადავავლებთ და ამასთან, საზღვარგარეთის ქვეყნების პოპულარულ სატელევიზიო არხებთან პარალელებს გავავლებთ, აღმოვაჩენთ, რომ პრეზიდენტს არსად ისე არ დასცინიან, როგორც საქართველოში — ყოვლად თავშეუკავებლად და მოურიდებლად!

შევარდნაძის ადგილზე სტალინი წარმოვიდგინოთ! არა მგონია, მის ხელში ასე ეტლიკინა ზოგიერთ ჟურნალისტს ან სხვა ვინმეს, თუნდაც გულში გაბედავდა სტალინზე ცუდის თქმას?! აი, ვინ იყო დიქტატორი!..

მასმედია საზოგადოებაზე დიდ გავლენას ახდენს. არც ამჯერად „იმუშავა" უშედეგოდ. იგი ხალხს ხელს უწყობდა ღიად, პირდაპირ დაეფიქსირებინათ თავიანთი დამოკიდებულება ქვეყნის მეთაურის მიმართ, ოღონდ ლანძღვას, უწმაწურ სიტყვებსაც არ იშურებდნენ.

ჩვენს შეგნებამდე, სამწუხაროდ, ჯერ არ დასულა, რომ შენი ქვეყნის მეთაური, ცუდია თუ კარგი, მოითხოვ მის გადადგომას თუ არა, ჯერჯერობით, მაინც შენი პრეზიდენტია და ელემენტარულად, ადამიანური პატივი უნდა სცე მას. შემდეგ კი, როგორც წესი, წაქცეულს წიხლს აღარ ურტყამენ ხოლმე!



**მარეხ ხაჩიურიძე.**

## უეკლოდ ვარდი ვის მოუკრეფია...

**ხავერდოვანი რევოლუციის მონაწილენი ცეკვა-თამაშით იქცევდნენ თავს, სიხარულით აფრიალებდნენ დროშებს და ლიდერების მოწოდებებს ომახიანად უბამდნენ მხარს...**

ამ საერთო ალტკინების ვერც თავი და ვერც ბოლო ვერ გაეგო მხოლოდ ერთ ადამიანს, ოცდახუთი დღის ჩვილს, რომელსაც ამ სიცივეში მშვიდად ეძინა. მისი მშობლები მედგრად იდგნენ მთელი ღამის განმავლობაში და ყინვის ეკლების არ ეშინოდთ.

ასე მგონია, ბავშვის მშობლებს ისე სურდათ შევერდნაძის გადადგომა, რომ პაწიას შინ დატოვება სულ დაავიწყდათ — შემთხვევით გამოაყოლეს ხელს.

პრეზიდენტი ღირსეულად მოიქცა ერის წინაშე, არ ისურვა „ხავერდის სისხლით მორწყვა", მან გამოაცხადა, რომ არსად გამგზავრებას არ აპირებს, დარჩება საქართველოში და მომავალ პრეზიდენტს თავის გამოცდილებას დაახმარს. მისმა ასეთმა გადაწყვეტილებამ მსოფლიო აალაპარაკა. იგი, ყველაფერის მიუხედავად, ისტორიაში დადებითი პიროვნების სახელით შევა.

**ნათია თვარაძე.**

## არა მგონია, ვინმემ კიდევ გაბედოს ხალხის უარყოფა

**დამამახსოვრდა პარლამენტის სხდომა, როდესაც მიხეილ სააკაშვილი ხალხთან ერთად შევიდა დარბაზში.** ერთის მხრივ, ეს იყო ვაჟკაცი ადამიანების სიმამაცე, რომლებმაც ვერ აიტანეს მათ მიმართ გამოჩენილი უპასუხისმგებლობა და უყურადღებობა, ეს მოგვაგონებდა მამებისა და შვილების შერკინებას...

იმავდროულად არ შემიძლია არ გამოვხატო ჩემი აღფრთოვანება პრეზიდენტის მიმართ. მისი ღირსეული გადადგომა ურმავლესობისათვის მოულოდნელი იყო. ვფიქრობ, არა მარტო მისმა ათწლეულების განმავლობაში სახელმწიფოს მართვამ დაღალა და გაამწარა ხალხი, არამედ, მისმა გუნდმა, მის ირგვლივ მყოფმა ხალხმაც.

რევოლუცია დამთავრდა ახალი ხელისუფლების გამარჯვებით და მაინც რა მოგველის ხვალ? ყველასათვის ცნობილია ქართველი ხალხის ერთიანობის ძალა. არა მგონია, ამდენი მხარდაჭერის, სიყვარულის გამოჩენის შემდეგ, ვინმემ გაბედოს ხალხის გასულელება და უარყოფა.



**თამარ ავეტისიანი.**

## ისინიც ჩვენს გვერდით იდგნენ

**შთამბეჭდავი იყო ის მომენტი, როდესაც მომიტინგეებმა პრეზიდენტის გადადგომის შესახებ შეიტყვეს.** ხალხის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ღამისთევებისა და დაღლილობის მიუხედავად, იქ მყოფთ დაშლა და სახლში წასვლა არ უნდოდათ. ცეკვავდნენ, მღეროდნენ, ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდნენ.

მახსოვს, მილიციელებმა კორდონი გახსნეს და მომიტინგეები სახელმწიფო კანცელარიის შენობასთან მიუშვეს. ხალხს იმდენად გაუხარდა და ესიამოვნა მათი ეს საქციელი, რომ ემოციებს ვერ ფარავდნენ. ზოგიერთი მილიციელებს ვარდებს ჩუქნიდა, ზოგი კი, უბრალოდ, ეხვეოდა და თვალცრემლიანი მადლობას უხდიდა იმისათვის, რომ ისინიც ჩვენს გვერდით იდგნენ.



**ნათია გელაშვილი.**

## ეს იყო სამოქალაქო ომის მოლოდინი

**ორი ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები გაყალბების გამო გაუქმებულად გამოცხადდა. ყველაფერი ხომ ამ გაყალბების გამო დაიწყო...**

... რაიონებიდან წამოსული ხალხი თბილისის შემოსასვლელებში იყო შეჩერებული. რა ხერხს არ მიმართავდნენ, რომ თბილისში მიმდინარე აქციის მონაწილეებს შემოერთებოდნენ. ნაწილმა შემოაღწია, ათასობით ადამიანი კი თბილისის მიღმა დარჩა. ინსპექტორები გაცემულ ბრძანებას ასრულებდნენ, მაგრამ ხალხის შეჩერების მიზეზად ხელოვნურად შექმნილ „საცობებს" ასახელებდნენ. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, აქცია მაინც შედგა.

პრეზიდენტს შეხვდა ბურჯანაძე-ჟვანია-სააკაშვილის სამეული. უნდა მიღებულიყო შეთანხმება, რომელიც მომიტინგეებს მშვიდობიანად დაშლიდა. მაგრამ პირიქით მოხდა, პრეზიდენტმა მათ კომისიის შექმნა შესთავაზა, რომელიც ყველა დეტალს გამოიკვლევდა. ათიათასობით პროტესტანტებს ეს უშველიდა? და აქცია ისევ გაგრძელდა.

ამ ყველაფრის შემდეგ პრეზიდენტი აჭარაში გაემგზავრა.

შევარდნაძისა და აბაშიძის წარსულში არცთუ შესაშური ურთიერთობა, „სამაგალითო მეგობრობაში" გადაიზარდა. შეხვედრამ აჭარაში ძალიან თბილ გარემოში ჩაიარა. ედუარდ შევარდნაძე აჯილდოვებს ბიზმესმენებს და არ შლის არცერთ დაგეგმილ ზეიმს, როცა ხალხი ქუჩაში მშიერი და გაყინული დგას, რომელთა ყვირილის ხმაც კანცელარიაში არც უნდათ, გაიგონონ...

ეს ყველაფერი აჩენდა შიშს, რომ საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირება არ იყო გამორიცხული, მადლობა ღმერთს, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.



**მაია შუბითიძე.**

## იმ წუთებში მე ბედნიერი ვიყავი

**მიტინგებში ვმონაწილეობდი, ყოველდღე ვუერთდებოდი ხალხს. მაკვირვებდა ამ ადამიანების გამძლეობა. არ უშინდებოდნენ სიცივესა თუ წვიმას და დღედაღამ ათენებდნენ ქუჩაში.**

ჩემთვის ყველაზე შთამბეჭდავი იყო ის დღე, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა მომიტინგეებს გამოუცხადა, რომ მას და ზურაბ ჟვანიას სურდათ კანცელარიისთვის „ცოცხალი ჯაჭვი" შემოერტყათ. ნაწილი მიხეილ სააკაშვილს მიჰყვებოდა, მეორე ნაწილი კი ზურაბ ჟვანიას. ათასობით ადამიანი ჩაება ამ „ჯაჭვში". სწორედ იმ წუთებში ვიგრძენი, რომ ქართველი ხალხი ისევ ერთად იდგა და ბედნიერი ვიყავი.

ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა იმ ფაქტმაც, როდესაც ხალხი თავისუფლების მოედნიდან კანცელარიისკენ დაიძრა. მათ პოლიცია ელობებოდა. ამიტომაც ხალხი მათ მიმართ აგრესიულად იყო განწყობილი, ყველაფერი ერთ წუთში შეიცვალა, როდესაც პოლიციამ „კორდონი" გახსნა და მომიტინგეები გაატარა. ხალხი მათ ვარდებით ასაჩუქრებდა, ლოცავდა, გაბრწყინებული თვალებით უყურებდა, რადგან არ მოხდა სისხლისღვრა, ქართველი ქართველის წინააღმდეგ არ წავიდა.



**ირმა მონიავა.**

**სტუდენტთა წერილები მოამზადა ლია ჭილაძემ.**



## თავდაცვის სამინისტრო მზადაა

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მზადაა ნებისმიერი სტრუქტურული ცვლილებისთვის, მათ შორის, სამოქალაქო მინისტრის მისაღებად, განაცხადა გუშინ თავდაცვის მინისტრმა, გენერალ-ლეიტენანტმა დავით თევზაძემ.

მისი თქმით, ამჟამად სამინისტროში სტრუქტურული რეორგანიზაციის მიზნით ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს და 2004 წლის 1 იანვრისთვის ყველაფერი მზად იქნება, რათა უწყება სამოქალაქო მინისტრმა ჩაიბაროს.

თევზაძის განცხადებით, ის თუ ვინ გახდება საქართველოს თავდაცვის პირველი სამოქალაქო მინისტრი და გენერალური შტაბის ახალი უფროსი, ქვეყნის ახალ პრეზიდენტზე იქნება დამოკიდებული.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო სტრუქტურად გარდაქმნა მრჩეველთა საერთაშორისო საბჭოს რეკომენდაციას წარმოადგენს.

## მინისტრი მონიტორინგს მოითხოვს

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი დავით კირვალიძე სასურსათო საქონელსა და თამბაქოზე მონიტორინგის ჩატარებას მოითხოვს. მინისტრმა სპეციალური ბრძანებაც გამოსცა და მის შესრულებაზე კონტროლი თავის მოადგილეს დავით გრიგოლიას დაავალა.

სასურსათო საქონელსა და თამბაქოზე მონიტორინგი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოქმედი საკანონმდებლო აქტების შესაბამისად განხორციელდება. გაანალიზდება და შეფასდება მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია ჩამოყალიბდება ერთიანი საინფორმაციო ფონდი.

მინისტრის ვარაუდით, ამის საფუძველზე ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამო და ფალსიფიცირებული პროდუქტების მოხვედრის თავიდან აცილება გახდება შესაძლებელი.

## „ევრომარკეტი-2003"

14-16 დეკემბერს ბრიუსელში ფორუმი „ევრომარკეტი-2003" გაიმართება, რომლის მიზანია მთელი მსოფლიოდან ბიზნესმენების მოზიდვა და განვითარებადი ქვეყნების დასახმარებლად მნიშვნელოვანი საქმიანი წინადადებების შემუშავება.

ფორუმი ხელს შეუწყობს საქმიანი პარტნიორების ეფექტიან შერჩევას, მათთან ურთიერთობების განმტკიცება-განვითარებას და საქმიანობის გაფართოებას, კერძო სექტორის განმტკიცებისა და ადგილობრივი ეკონომიკის ხელშეწყობის მიზნით ერთობლივი საწარმოების ჩამოყალიბებას.

## დაიწყეს სტიქიური ბაზრობების დაშლა

თბილისის მერიის ადმინისტრაციულმა ინსპექციამ მოვაჭრეების მხრიდან გარკვეული წინააღმდეგობის მიუხედავად, „მალაკნების" ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე სტიქიური ბაზრობის დაშლა დაიწყო. გუშინ დილით ადმინისტრაციულმა ინსპექციამ მოვაჭრეებისგან მეტროს სადგურ „მარჯანიშვილის" მიმდებარე ტერიტორიაც გაათავისუფლა.

**ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## ჯანდაცვა

(მესამე გვერდიდან)

# მარინა ღუდუშაური: — ჭორებს ვუძლებთ!..

ცენტრის ძირითადი პარამეტრებიდან უმნიშვნელოვანესია მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომობა, ვინაიდან იქ მოქმედებს სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამები. ცენტრში გადაუდებელი სამედიცინო დახმარება უფასოა, უფასოდ ემსახურებიან, აგრეთვე, ქალს გართულებული მშობიარობისას და ახალშობილს, მუშაობს უმწეოთა პროგრამა, ამის პარალელურად მუშაობს თანაგადახდის პრინციპი, რომლის დროსაც პროგრამის გარეთ მკურნალობის ხარჯების 75 პროცენტს იხდის სახელმწიფო, ხოლო პაციენტი 25 პროცენტს. არის ფასიანი მომსახურებაც. ცენტრში წელიწადში 8 ათასი პაციენტი უნდა გატარდეს. დღეისათვის იქ ყველა სამსახური სრული დატვირთვით მუშაობს.

მსოფლიო ბანკისა და იაპონიის მთავრობის ექსპერტები მკაცრად ამოწმებენ ყოველ დახარჯულ თეთრს, იმას, თუ როგორი დატვირთვით მუშაობს აპარატურა. მსოფლიო ბანკი თითოეულ დახარჯულ ცენტს ანგარიშობს. ექსპერტები ჯერჯერობით კმაყოფილებას გამოთქვამენ. თუ საბოლოოდ დადებითად შეფასდება ცენტრის მუშაობა, პროექტის მეორე ეტაპზე მსგავს სამედიცინო ცენტრს ქუთაისშიც მოაწყობენ.

„რუსთავი-2“-ის სიუჟეტის გამო მარინა ღუდუშაურმა განაცხადა შემდეგი: 3 დეკემბერს, საღამოს, სასწრაფო დახმარების მანქანით მიიყვანეს ნასვამი მამაკაცი, რომელსაც ჰქონდა ლავიწის ძვალის მოტეხილობა. მორიგე ბრიგადამ პაციენტის გასინჯვის შემდეგ საჭიროდ მიიჩნია ჩვეულებრივი რენტგენოგრაფია. პაციენტი ნახეს, აგრეთვე რეანიმატოლოგმა, ტრავმატოლოგმა და ნეიროქირურგმა, ამ უკანასკნელმა დასვა ქალატვინის ტრავმის დიაგნოზი, რის გამოც შეიძლება ყოფილიყო სისხლჩაქცევა. მან მოითხოვა რომ აუცილებლად გაკეთებულიყო კომპიუტერული ტომოგრაფია, რაც 3 დეკემბერს საღამოსვე გადაუღეს კიდეც (მართლაც გამოიკვეთა 5 მლ სისხლჩაქცევა). პაციენტის მეუღლეს კომპიუტერული ტომოგრაფიისათვის 100 ლარი მოსთხოვეს (კომპიუტერული ტომოგრაფია სახელმწიფო სტანდარტში არ შედის, ეს მეტად მაღალტექნიკური გამოკვლევაა).

კომპიუტერი იმახსოვრებს გადაღების თარიღს, დროს და შესაბამისად აფიქსირებს თანხას. ისე რომ, 100 ლარი მისთვის გამოძალვის მიზნით არავის უთხოვია. პაციენტს აუცილებლად სჭირდებოდა დაკვირვება, რათა მდგომარეობა არ გართულებოდა. მას მეორე დილით, 4-ში, კვლავ გაუკეთეს კომპიუტერული ტომოგრაფია, რამაც აჩვენა, რომ სისხლჩაქცევამ 5-დან 70 მილიმეტრამდე მოიმატა, რის გამოც აუცილებელი იყო ოპერაციული ჩარევა. ოპერაციის დროს მას ამოუღეს თავის ქალის ნაწილი (ძვალი), რომელიც მეორე ოპერაციისათვის იქნებოდა საჭირო, შემცვლელი მასალის ზომის განსაზღვრისათვის. ამიტომ ექიმმა ქალბატონს შესთავაზა, თუ ისურვებდა შემდგომ ოპერაციამდე თან წაეღო ძვალი და საყინულეში შეენახა. — ჩვენ კანიბალები კი არა ვართ, ეს მიღებულია პრაქტიკაში, ითქვა ბრიფინგზე. მან არა, მაგრამ პაციენტის დამ წაიღო ძვალი. მეორე დღეს, 5-ში კი ძვალი უკან დაიბრუნეს, რაც ჯერ ეთიკურ კომისიას და შემდეგ შესაბამის ლაბორატორიას გადაეცა, მაგრამ საქმე ის იყო, რომ პაციენტის მეუღლემ პირველ სართულზე შემოიკრიბა ხალხი და წივილ-კივილი ატეხა, ეს ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი იყო, უცბად გამოჩნდა „რუსთავი-2“-ის გადამღები ჯგუფი და ერთი საათის განმავლობაში გადაიღეს თითქმის ყველაფერი, ჩაიწერეს ინტერვიუები და რაც იქიდან დარჩა, კარგად ნახა მაყურებელმა. მერე კი ისე მოხდა, რომ იმ ქალბატონმა 9 დეკემბერს (მანამდე რომ არ ჰქონდა), უმწეოთა პოლისი მოიტანა?!) — მანამდე კი იმ ქალბატონს არც მედიკამენტებზე უზრუნია (4 დეკემბერს საჭიროების გამო პაციენტს ხომ განმეორებით კვლავ გაუკეთდა კომპიუტერული ტომოგრაფია). არც სპეციალისტის მოყვანა დასჭირვებია. ისე რომ, მისი მოქმედება „თეატრალიზებულ წარმოდგენას“ ჰგავდა — პაციენტი ამჟამად რეანიმაციაშია და მის გადასარჩენად ექიმები თავს არ იზოგავენ, — თქვა მარინა ღუდუშაურმა.

**როცა ბრიფინგიდან ვბრუნდებოდით, პირველ სართულზე 40-მდე ადამიანი მაინც იცდიდა, ზოგი ამბულატორიულ ავადმყოფს ახლდა, ზოგიც სტაციონარში მყოფთა ახლობელიც იყო. მათ შორის ერთიც არ ჩანდა უკმაყოფილო. სხვათა შორის რამდენიმეს გავესაუბრეთ და ყველამ კმაყოფილება გამოთქვა ცენტრში შექმნილი პირობებისა და პერსონალის არა მარტო მაღალკვალიფიციურობის, არამედ მათი კეთილგანწყობილების გამოც.**



**ბელა დურგლიშვილი.**

**სურათებზე: მარინა ღუდუშაური; აკადემიკოს ოთარ ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი.**

**ჯავარ ლომაძისა და ჯემალ კასრაძის ფოტო.**

## გაზმომარაგების შეწყვეტა ტექნიკური სამუშაოების ბრალია

**თბილისის რამდენიმე უბანს გუშინ ბუნებრივი გაზის მიწოდება შეუწყდა. ამის მიზეზად „თბილგაზში“ გაზის წნევის მოსაწესრიგებლად ჩასატარებელ ტექნიკურ სამუშაოებს ასახელებენ.**

**როგორც „ინტერ-პრესს“ „თბილგაზში“ განუცხადეს, 15 საათზე გაზმომარაგება შეუწყდა ვაჟა-ფშაველას მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 კვარტლებს, ნუცუბიძის ფერდობის I და II მიკრორაიონებსა და დიღმის დასახლებას.**

**აციებასთან დაკავშირებით ქალაქში მკვეთრად გაიზარდა ბუნებრივი გაზის მოხმარება, რის გამოც გაზის წნევა დავარდა. გაზგამანაწილებელი სისტემა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ წნევები გამორთვის გარეშე დავარეგულიროთ. ამიტომ მოსახლეობისთვის გაზმომარაგების შეწყვეტა აუცილებელი გახდა, — განაცხადეს „თბილგაზში“.**

**კომპანია ბოდიშს უხდის მომხმარებელს შექმნილი გაუგებრობის გამო და ჰპირდება, რომ ოთხშაბათს 12 საათზე ბუნებრივი გაზის მიწოდება აღდგება.**

**ინფორმაცია მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**

## პოლიცია

# „კანონიერ ქურდებსაც“ მისწვდნენ

**შს სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ამ დღეებში პოლიციის კიდევ რამდენიმე თანამშრომელი ამხილა ნარკომანობაში. ეს პროცესი შეუქცევადია და შს ორგანოების ნარკომანებისაგან საბოლოოდ გაწმენდამდე გაგრძელდება. რაც მთავარია, შეუქცევადია ნარკობიზნესთან ბრძოლის რადიკალურად გაუმჯობესება ქვეყნის მასშტაბით. შს მინისტრი შესაბამისი სამსახურებისგან კატეგორიულად ითხოვს ნარკოტიკების შემომტანთა და გამსაღებელთა გამოვლენასა და დაკავებას, ნარკოტიკული ნივთიერებების ამოღებას. ბოლო რამდენიმე დღეში თბილისსა და შიდა ქართლში ამოიღეს და გაანადგურეს რამდენიმე ასეული კილოგრამი ხაშხაშის თესლი.**

**თუმცა შს სამინისტროს ხელმძღვანელობისათვის უპირველეს ამოცანად მაინც რჩება რთული კრიმინოგენული ვითარების განმუხტვა, ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების, ამ დაჯგუფებათა სულისჩამდგმელების და ორგანიზატორების“, ე. წ. „კანონიერი ქურდების“ დაკავება. რამდენიმე ასეთი ოპერაცია ამ დღეებშიც განხორციელდა, რის შედეგადაც რამდენიმე გახმაურებული დანაშაული გაიხსნა.**



10 დეკემბერს დააკავეს დედაქალაქში მოქმედი ორგანიზებული ყაჩაღური დაჯგუფების წევრები: თბილისში მცხოვრები, ორჯერ ნასამართლევი გაიოზ დევსურაშვილი (რომლისგანაც ამოიღეს პისტოლეტი „მაკაროვი“ 8 ვაზნით, ხოლო მისი ბინიდან — უნომრო „ნაგანის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი 6 ვაზნით და მცირეკალიბრიანი შაშხანის 13 ვაზნა), სამჯერ ნასამართლევი კობა გიგოლაშვილი (მისგან ამოიღეს 0,36 გრამი ჰეროინი), ექვსჯერ ნასამართლევი ვიტალი ქაცარავა (უპოვეს 0,18 გრამი ჰეროინი, სპეციალური მოსასმენი საშუალება და რკინის კარების გასატეხი მოწყობილობა) და ამ ყაჩაღური ჯგუფის ე. წ. საქმის მიმცემი აკაკი ხაფავა, მეტსახელად „კუსანა“, რომელსაც 1.05 გრამი ჰეროინი ჰქონდა თან.

წინასწარი შეთანხმებით ავტომატური და ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებული კრიმინალური ჯგუფი განსაკუთრებული სისასტიკითა და ცინიზმით, ყაჩაღურად ესხმოდა მოქალაქეთა საცხოვრებელ ბინებს, საიდანაც იტაცებდნენ ფულს, ოქროულობას და პირად ნივთებს. უკვე დადგენილია მათ მიერ ჩადენილი გახმაურებული დანაშაული: 3 ოქტომბერს შუაღამისას მაყუჩიანი ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებულებმა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით შეაღწიეს იყალთოს ქ. №8-ის მე-5 სართულზე გაზეთ „ასავალ-დასავალის“ მთავარი რედაქტორის ლაშა ნადარეიშვილის საცხოვრებელ ბინაში, რომლის აივნიდანაც სპეციალურად დამზადებული ალუმინის კიბით ავიდნენ მე-6 სართულის აივანზე და თავს დაესხნენ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ყოფილი მოადგილის მირიან მურჯიკნელის ოჯახს. ოჯახის წევრების წინააღმდეგობის გაწევისას გულმკერდის არეში სიცოცხლისათვის საშიში ჭრილობა მიაყენეს მ. მურჯიკნელს და გაიტაცეს ცეცხლსასროლი იარაღები, ფული, ძვირფასეულობაც.

შემთხვევის ადგილის დატოვებისას სადარბაზოს შესასვლელთან ბოროტმოქმედებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს ოპერატიულ ჯგუფს, მკლავში დაჭრეს ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს მე-5 ქვეგანყოფილების უფროსი ინსპექტორი, პოლიციის კაპიტანი მირზა შავლაძე, რის შემდეგაც გადავიდნენ გამსახურდიას ქუჩაზე, სადაც დაყარეს მურჯიკნელის ბინიდან გატაცებული პისტოლეტები, ასევე თავიანთ ხელთ არსებული პისტოლეტი „მაკაროვი“ და მაყუჩიანი პისტოლეტი „მარგოლინი“.

11 დეკემბერს დამატებით განხორციელებული კომპლექსური ღონისძიების შედეგად დაადგინეს და დააკავეს ჯგუფის ორგანიზატორი და ლიდერი ე. წ. „კანონიერი ქურდი“ მეტსახელად „რეზო ტბილისსკი“ — ჩიქოვანის ქ. №22-ში მცხოვრები, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი, 1958 წელს დაბადებული რევაზ ლორთქიფანიძე, რომლისგანაც ამოიღეს 0,16 გრამი ჰეროინი, ხოლო მისი ბინიდან — უცხოური წარმოების პისტოლეტი „ჩზ“-75 ერთი მჭიდითა და 15 ვაზნით.

გრძელდება ღონისძიებები ამ დაჯგუფების სხვა წევრების დადგენა-დაკავებისა და მათ მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულობების გამოვლენის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ შს სამინისტრომ გაბედულად შეუტია „შავი სამყაროს“ ელიტას“, რომელიც აქამდე ფაქტობრივად „ხელშეუხებლობის იმუნიტეტით“ სარგებლობდა. რამდენიმე დღეში უკვე დაკავებულია 5 ე. წ. „კანონიერი ქურდი“. შს მინისტრი გიორგი ბარამიძე აცხადებს: ქურდებისაგან საქართველო გაიწმინდება, ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხარდაჭერით ჩვენ ამ ბრძოლას ბოლომდე მივიყვანთ.

8 დეკემბერს დააკავეს დედაქალაქში მოქმედი მოქალაქეთა ძარცვა-ყაჩაღობებში ეჭვმიტანილი ნასამართლევი სერგო ბებიაშვილი, რომელმაც 19 ოქტომბერს, თანამზრახველებთან ერთად შსს პოლიციელის ყალბი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ მეტროს სადგურ „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მოტყუებით, თავისივე კუთვნილ ავტომანქანაში ჩაისვა გლდანში მცხოვრები მურმან ოდიკაძე, თითქოს პოლიციის განყოფილებაში უნდა წარედგინა პიროვნების დადგენის მიზნით, გზაში ოდიკაძეს მუქარით ჯიბიდან ამოაცალა მობილური ტელეფონი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და სხვა ნივთები, შემდეგ სიცოცხლისთვის საშიში მუქარით ავტომანქანიდან გადააგდო და მიიმალა.

ბებიაშვილის ბინიდან ამოღებულია ავტომატის 17 ვაზნა, პისტოლეტ „ტტ“-ს 5 ვაზნა და ოდიკაძის კუთვნილი ავტომანქანის მართვის მოწმობა.

7 დეკემბერს საგარეჯოს რაიონის პოლიციის განყოფილებისა და კახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად დააკავეს საგარეჯოში მცხოვრები, მრავალჯერ ნასამართლევები მამუკა ხუციშვილი და ალექსანდრე ბექიაშვილი, რომლებმაც 6 დეკემბერს სოფ. ქვემო სამგორში მდებარე მეცხოველეობის ფერმაში გიორგიწმინდელ ცოლქმარს ვალიკო და ზინა თედიაშვილებს იარაღის მუქარით გასტაცეს რეგისტრირებული სანადირო თოფი, 6 დეკემბერს სოფ. მანავში გაანადგურეს თამაზ სირაძის მეცხოველეობის ფერმა, შემდეგ თავს დაესხნენ სერგო დალაქიშვილის მეცხოველეობის ფერმას, მწყემს ვალოდია ფოცხვერაშვილს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და გაიტაცეს 15 ძროხა.

9 დეკემბერს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება „ხაფანგი-2003“-ის გატარებისას, ქარელის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ყაჩაღობისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის მიერ ძებნილი, სამჯერ ნასამართლევი კონსტანტინე ნადირაშვილი, რომელიც 30 აგვისტოს მცხეთის რაიონის სოფ. დიღომში თავს დაესხა ავტომანქანა „მოსკვიჩს“, რომელსაც მართავდა თბილისში მცხოვრები როუშან ალახვერდოვი და დანის მუქარით ავტომანქანიანად გაიტაცა გორის მიმართულებით.

**ვალერიან გოგოლაშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა

№ 336, კვირა, 14 დეკემბერი, 2003 წელი.

# გარდაიცვალა ჰეიდარ ალიევი

**აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი, რომელიც მკურნალობის კურსს გადიოდა ამერიკის ოჰაიოს შტატის ქალაქ კლივლენდის კლინიკაში, როგორც ვიუწყებოდით, პარასკევს გარდაიცვალა 80 წლის ასაკში. აზერბაიჯანის ვაშინგტონის საელჩოში დაადასტურეს ეს ინფორმაცია.**

კლინიკის მიერ პრესისათვის გავრცელებულ ინფორმაციაში ხაზგასმულია, რომ აზერბაიჯანის ყოფილი ლიდერი გადიოდა მკურნალობის კურსს „გულის მწვავე უკმარისობისა და თირკმელებთან დაკავშირებული პრობლემების გამო“, თუმცა, კლინიკის ექიმები არაფერს ამბობენ მისი გარდაცვალების მიზეზებზე. კლივლენდის კლინიკაში ჰეიდარ ალიევი 6 აგვისტოდან იმყოფებოდა.



როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში აზერბაიჯანის საელჩოს მრჩეველმა თაირ თაგიზადემ განაცხადა, ჰეიდარ ალიევს აზერბაიჯანში დაკრძალავენ.

ბაქოში შეიქმნა ჰეიდარ ალიევის დამკრძალავი სახელმწიფო კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი.

სახელმწიფო კომისიის ოფიციალურ ცნობაში, რომელიც შაბათს გადასცეს აზერბაიჯანის ეროვნული ტელევიზიით, აღნიშნული იყო, რომ ჰეიდარ ალიევი გარდაიცვალა 12 დეკემბერს მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ. ცნობაში ხაზგასმულია, რომ ჰეიდარ ალიევის, როგორც საერთო-ეროვნული ლიდერისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოს უდიდესი პოლიტიკური მოღვაწის როლის გათვალისწინებით, მთელს ქვეყანაში გამოცხადებულია შვიდდღიანი საერთო-ეროვნული გლოვა.

ამ დღეებში დაშვებული იქნება სახელმწიფო დროშები, აიკრძალება კონცერტები და სხვა გასართობი ღონისძიებები.

ჰეიდარ ალიევს დაკრძალავენ 15 დეკემბერს, ბაქოში.

# შოტლანდიაში განიხილავენ ამიერკავკასიის რეგიონში მშვიდობის დამყარების საკითხებს

**მომავალ კვირას შოტლანდიაში გაიმართება ამიერკავკასიის სამი ქვეყნის — აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს პარლამენტართა შეხვედრა.**

შეხვედრის ინიციატორებს — ლონდონის „ლინქს“ არასამთავრობო ორგანიზაციას და შოტლანდიის პარლამენტს — იმედი აქვთ, რომ პირადი კონტაქტი დეპუტატებს მისცემს საშუალებას გადადგან კონსტრუქციული ნაბიჯები იმ კონფლიქტების მოგვარების გზაზე, რომლებმაც დიდი ზიანი მიაყენეს რეგიონს.

ამიერკავკასიის სამივე ქვეყანა შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნება 30-30 დეპუტატით — როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური პარტიების წევრებისაგან. მათ პირველად მიეცემათ შესაძლებლობა განიხილონ ისეთი მტკივნეული საკითხები, როგორიც არის, მაგალითად, ყარაბაღის კონფლიქტი.



შეხვედრის ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ სომეხი და აზერბაიჯანელი პარლამენტარები შეძლებენ მშვიდ ვითარებაში იმსჯელონ ამ თემაზე და თუნდაც ოდნავ მაინც მოაახლოვონ კონფლიქტის მოგვარების მომენტი.

ამიერკავკასიელ პოლიტიკოსებს ყარაბაღის გარდა კიდევ მრავალი საკითხიც აქვთ განსახილველი. რეგიონში დაგროვილია როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ხასიათის უამრავი პრობლემა.

მიმდინარე წელს ამ სამივე ქვეყანაში გაიმართა არჩევნები, თანაც, აზერბაიჯანის პრეზიდენტის არჩევას მოჰყვა შეტაკება ოპოზიციასა და პოლიციის ძალებს შორის, საქართველოში საპარლამენტო არჩევნების ირგვლივ წარმოქმნილმა კონფლიქტმა კი გამოიწვია ის, რომ თანამდებობიდან გადადგა ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

შეხვედრის ორგანიზატორები აღიარებენ, რომ სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს პარლამენტარებს შორის სტაბილური თანამშრომლობის დამყარება ჯერჯერობით პრაქტიკულად მიუღწეველი მიზანია. მაგრამ, ამიერკავკასიელ პოლიტიკოსებს, თუნდაც საათნახევრით მაინც მოუწევთ ერთ გუნდად მუშაობა: 17-20 დეკემბრისათვის დანიშნული ამ შეხვედრის პროგრამა ითვალისწინებს, აგრეთვე, საფეხბურთო მატჩის გამართვას სტუმრებისა და შეხვედრის ორგანიზატორების გუნდებს შორის.

შეხვედრის პროგრამით, აგრეთვე, დაგეგმილია, რომ სტუმრები დაათვალიერებენ სახელგანთქმულ შოტლანდიური ვისკის ჩამომსხმელ საწარმოს.

# ტონი ბლერი: „კომპრომისის“ მიღწევა ძალზე ძნელი იქნება

**ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნების ლიდერები ემზადებიან ბრიუსელის სამიტის მეორე დღისთვის, რომელიც მოწვეულია იმ მიზნით, რომ ევროკავშირის ქვეყნებმა მიაღწიონ შეთანხმებას ევროპის კონსტიტუციის დებულებათა თაობაზე.**

წინა დღით გამართულ მოლაპარაკებას რაიმე განსაკუთრებული შედეგი არ მოუტანია.

პროგრესის უქონლობამ მთავარ საკითხში — გადაწყვეტილებათა მიღების დროს ხმების განაწილებაში — შესაძლოა, დიდი ზიანი მოუტანოს კონსტიტუციის დამტკიცებისათვის გაღებულ ძალისხმევას.



ევროკავშირის ძირითადი კანონის მიღებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება 2004 წლის წინ, როცა დაგეგმილია, ევროკავშირის წევრი ქვეყნების რიცხვის 15-დან 25-მდე გაზრდა.

როგორც ცნობილია, სამი წლის წინათ საფრანგეთის საკურორტო ქალაქ ნიცაში გამართულ შეხვედრაზე ესპანეთმა და პოლონეთმა მიიღეს 27-27 ხმა, სულ ორი ხმით ნაკლები, ვიდრე გერმანიამ, იმის მიუხედავად, რომ ამ ქვეყნების მოსახლეობის რიცხვი გაცილებით ნაკლებია გერმანიის მოსახლეობასთან შედარებით.

პრესა ვარაუდობს, რომ ჯერჯერობით არც პოლონეთი და არც ესპანეთი არ აპირებს რაიმე დათმობაზე დათანხმებას.

როგორც ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა განაცხადა, მან ჯერჯერობით არ იცის, შეძლებენ თუ არა კომპრომისის მიღწევას ამ სამიტის დროს. „ძალზე მნიშვნელოვანია კომპრომისის მიღწევა, და ჩვენც ველით ამას, გვაქვს იმედი, რომ ეს მოხერხდება. მაგრამ ამ მომენტში, გულახდილად რომ გითხრათ, არ ვიცი, რამდენად შესაძლებელია ეს. კომპრომისის მიღწევა უაღრესად გართულდება, რადგან ძალზე განსხვავდება მხარეთა პოზიციები“, — თქვა ბლერმა.

ამჟამად ევროკავშირს თავმჯდომარეობს იტალია და ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ ბრიუსელის სამიტის მეორე დღეს უნდა წარმოადგინოს ევროპის კონსტიტუციის ხელახლა შემუშავებული ტექსტი. თუმცა, როგორც აღნიშნავენ, იტალიის ლიდერი სამიტის მონაწილეებს, ალბათ, ვერ შესთავაზებს რაიმე კარდინალურად ახალს.

თუ მორიგების მიღწევა ვერ მოხერხდება, ამ პრობლემის გადაჭრა უკვე მოუწევს ირლანდიას, რომელიც 2004 წლის 1 იანვრიდან იტალიისაგან გადაიბარებს ევროკავშირის თავმჯდომარეობას.

# სადამ ჰუსეინის ძეგლები აუქციონზე გაიყიდება

**სადამ ჰუსეინის ექვსი ყველაზე დიდი ძეგლი უახლოეს დღეებში აუქციონზე გაიყიდება და მათგან დაამზადებენ სუვენირებს და „სასარგებლო ნივთებს“.**

საქმე ეხება სადამის ოთხ უზარმაზარ ბრინჯაოს თავს, რომლებიც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ბაღდადის რესპუბლიკის სასახლის ცენტრალური შენობის სახურავიდან გადმოჰყურებდნენ ერაყის ახალ „დამპყრობლებს“, და ორ დიდ ძეგლს, რომლებიც აღმართული იყო ერაყის დედაქალაქის ცენტრში.



ერთ-ერთი ამ ძეგლის დამხობა, მიმდინარე წლის 9 აპრილს, გახდა სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის სიმბოლო.

# „ჰამასი“ ამზადებს მეტევათა ახალ ტალღას

**დაჰზუზება „ჰამასის“ ლიდერმა აბდელ აზიზ რანტისიმ განაცხადა, რომ პალესტინელი მოთარეშეები ამზადებენ შეტევათა ახალ ტალღას ისრაელის წინააღმდეგ, რომელიც განხორციელდება ტერორისტი-კამიკაძეების მეშვეობით.**

ღაზის სექტორში განლაგებულ ჯებალიის ლტოლვილთა ბანაკში შეკრებილი ათასობით ადამიანისადმი მიმართვის დროს, აბდელ აზიზ რანტისიმ აღნიშნა, რომ „ჰამასის“ მოთარეშეები არ შეწყვეტენ აფეთქებებს მანამ, სანამ არ მიაღწევენ გამარჯვებას სიონისტურ ცენტრთან ბრძოლაში.

თავის გამოსვლაში რანტისიმ, აგრეთვე, გააკრიტიკა ჟენევაში გამოცხადებული ვითარების მშვიდობიანი მოწესრიგების არაოფიციალური გეგმის პალესტინელი ავტორები.

ეს იყო რანტისის პირველი საჯარო გამოსვლა მას შემდეგ, რაც ისრაელის ვერტმფრენებმა და საბრძოლო თვითმფრინავებმა დაიწყეს „ნადირობა“ „ჰამასის“ ლიდერზე.

# ბუში მზად არის შემოიღოს სანქციები სირიის წინააღმდეგ

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ხელი მოაწერა კანონპროექტს, რომელიც ადმინისტრაციას რთავს სირიის წინააღმდეგ ეკონომიკური და დიპლომატიური სანქციების შემოღების ნებას. ვაშინგტონი სირიას ადანაშაულებს იმაში, რომ ეს ქვეყანა არ ცდილობს გაიღოს სათანადო ძალისხმევა ახლო აღმოსავლეთში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.**



კანონპროექტის თანახმად, იმისთვის, რომ სირიამ თავიდან აიცილოს სანქციები, მან უნდა შეწყვიტოს პალესტინელთა და ლიბანელთა გასამხედროებული დაჯგუფებების მხარდაჭერა, აგრეთვე, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის შემუშავება, და გამოიყვანოს ჯარები ლიბანიდან.

რადგან კანონს შეეძლო შეეზღუდა ბუშისათვის დიპლომატიურ საშუალებათა არჩევანი, პრეზიდენტი ეწინააღმდეგებოდა მის მიღებას მანამ, სანამ კონგრესმა არ მიანიჭა პრეზიდენტს მეტი თავისუფლება მის გამოყენებაში.

# ისრაელს მოუწოდებენ მოიშოროს ბირთვული იარაღი

**ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (მაგატე) მეთაურმა მოჰამედ ელ-ბარადეიმ მოუწოდა ისრაელს მოიშოროს თავიდან ბირთვული იარაღი, თუკი ასეთი მას მოეპოვება, ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების პროცესისათვის ხელის შეწყობის მიზნით.**

მოჰამედ ელ-ბარადეიმ ისრაელის გაზეთ „ჰაარეცისათვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ასეთი იარაღი „ვერ აძლევს სტიმულს რეგიონში უშიშროების დამყარებას“. ისრაელმა, აგრეთვე, ხელი უნდა მოაწეროს ხელშეკრულებას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ, დასძინა ელ-ბარადეიმ.

ისრაელს არასდროს უღიარებია, რომ ფლობს ბირთვულ იარაღს, თუმცა ფართოდ არის გავრცელებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ამ ქვეყანას ასეთი იარაღი ნამდვილად აქვს. ამ მოსაზრებას იზიარებს მოჰამედ ელ-ბარადეიც.



„ისრაელი, ალბათ, დარწმუნებულია, რომ ბირთვული იარაღი უზრუნველყოფს მის უშიშროებას, მაგრამ ასეთი მოსაზრება მცდარია, რადგან ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნები ასეთი იარაღის არსებობაში ხედავენ საფრთხეს,“ — თქვა მაგატეს მეთაურმა.

„გულახდილად რომ ვთქვათ, მე არ მაძლევს ხელს სტატუსკვო, რადგან ვხედავ დიდ უკმაყოფილებას ახლო აღმოსავლეთში იმ ფაქტის გამო, რომ ისრაელი ფლობს ბირთვულ იარაღს. და ეს ხდება მაშინ, როცა რეგიონის სხვა სახელმწიფოები იცავენ მორიგებას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ“, — აღნიშნა ელ-ბარადეიმ. მისი აზრით, ისრაელმა უნდა დაიწყოს დიალოგი მეზობელთან, რადგან თავიდან იქნეს აცილებული ახლო აღმოსავლეთში ბირთვული იარაღის გავრცელება.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა

**ზაზა ბეჟანიძემ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სპორტი

## სტატისტიკა



# „დინამო“ I ეტაპზე

მოგეხსენებათ, გულშემატკივარს ყველაფერი აინტერესებს. ალბათ, ეს გაითვალისწინა ფეხბურთელთა XV ეროვნული ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის — თბილისის „დინამოს“ პრესსამსახურმა (ლევან სალუქვაძე), რომელსაც I ეტაპის დასრულებისთანავე საგულისხმო სტატისტიკური მონაცემები შემოგვთავაზა. გაეცანით მათ და, დარწმუნებულნი ვართ, მეტ-ნაკლებად სრულყოფილი წარმოდგენა შეგექმნებათ თითოეული დინამოელის ნაკაიკაცარზე (შეგახსენებთ, რომ I და II წრეში გუნდმა 22 მატჩი გამართა).

გოგობერიშვილი – 22 შეხვედრა, 1980 წუთი, 5 გოლი.
შაშიაშვილი – 22 შეხვედრა, 1980 წუთი.
კვირკველია – 22 შეხვედრა, 1970 წუთი, 1 გოლი.
ამისულაშვილი – 22 შეხვედრა, 1946 წუთი, 3 გოლი.
დარასელია – 21 შეხვედრა, 1677 წუთი, 6 გოლი.
ბურდული – 20 შეხვედრა, 1691 წუთი, 1 გოლი.
ახალაია – 19 შეხვედრა, 1689 წუთი, 10 გოლი.
წერეთელი – 17 შეხვედრა, 1489 წუთი.
ალექსიძე – 15 შეხვედრა, 1044 წუთი, 8 გოლი.
მელქაძე – 15 შეხვედრა, 772 წუთი, 5 გოლი.
იაშვილი – 15 შეხვედრა, 716 წუთი, 6 გოლი.
გვარამაძე – 13 შეხვედრა, 1125 წუთი, გაუშვა 6 გოლი.
კარლოსი – 13 შეხვედრა, 1038 წუთი.
კანდელაკი – 12 შეხვედრა, 436 წუთი.
ზოიძე – 10 შეხვედრა, 855 წუთი, გაუშვა 2 გოლი.
ხიზანეიშვილი – 10 შეხვედრა, 547 წუთი.
ანჩაბაძე – 9 შეხვედრა, 314 წუთი, 1 გოლი.
სახვაძე – 8 შეხვედრა, 172 წუთი.
ბობოხიძე – 6 შეხვედრა, 217 წუთი, 3 გოლი.
სამხარაძე – 5 შეხვედრა, 100 წუთი.
ექონია – 1 შეხვედრა, 22 წუთი.

## კონტაქტები

**თბილისის ფალავანთა კლუბის ხალიჩაზე ოფლში გახვითქული ბიჭები დილიდან საღამომდე ფანდებს ამუშავებენ, საქართველოს ნაკრების წევრები მომავალი პაექრობისთვის საგულდაგულოდ ემზადებიან. გაისად მათ ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მოუწევთ გამოსვლა. ზოგს უკვე აქვს ლიცენზია, ზოგიც თებერვლიდან იბრძოლებს მისთვის.**



# კვლავაც ქართულ ქურაში იწრთობიან

მოვარჯიშეთა შორის გუშინწინ გოჩა ციციაშვილიც შევნიშნე, წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ის და მუხრან ვახტანგაძე ერთმანეთს სპარინგ-პარტნიორობას უწევდნენ.

გულშემატკივრებმა იციან, რომ გოჩა ციციაშვილი თბილისში დაიბადა და გაიზარდა. აქ ეზიარა იგი ჭიდაობის საიდუმლოებას ოთარ ტატიშვილის ხელმძღვანელობით. ათი წლის წინათ ისრაელში გადასახლდა. ორჯერ მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორი გახდა. წლეულს კი ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი. ყველა მნიშვნელოვანი შეჯიბრების წინ იგი თბილისში ჩამოდის სავარჯიშოდ და ახლაც სამკვირიან შეკრებაზე იმყოფება. მასთან ერთად არიან ისრაელის ნაკრების წევრები — იაკობ მანაშეროვი (74 კგ) და ჰენრი პაპაშვილი (96 კგ). ორივე ჭაბუკი თბილისშია დაბადებული. იაკობის პაპა საქართველოს ჩემპიონი და საბჭოთა კავშირის პრიზიორი იყო. შვილიშვილი მის გზას განაგრძობს — საფრანგეთში მსოფლიო ჩემპიონატზე VIII ადგილი დაიკავა და ათენის ოლიმპიური თამაშების საგზური დაიმსახურა. რაც შეეხება პაპაშვილს, ჰენრიმაც ფალავანთა კლუბში დაიწყო ჭიდაობა ოთარ ტატიშვილის ხელმძღვანელობით. რამდენიმე წელიწადია ისრაელში, კერძოდ, აშდოდში ცხოვრობს. შარშან ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა. იაკობსაც და ჰენრისაც ამჟამად ლეონიდ სინკინი ავარჯიშებს.



გოჩა ციციაშვილი (მარცხნივ) და მუხრან ვახტანგაძე.

***— ქართველი მწვრთნელები უწინდებურად გაზიარებენ ჭიდაობის ყველა საიდუმლოს, თუ „ხეზე ასასვლელს“ ინახავენ თავიანთი შეგირდებისთვის? — ვეკითხები გოჩას.***

— (ეცინება). ათი წელიწადია, ყველა მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის თბილისში ვემზადები და არასდროს მიგრძვნია, ბატონ ოთარ ტატიშვილს ოდნავი გულგრილობა გამოეჩინოს ჩემს მიმართ. ძალ-ღონეს არ იშურებს, რისთვისაც დიდი მადლობა მას. მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია. მისი საქმიანი რჩევა-დარიგებები არაერთხელ გამომდგომია. ახლაც უანგაროდ გვეხმარება. მასაც აღელვებს ჰენრი პაპაშვილის ბედი — მას ხომ საგზური აქვს მოსაპოვებელი. საფრანგეთში მსოფლიო ჩემპიონ თურქ ოზალთან წააგო და ჯგუფში ჩარჩა. პირველ სალიცენზიო ტურნირს ორი თვის შემდეგ გამართავს იუგოსლავიაში, მერე კი ევროპის ჩემპიონატზე შვედეთში იასპარეზებს, ვფიქრობ, ჰენრის არ უნდა გაუჭირდეს ლიცენზიის მოპოვება.

***— და თქვენ სამნი გაემგზავრებით ათენს?***

— არის კიდევ ორი კანდიდატი: მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორები — მიხაილ ბელინი (66 კგ) და იური ევსეიჩიკი (მძიმე წონა), რომლებიც ამჟამად უკრაინაში ემზადებიან.

იხ. მე-8 გვ.

## სიტუაცია

# ხვალ ბევრი რამ გაირკვევა

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრესკონფერენციო დარბაზში გუშინ, რომ იტყვიან, სრული ანშლაგი იყო — სფფ-ს პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასთვის თავისუფლების აღმკვეთ ღონისძიებად სამთვიანი წინასწარი პატიმრობის მისჯას ტყავის ბურთის სხვადასხვა თაობის დიდოსტატთა, მწვრთნელთა და ბავშვთა საფეხბურთო სკოლების წარმომადგენელთა თავყრილობა მოჰყვა. იქვე ნახავდით გულშემატკივრებს, ჟურნალისტებსა და, ბუნებრივია, შეკრების მიზეზის ოჯახის წევრებსაც.**

სფფ-ს გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ კიდევ ერთხელ მოუწოდა სამართალდამცავებს კანონის ნორმების სრული დაცვით მოქმედებისაკენ და განაცხადა, რომ გამოტანილი განაჩენის გამო პროტესტის გამოხატვის ფორმას მხოლოდ მას შემდეგ გააცნობენ საზოგადოებას, რაც ორშაბათს საოლქო სასამართლო ქართული საფეხბურთო ოჯახის მიერ შეტანილ საჩივარს განიხილავს. მანვე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ სოლიდური საგირავნო თანხის — 250 000 ლარის პარასკევსვე გადახდა მხოლოდ იმიტომ ვერ მოხერხდა, რომ ღამის 12 საათიდან დილის 8 საათამდე მიცემულ მცირე ვადაში, როცა აბსოლუტურად ყველა ბანკი დაკეტილი გახლდათ, ფიზიკურად ვერ ესწრებოდა დასახელებული თანხის ეროვნულ ვალუტაში შეკრება. თუ საჭირო გახდება, თვით ქართველი ფეხბურთელები შეაგროვებენ ბატონი მერაბის თავდებში გამოსაშვებად აუცილებელ თანხას — დასძინა ვალერი ჩოლარიამ.

რაც შეეხება მომხდარის გამო საერთაშორისო რეზონანსს აღნიშნა დასასრულს სფფ-ს გენერალურმა მდივანმა — ფიფას და უეფას მუდმივ კონტროლზე ჰყავთ აყვანილი ეს საკითხი და ისინიც გამოთქვამენ მზადყოფნას საგირავნო თანხით დასახმარებლად.

**გია პლატონიშვილი.**

## ფეხბურთი

# ჩვენი მეტოქე – საბერძნეთის ნაკრები

**ვიწყებთ მასალების გამოქვეყნებას მსოფლიო პირველობის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეების შესახებ. დღეს გავეცნოთ საბერძნეთის ნაკრებს.**

**საბერძნეთი**

*ტერიტორია:* 132 000 კვ. მ.

*მოსახლეობა:* 10 475 000.

*დედაქალაქი:* ათენი.

*უდიდესი ქალაქები:* სალონიკი, პირეოსი.

*ენა:* ბერძნული.

*სახელმწიფო წყობილება:* საპარლამენტო რესპუბლიკა.




*რელიგია:* მართლმადიდებლობა.

*ფულის ერთეული:* დრაჰმა (314 დრაჰმა=1 დოლარს).

იხ. მე-9 გვ.

## კალათბურთი

# შაბათ-კვირას ბრძოლა უხდება

დღეს მთავრდება კალათბურთელ ვაჟთა XIII ეროვნული ჩემპიონატის II წრე — საშობაო არდადეგების წინ ბათუმში ერთმანეთს პრინციპული მეტოქეები „ბასკო“ და თბილისის „დინამო“ ხვდებიან. შეგახსენებთ, რომ ჯერჯერობით ორივეს 2-2 წაგება აქვს. ასე რომ, მათი საპასუხო მატჩი (I წრეში დედაქალაქში ზღვისპირელებმა იმარჯვეს) გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს გამოავლენს.

გუშინ ვერის ბაღში არანაკლებ საინტერესო დუელი გაიმართა — სტუ — თსუ, რომლებიც 4-4 წაგებით III ადგილს იყოფდნენ. სტუდენტური დერბის წინ პოლიტექნიკოსთა ერთ-ერთი „ყოჩი“ ბაბიაშვილი, ე. წ. გასინჯვაზე სლოვენიაში, კერძოდ ლიუბლიანის „სლოვანში“ გაემგზავრა, მაგრამ ასეთმა დანაკლისმა მისი პარტნიორები, პირიქით, უფრო შეადუღაბა და ერთ მუშტად შეკრულ გუნდად აქცია. საილუსტრაციოდ გუშინდელი თამაშიც გამოდგება — დავითულიანი, ნიკოლაძე, ხეცურიანი,



მარკოიშვილი, შანიძე, ოგანესიანი და „ძმანი მათნი“ ერთ ეპიზოდში 16 ქულითაც კი დაწინაურდნენ. თსუ-ს უკანასკნელ გაბრძოლებას სათავე ნაცვლიშვილის მიერ ზედიზედ ჩაგდებულმა სამმა სამქულიანმა დაუდო. მალე მას მაისურაძე-თორთლაძის დუეტმაც მიბაძა და — 60:59, 67:63 გია ჯავახიშვილის შეგირდთა სასარგებლოდ (მესამე პერიოდი). როგორც აღმოჩნდა, ასეთი დევნის შემდეგ თსუ-ს ძალები აღარ შემორჩა — ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელებმა ბოლო წუთებზე განცდილი სოლიდური საკადრო ფიასკოს მიუხედავად (5-5 ჯარიმის გამო სარბიელი შანიძემ, ოგანესიანმა და ახალკაცმა დატოვეს), საქმე დამსახურებულ გამარჯვებამდე მიიყვანეს — 97:90.

**გია პლატონიშვილი.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ჭადრაკი

**როცა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია მსოფლიო ჩემპიონატის გამართვას ვერ ახერხებს, როცა მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეები ფიდეს მიმართ ყოველგვარ ვალდებულებებს იხსნიან, როცა, როგორც იტყვიან, ზოგი ალთას არის და ზოგი – ბალთას, ასეთ ვითარებაში იქნებ, საჭადრაკო საზოგადოებრიობა თვით გარი კასპაროვმა მაინც გაარკვიოს? აი, რამდენიმე ნაწყვეტი მისი უკანასკნელი ინტერვიუდან.**

# იქნებ, კასპაროვმა მაინც გაგვარკვიოს

— ჯერ კიდევ 1993 წელს დავრწმუნდი: ჭადრაკში ძირეული ცვლილებები უნდა მომხდარიყო, ამიტომ მე და შორტი გამოვედით ფიდედან. 1997 წლიდან ილიუმჟინოვმა თავისი ნოკაუტ-სისტემით მსოფლიო ჩემპიონატების გამართვა დაიწყო, ახლა კი სიტუაცია ჩიხში მოექცა. ამასთან, წინა წლებისაგან განსხვავებით, მე აღარ ვაპირებ აქტიური პოზიციის დაკავებას — ამას ჩემთვის კარგი არაფერი მოუტანია. ახლა, უბრალოდ, ვიცდი: შეცვალეთ ზოგი რამ, თუკი გინდათ...

***— შეიძლება ითქვას, რომ თქვენ გული გაგიტეხათ ამ უკანასკნელი წლების კოალიციამ ილიუმჟინოვთან? პრაღის შეთანხმებები ხომ ქაღალდზე დარჩა...***

— რამდენადმე გულგატეხილიც ვარ, მაგრამ, ვიმეორებ, დავიღალე და ინიციატივის გამოჩენას აღარ ვაპირებ. რა უნდა ვთქვა ფიდეზე? სწორედ მის ხელში აღმოჩნდა მსოფლიო ჩემპიონატის გამართვის ყველა უფლება, რომ იტყვიან, ყველა კოზირი, მან კი არაფერი გააკეთა, საჭადრაკო სამყარო რაღაც თავისებურ მდგომარეობაში აღმოჩნდა: არც კალენდარია, არც წესები, არც წარმმართველი ღერძი — ფიდე ვერაფერს აღწევს. საჭიროა საკუთარ სახლში წესრიგის დამყარება, ახალი ორგანიზატორების პოვნა, რომელთაც ჭადრაკის ბედ-იღბალი აინტერესებთ და არა მხოლოდ საკუთარი შემოსავალი. სანამ საჭადრაკო სამყარო ძველებურად იმართება, სანამ ყველაფერი ძირფესვიანად არ შეიცვლება, პირდაპირ გეტყვით, კარგს არაფერს ველი.

***— 2002 წლის ივნისში სეირავანმა თქვა: „თუკი ახლა ყველაფერზე არ შევთანხმდებით, საჭადრაკო სამყარო მრავალი წლით იქნება უკუგდებული.***

— სწორედ ასე მოხდა. ჩვენ აღმოვჩნდით ისეთ სიტუაციაში, რომელიც 1948 წლამდე იყო. ახლა მსოფლიო ჩემპიონის წოდება არაფერს ნიშნავს. იგი, ამჟამად, ასე ვთქვათ, პრაქტიკულად გაქრა კიდეც. ის კლასიკური წოდება, რომელიც სტეინიცის დროიდან დაიწყო, ახლა ბუნებაში აღარც კი არსებობს.

***— კრამნიკს რომ თქვენთვის მატჩ-რევანშის თამაშის საშუალება მოეცა, მაშინ საქმე სხვანაირად იქნებოდა?***

— არის რეალური წოდების შენარჩუნების ორი შესაძლებლობა. ერთია, როცა ოფიციალურ სისტემაში ინარჩუნებ მას. ეს დღევანდელ სიტუაციაში, ეტყობა, შეუძლებელია. მეორეა, როცა წოდება მსოლიოში მართლაც უძლიერეს მოჭადრაკეს ეკუთვნის. თავისთავად ცხადია, მან უნდა დაამტკიცოს, რომ იგი მართლაც უძლიერესია. კრამნიკი ითამაშებს მატჩს მსოფლიო პირველობაზე თუ არ ითამაშებს, ამით ვერაფერს დაამტკიცებს. აი, ზედიზედ 5 უმნიშვნელოვანეს ტურნირში რომ გაემარჯვა, თუნდაც სამში! მას შემდეგ, რაც 2001 წელს ასტანაში გადამწყვეტ პარტიაში დავამარცხე, ყველა ამერიკელი სპონსორისათვის ნათელი გახდა, რომ მატჩ-რევანშის საკითხი, პრაქტიკულად, გადაწყვეტილი იყო. ერთ მატჩში ჩემთან გამარჯვება, თუნდაც დამაჯერებელი, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ შემდეგ აღარავის ეთამაშო, აღარავინ მიაკარო ამ მატჩს.

***— მაშინ ვინ არის, თქვენი აზრით, დღეისათვის კრამნიკი?***

— დღეს მისი წოდება არაოფიციალურია. დიახ, მან პატიოსან მატჩში დაამარცხა მოჭადრაკე, რომელიც, ფაქტობრივად, მსოფლიოში უძლიერესი იყო. მაგრამ „მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე“ — ეს ხომ ეფემერული რამ გახლავთ. დღეს უძლიერესი ხარ, ხვალ — აღარ. ამიტომ ზედიზედ უნდა იგებდე ტურნირებს, ანდა 18 წლის მანძილზე მსოფლიოში პირველი რეიტინგი გქონდეს. კრამნიკმა არც ერთი გააკეთა, არც მეორე, არც მატჩი ითამაშა.

ჩემი აზრით, მსოფლიო ჩემპიონატის ეს განხრა, უბრალოდ რომ ვთქვათ, მოკვდა, თვით მსოფლიო ჩემპიონის წოდებამ ყოველგვარი აზრი დაკარგა. ეტყობა, ჩვენს ეპოქაში ჩემპიონები საჭირონი აღარ არიან, ყველაფერს წყვეტს პირველი რეიტინგი, ან რომელიმე გრან-პრის შედეგები. ეს უფრო შეეფერება ჩვენს დინამიკურ ხანას. შეიძლება სამწუხაროა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონის წოდების შენარჩუნება, სტეინიცის დროიდან რომ არსებობდა, აღარ მოხერხდება. ეს მომენტი დაიკარგა, ამასთან, უკან დაბრუნების შანსიც აღარ არსებობს.

კრამნიკს რომ 2001 და 2002 წელს ჩემთან მატჩ-რევანში ეთამაშა, მაშინ, მისი შედეგის მიუხედავად, წოდება თავის მიმზიდველობას შეინარჩუნებდა — უპირველეს ყოვლისა, სპონსორებისათვის. თუ კრამნიკი მოიგებდა, ყველა კითხვა მოიხსნებოდა, წააგებდა — წოდება მაინც შეინარჩუნებდა თავის მნიშვნელობასა და ლეგიტიმურობას. გასაგებია, მსოფლიო ჩემპიონისა და მსოფლიოს პირველი მოჭადრაკის ცნებები ერთმანეთს დაემთხვეოდა. პრაღაში ფიდეში



შემავალი ყველაზე რადიკალურად განწყობილი ადამიანები ასე თვლიდნენ: კასპაროვთან რომ ხელშეკრულება გაფორმდა, სხვებთან ურთიერთობა უკვე საჭირო აღარ იყო. რეიტინგის მიხედვით კასპაროვი მსოფლიოში უძლიერესი მოჭადრაკეა, იგი ფიდეს ლეგიტიმურობის ფაქტს კიდევ უფრო ამტკიცებს — მორჩა და გათავდა! საკმარისია ისიც, რომ იგი ითამაშებს მატჩს მსოფლიო ჩემპიონთან ფიდეს ვერსიით პონომარიოვთან. ამის შემდეგ ფიდეს ჩემპიონი ხომ მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე ხდებოდა...

***— იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ მატჩს პონომარიოვი მოიგებდა?***

— დიახ, იგი ხომ მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეს ამარცხებდა! ასე რომ, ფიდეს გადაწყვეტილებაში ლოგიკა ნამდვილად იყო. ვფიქრობ, რაიმე რეალური გადაწყვეტილების მიღება ახლაც შეიძლება.

***— რა კონკრეტულ გამოსავალს ხედავთ? ახლა ასეთი გადაწყვეტილებაა მიღებული — კასპაროვი ითამაშებს ნოკაუტ-სისტემით მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულთან.***

— მე ახლა უბრალოდ, მოვიცდი. გადავწყვეტ, რომელ ტურნირებში ვითამაშო, შევადგენ შემდგომი საქმიანობის გეგმებს.

***— ხომ არა გაქვთ ისეთი გრძნობა, რომ თქვენთან არავის სურს თამაში: კრამნიკი არ მიისწრაფის მატჩ-რევანშისაკენ, პონომარიოვსაც არ სურს საფრთხეში ჩააგდოს თავისი წოდება?***

— ჩემთან კარპოვსაც კი არ სურს თამაში. ერთი კომპიუტერიღა დამრჩა! ჩვენ ისეთ სიტუაციაში ვართ, როგორც ფიდეს შექმნის წინ იყო. ოღონდ მდგომარეობა ახლა უფრო ქაოტურია. აღარ არსებობს რანგთა განრიგი. უწინ იყო როგორც მკაცრი იერარქია, ისევე მორალური წესებიც პირობითად, ეივეს შეეძლო მატჩ-რევანში არ ეთამაშა ალიოხინთან, დღევანდელი სიტუაციის ანალოგიურად, ადვოკატები დაექირავებინა და ყოფილი ჩემპიონისთვის ემტკიცებინა, რომ ვალდებული არ არის ხელახლა შეხვდეს მას. მაგრამ არსებობდა ტრადიცია, რომლის დარღვევა შეუძლებლად იყო მიჩნეული. ახლა არც ტრადიციაა, არც რაიმე წმინდა, არც წესები და წესრიგი.

ტრადიცია კარგია, წესები და წესრიგი — კიდევ უკეთესი. როცა წესები არ არსებობს, თითოეულ სიტუაციას საკუთარი სამრეკლოდან აფასებს. არ მინდა ზედმეტად საკუთარ თავში დაჯერებული ვჩანდე, მაგრამ, გარწმუნებთ, ერთადერთი მსოფლიო ჩემპიონი ვიყავი, რომელიც უარს არ ამბობდა, ისეთი გადაწყვეტილებები მიეღო, რომლებიც მის პირად ინტერესებს აზარალებდა.

ახლა კი ყოველი ახალი ჩემპიონი საქმეს ასე უყურებს: რამდენად საინტერესოა იგი მისთვის, რამეს გამორჩება თუ არა. ავიღოთ, მაგალითად, კრამნიკ-ლეკოს მატჩი. გასაგებია, რომ რაღაც თანხას ამ ორთაბრძოლისაგან ნამდვილად გაიღებდნენ, მაგრამ კრამნიკს ეს „რაღაც თანხა“ არ აკმაყოფილებს, მას დიდი ფული უნდა. დიდ ფულს კი არავინ გადაიხდის.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ეს ორთაბრძოლა სპონსორებს ნაკლებად აინტერესებთ. თუ საზოგადოებრივი ინტერესი არ არსებობს, ისე ფულს ვინ მოგცემთ! ჩემი აზრით, ერთადერთი ქვეყანა, სადაც ამ მატჩისათვის თანხის შეგროვება შეიძლება, არის უნგრეთი. ამასთან, არც უნგრეთში გაიღებენ დიდ თანხას. არ არის ის დიდი ინტერესი, რომელიც ფინანსურ საკითხებს წყვეტს ხოლმე.

***— ამბობდნენ, რომ კრამნიკ-კასპაროვის მატჩ-რევანშისათვის ორ მილიონ დოლარს იხდიდნენ.***

— დიახ. გარდა ამისა, კრამნიკს ჩემს მიმართ მორალური ვალდებულებებიც ჰქონდა. ვიმეორებ, მორალური ვალდებულებები, და არა იურიდიული. ყველას ავიწყდება, რომ დორტმუნდი-2002 არ იყო ოფიციალური შესარჩევი ტურნირი მსოფლიო პირველობაზე მატჩის წინ. ეს იყო ტურნირი, რომელშიც გამარჯვებულს შეეძლო კრამნიკთან მატჩის თამაში, თუკი იშოვიდა სათანადო... თანხას. ვთვლი, რომ კრამნიკს მანამდე ჩემთან უნდა ეთამაშა (რაც არ უნდა იყოს, მე ხომ ყველა შეჯიბრებაში გავიმარჯვე ლონდონში კრამნიკთან შეხვედრის შემდეგ). ამას თავი დავანებოთ, რახან დორტმუნდში შესარჩევი ტურნირი გაიმართა, კრამნიკი აუცილებლად უნდა შეხვედროდა ლეკოს, რაც არ უნდა მომხდარიყო, თუნდაც ანაზღაურების გარეშე.

***— ხომ არ ფიქრობთ, რომ კომპიუტერების გამოჩენის შემდეგ ინტერესი ჭადრაკისადმი ეცემა?***

— არა მგონია. პირიქით, მატჩები მანქანებთან დიდ ინტერესს იწვევს.

**გივი გამრეკელი.**

P. S. **ერთი სიტყვით,** გარი კასპაროვს ძალიან აღელვებს დღევანდელ ჭადრაკში შექმნილი სიტუაცია. იგი ხომ ისეთი პიროვნებაა, რომელიც არასოდეს კარგავს სტიმულს. გავიხსენოთ მისი ახალგაზრდობა: გაუთავებელი მატჩები ანატოლი კარპოვთან, რომლებმაც კასპაროვს მსოფლიოში უძლიერესი მოჭადრაკის სახელი მოუტანა, რაც ნაიჯელ შორტსა და ვიშვანათან ანანდთან მომდევნო შეხვედრებმაც დაადასტურეს. კასპაროვი 40 წლისაა, რაც ჭადრაკისთვის სულაც არ ითვლება დიდ ასაკად. იგი უამრავ შეჯიბრებაში იმარჯვებს, ერთი სიტყვით, კვლავ რჩება მსოფლიოში უძლიერეს მოჭადრაკედ, თუმცა ამას ფორმალური დადასტურებაც სჭირდება. აი, სად და როდის, ეს ხომ უკვე ექსჩემპიონზე აღარ არის დამოკიდებული.

გ. გ.

კონტაქტები

# კვლავაც ქართულ ქურაში იწრთობიან

(შემდეგი გვერდიდან)

***— ზამთრობით თბილისში შეჯიბრებებისთვის მოსამზადებლად მაინცდამაინც სახარბიელო პირობები არ არის — ხან შუქი გამოირთვება, ხან — წყალი. საქართველოს ნაკრების წევრების ისრაელში მიპატიჟება ხომ არ გაქვთ განზრახული?***

— რაც აშდოდში ვცხოვრობ, ჩვენი ბიჭები რამდენჯერმე იყვნენ ისრაელში ჩამოსული და ერთობლივი წვრთნაც გავმართეთ. საგაისოდაც ასე გვაქვს დაგეგმილი.

***— საფრანგეთიდან ჩემპიონის ტიტულით ჩასულს როგორ შეგხვდნენ სამშობლოში?***





ერთი დღე ფალავანთა კლუბში.

— აშდოდის მერმა საზეიმო შეხვედრა მომიწყო, ისრაელის ოლიმპიურმა კომიტეტმა კი 25 ათასი დოლარით დამაჯილდოვა. დიდი სიყვარულით მომილოცეს ჩემპიონობა ახლობლებმა და მეგობრებმა. ოქროს მედალი ქართული სუფრით დავლოცეთ. ჩვენ, საქართველოდან ამოსულები, აქაურ ტრადიციებს არ ვივიწყებთ.

***— თბილისში რამდენ ხანს დარჩებით?***

— 22 დეკემბრამდე, შემდეგ ისრაელში გავემგზავრებით და იქ განვაგრძობთ წვრთნას. მოგეხსენებათ, გაისად ოთხწლიანი ციკლის დამაგვირგვინებელი შეჯიბრება გაიმართება. ძალიან მინდა, რომ დიდი სპორტიდან ოლიმპიური მედლით წავიდე.

ნამდვილად კარგი იქნება, ღმერთმა გისმინოს...

**ვაჟა დანელია.**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ასეც ხდება

# დიდოსტატი მაისურებს ყიდის

**19 წლის მოსკოველი დიდოსტატი ალექსანდრა კოსტენიუკი ცნობილი პიროვნებაა ჭადრაკის სამყაროში. ჯერ ერთი, იგი 14 წლის იყო, როცა მსოფლიოში ამ უმაღლესი საჭადრაკო წოდების ყველაზე ნორჩი მფლობელი გახდა. მეორეც, მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატში ქალთა შორის იგი მეორე ადგილზე გავიდა.**

ახლა კი კოსტენიუკმა გადაწყვიტა, ბიზნესის სფეროშიც სცადოს ბედი. „ჭადრაკის კურნიკოვა“, როგორც მას უწოდებენ, სწავლობს მოსკოვის ფიზიკური კულტურის აკადემიაში, საიდანაც თავის დროზე საგნების ჩაუბარებლობის გამო გარიცხეს მსოფლიო შოუ-ბიზნესის ვარსკვლავი ანა კურნიკოვა. და აი, კოსტენიუკმა მიბაძა კურნიკოვას და ახლა სამოდელო ბიზნესში ჩაება — ფეხბურთის მაისურებს დიდი რაოდენობით ყიდის.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ფეხბურთი

# ჩვენი მეტოქე – საბერძნეთის ნაკრები



(მეშვიდე გვერდიდან)

### ნაკრები

*ფედერაცია დაარსდა 1926 წელს.*
***პრეზიდენტი:** ვასილის გაგაცისი.*
***მიღწევები:** მონაწილეობა ევროპის 1980 წლისა და მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატების ფინალურ ნაწილში. ადგილი ფიფას მსოფლიო რეიტინგში – 30.*

*ნაკრები 1994 წლის მსოფლიო პირველობის ფინალურ ნაწილში კი მოხვდა, მაგრამ სამივე მატჩი წააგო საერთო ანგარიშით 0:10. ამიტომ, ბერძენი მიმომხილველების აზრით, სჯობდა ნაკრებს ეს უფლება საერთოდ არ მოეპოვებინა.*



**მთავარი მწვრთნელი ოტო რეჰაგელი (გერმანია).**

2000 წელს საბერძნეთის ნაკრებს სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი გერმანელი მწვრთნელი ოტო რეჰაგელი (მეტსახელად „მეფე ოტო“), რომელმაც აქ ჩინებულ შედეგებს მიაღწია.

რეჰაგელი დაიბადა 1938 წლის 9 აგვისტოს ესენში (გერმანია), თამაშობდა ტისში (1952-60), ესენის „როტ-ვაისში“ (1960-1963), ბერლინის „ჰერტაში“ (1963-1966), „კაიზერსლაუტერნში“ (1966-1972).

წვრთნიდა: „საარბრიუკენს“ (1972-1973), ოფენბახის „კიკერსს“ (1973-1975), ბრემენის „ვერდერს“ (1976 წელს, შემდეგ კი 1981-1995), დორტმუნდის „ბორუსიას“ (1976-1978), ბილეფელდის „არმინიას“ (1978-1979), დიუსელდორფის „ფორტუნას“ (1979-1980), მიუნხენის „ბაიერნს“ (1995-1996), „კაიზერსლაუტერნს“ (1996-2000). მიღწევები: თასების მფლობელთა თასის გამარჯვებული (1992), გერმანიის სამგზის ჩემპიონი (1988, 1993, 1998), გერმანიის თასის სამგზის მფლობელი (1980, 1991, 1994).

ბუნდესლიგის ისტორიაში ოტო რეჰაგელს ერთი რეკორდი ეკუთვნის. მან, როგორც მოთამაშემ და მწვრთნელმა მონაწილეობა მიიღო 1021 მატჩში. ისიც საინტერესოა, რომ თუმცა გამოჩენილ ფეხბურთელად ითვლებოდა, გერმანიის ნაკრებში ერთხელაც არ უთამაშია.

რეჰაგელის, როგორც მწვრთნელის, დიდ მიღწევად ითვლება მუშაობა ბრემენის „ვერდერში“, ახლა კი ნამდვილი ტრიუმფი საბერძნეთის ნაკრებში, რომლის გასვლას ევროპის ჩემპიონატის ფინალში, შეიძლება ითქვას, არავინ ელოდა. ამასთან, აქ მოხდა ერთი მეტად უსიამოვნო რამ: შესარჩევი ტურნირის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე ბერძნებს უნდა ეთამაშათ ერევანში სომხეთის ნაკრებთან, გამარჯვების შემთხვევაში კი ფინალის საგზურს ინაღდებდნენ. და აი, მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე დაიწყო დიდი სკანდალი: სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა რუბენ აირაპეტიანმა პრესისათვის გაკეთებულ განცხადებაში თქვა, რომ მას და ნაკრების მოთამაშეებს ერთ მილიონ დოლარს დაპირდნენ, თუკი თამაშს დათმობდნენ. ვინ დაპირდა, ამაზე არაფერი ითქვა, თუმცა დაასახელეს, რომ ბერძნულმა მხარემ მიმართა ერვანდ სუქიასიანს, სომეხ სპეციალისტს, რომელიც საბერძნეთში მუშაობს. რუბენ აირაპეტიანის სიტყვით, მას არავითარი საქმე არ ჰქონია და არც შეიძლება ჰქონდეს ისეთ ადამიანთან, როგორიც სუქიასიანია, ბერძნების წინადადება კი აღმაშფოთებელია. ეს მატჩი ბერძნებმა მოიგეს – 1:0, ფიფა კი ვერავითარ შემთხვევაში ვერ დატოვებდა გამოუძიებლად ასეთ ფაქტს. ამ გამოძიებამ ვერაფერი გამოავლინა, ის კი ყველამ აღნიშნა, რომ საბერძნეთის ნაკრები სრულიად დამსახურებულად გავიდა ფინალში. რად ღირს მარტო ის ფაქტი, რომ მან გაასწრო ესპანეთის ნაკრებს.

რეჰაგელმა ისე გააძლიერა საბერძნეთის ნაკრების ტრადიციულად უსუსტესი რგოლი – დაცვა, რომ მასთან თამაში, სპეციალისტების აზრით, პორტუგალიაში ყველასათვის ურთულესი პრობლემა იქნება. ეს რგოლი, ერთი მიმომხილველის შედარებით, ჰგავს რკინა-ბეტონის კედელს, რომლის დაძლევაც შეიძლება ევროპის ჩემპიონატის უმთავრესმა ფავორიტებმაც კი ვერ მოახერხონ.

ახლა კი გავეცნოთ საბერძნეთის ნაკრების იმ მოთამაშეებს, რომლებიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში მონაწილეობდნენ.

**მეკარეები** – ანტონიოს ნიკოპოლიდისი (ათენის „პანათინაიკოსი“, 14, 10 1971), კონსტანტინოს ჰალკიასი („პანათინაიკოსი“, 30.06.1974), თეოფანოს კატერიანაკისი (პირეოსის „ოლიმპიაკოსი“, 16.02.1974).

**დაცვა** – პარასკევას ანტცასი („ოლიმპიაკოსი, 18.08.1976), სტილიანოს ვენეტიდისი („ოლიმპიაკოსი“, 19.11.1976), იოანის გუმასი („პანათინაიკოსი“, 24.05.1975), ტრიანოს დელასი (იტალიის „რომა“, 31.01.1976), სოტირიო კირიაკოსი („პანათინაიკოსი“, 23.07.1979), ნიკოლას დაბიზასი (ინგლისის „ნიუკასლ იუნაიტედი“, 03.08.1973), ქრისტოს პაცაცოღლუ („ოლიმპიაკოსი“, 19.03.1979), გეორგიოს სეიტარიდისი („პანათინაიკოსი“, 04.06.1981), პანაიოტოს ფისასი („პანათინაიკოსი“, 12.06.1973), მიხაილ კაპსისი (ათენის აეკი, 18.10.1073).

**ნახევარდაცვა** – გეორგიოს გეორგიადისი („ოლიმპიაკოსი“, 08.03.1972), სტილიანოს იანაკოპულოსი (ინგლისის „ბოლტონ უონდერერსი“, 12.07.1974), თეოდოროს ზაგორაკისი (ათენის აეკი, 27.10.1971), გეორგიოს „ყარაგუნისი“ (იტალია, მილანის „ინტერი“, 06.03.1977), პანტელოს კაფესი („ოლიმპიაკოსი“, 24.06.1978), ვასილიოს ლაკისი (აეკი, 10.09.1976), ანგელოს ბასინასი („პანათინაიკოსი“, 01.01. 1976), ვასილიოს ცარტასი (აეკი, 12.11.1972) ითვლება ნაკრების ლიდერად, ყველაზე ნიჭიერ, ევროპული კლასის ფეხბურთელად), კონსტანტინოს კაცურანისი (აეკი, 21.06.1979).

**თავდასხმა** – ზისის ვრიზასი (იტალიის „პერუჯა“, 09.11.1973), თემისტოკლოს ნიკოლაიდისი (ესპანეთი, მადრიდის „ატლეტიკო“, 17.09.1973), ანგელოს ხარისტეასი (გერმანია, ბრემენის „ვერდერი“, 09.02.1980), ლამბროს ხუტოსი („ოლიმპიაკოსი“, 07.12.1979).

2004 წლის პირველ ნახევარში, ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე, საბერძნეთის ნაკრები სამ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს: 18 თებერვალს შვეიცარიელებთან, 28 აპრილს – ჩეხებთან, ხოლო 29 მაისს – დანიელებთან, რეჰაგელმა სპეციალურად შეარჩია მხოლოდ ძლიერი მეტოქეები – ევროპის ჩემპიონატის ფინალური სტადიის მონაწილეები.

**მოამზადა**
**გივი თორელმა.**



აქეთური, იქითური

## 100 ათასი – პოლიციელის შეურაცხყოფისათვის

**გერმანული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეროვნული ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ყოფილი ნახევარმცველი შტეფან ეფენბერგი პოლიციელის შეურაცხყოფისათვის დაჯარიმებულია 100 ათასი ევროთი.**

როცა პოლიციელმა ეფენბერგი შეაჩერა მანქანის გადაჭარბებული სიჩქარით მართვისათვის, მისგან გაუგონარი ლანძღვა-გინების სიტყვები მოისმინა. ეფენბერგმა აღიარა, რომ ზედმეტად ემოციური იყო, თუმცა მისი ზოგიერთი სიტყვა არასწორად გაიგეს.

## ხელს არავინ ახლებს

**„ჩელსის“ მწვრთნელ კლაუდიო რანიერის ხელს არავინ ახლებს. პირიქით, მისი ავტორიტეტი ინგლისში ძალიან გაიზარდა, კერძოდ ამ დღეებში ერთობ შეაქო უშუალო კონკურენტმა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა.**

მან იტალიელი სპეციალისტის მუშაობას „შესანიშნავად შესრულებული“ უწოდა. თავის მხრივ, ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა სვენ-გორან ერიქსონმა აღნიშნა, რომ იგი „ჩელსიში“ გადასვლას არავითარ შემთხვევაში არ აპირებს. ის, რომ ვიღაც კორესპონდენტმა შეამჩნია, როგორ შევიდა ერიქსონი რომან აბრამოვიჩის ბინაში, სრულიად არაფერს ნიშნავს.



არა, მწვრთნელი „ჩელსიში“ ნამდვილად აღარ იცვლება, თუმცა აბრამოვიჩი გუნდის შემადგენლობის გაძლიერებაზე ნამდვილად ზრუნავს. აი, იმ ფეხბურთელების სრული სია, რომლებიც მან უკანასკნელ თვეებში შეიძინა: მცველები გლენ ჯონსონი (ლონდონის „ვესტჰემ იუნაიტედიდან“) და უეინ ბრიჯი („საუთჰემპტონიდან“), ნახევარმცველები კლოდ მაკელელე (მადრიდის „რეალიდან“), ჯო კოული (ვესტ ჰემ იუნაიტედიდან“), დამიენ დაფი („ბლეკბერნიდან“), ჟერემი (მადრიდის „რეალიდან“), ხუან ვერონი („მანჩესტერ იუნაიტედიდან“), ალექსეი სმერტინი („ბორდოდან“), თავდამსხმელები ადრიან მუტუ („პარმადან“), ერნან კრესპო (მილანის „ინტერიდან“) და კარლტონ კოული („ვულვერჰემპტონ უინდერერსიდან“).

9 ფეხბურთელი უშუალოდ „ჩელსიში“ გამოდის, ორი, იჯარის უფლებით, სხვა კლუბებში თამაშობს: სმერტინი – „პორტსმუტში“, ხოლო კ. კოული – ლონდონის „ჩარლტონ ატლეტიკში“.

## „თუკი ლორი ხარ, ტრიბუნებიდან ლორის თავებს გესვრიან“

**როგორც კი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი ლუიშ ფიგუ ბარსელონის „ნიუ კამპის“ სტადიონზე გამოდის (როგორც მინიმუმი, წელიწადში ორჯერ მაინც), გულშემატკივრები ენით აუწერელ ღრიანცელს იწყებენ.**

საკმარისია „რეალის“ ნახევარმცველმა ბურთი მიიღოს, რომ მაშინვე გამაყრუებელი სტვენა გაისმის. საქმე ის არის, რომ პორტუგალიელი ადრე „ბარსელონაში“ თამაშობდა და ღალატის პატიებას, როგორც ჩანს, არავინ აპირებს.

ცნობილი ბულგარელი ნახევარმცველი ხრისტო სტოიჩკოვიც თავის დროზე „ბარსელონაში“ თამაშობდა და დღემდე მისი გულშემატკივარია. იგი თვლის, რომ ფიგუმ „იღორა“, როცა ფულისათვის „ბარსელონა“ დატოვა და „რეალში“ გადავიდა.

– თუ ღორი ხარ, მაშინ ტრიბუნებიდან ღორის თავებს გესვრიან“.

ბულგარელს მხედველობაში ჰქონდა, რომ ფიგუს ტრიბუნებიდან ათას რამეს ესვრიან, მათ შორის – შებოლილ ღორის თავსაც.

## ვისაც ვანდერლეი წვრთნის, ის იმარჯვებს კიდეც

**ბრაზილიის ნაკრების ყოფილ მწვრთნელ ვანდერლეი ლუქსემბურგოს ხან რას სწამებენ და ხან – რას (მოთამაშეების გაყიდვისას ფულის ნაწილის მითვისებას, გადასახადის გადაუხდელობას და ა. შ.), ხან რომელ სასამართლოში იბარებენ და ხან – რომელში, მაგრამ ერთი რამ ცხადია, მისი გუნდები ყოველთვის იმარჯვებენ.**

ამ დღეებში მთავრდება ბრაზილიის ჩემპიონატი, მაგრამ ერთი რამ კარგა ხანია უკვე ცნობილია: პირველი ადგილი პირველად (!) მოიპოვა ბელუ-ორიზონტეს „კრუზეირომ“, რომელსაც ვანდერლეი ლუქსემბურგო წვრთნის. ადრე მისი ხელმძღვანელობით ჩემპიონობა ორჯერ ზედიზედ „პალმეირასმა“ მოიპოვა, ერთხელ კი – „კორინთიანსმა“.

## „18 მილიონი გირვანქა სტერლინგი არავის შემოუთავაზებია“

**ინგლისის ნაკრების მწვრთნელი, შვედი სვენ-გორან ერიქსონი აცხადებს, რომ ტყუილად უვრცელებენ სხვადასხვანაირ ხმებს. „ჩემთვის რომან აბრამოვიჩს 18 მილიონი გირვანქა სტერლინგი არასოდეს შემოუთავაზებია, თორემ მაშინვე დავიწყებდი „ჩელსიში“ მუშაობას, რა გამაჩერებდა!“**



როგორც ერიქსონი თვლის, ინგლისის „ჩემპიონატი ერთობ საინტერესო გახდა მას შემდეგ, რაც „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „არსენალის“ ტრადიციულ დუელს მეტისმეტად მომძლავრებული „ჩელსიც“ დაემატა.

## ტედი შერინგემი: „პორტსმუტიდან“... სამარაში?!

**37 წლის თავდამსხმელ ტედი შერინგემს ინგლისურ ფეხბურთში დიდი სახელი აქვს. მან (რომლის ნამდვილი სახელია ედვარდი) კარიერა 18 წლის ასაკში „მილუოლში“ დაიწყო, სახელი კი „ტოტენჰემ ჰოტსპურსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედში“ გაითქვა, „მანჩესტერ იუნაიტედში“ 1997 წელს მან ერიკ კანტონა შეცვალა, ჩემპიონთა თასის ფინალში „ბაიერნთან“ გოლი გაიტანა და ამ მეტისმეტად პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი გახდა.**

ინგლისის ჩემპიონატში 573 მატჩი გამართა და 247 გოლი გაიტანა, ჩინებულად თამაშობდა ევრო-96 და მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატებში, ინგლისის ნაკრებში 51 მატჩი (11 გოლი) ითამაშა.

ამას წინათ სამარის „კრილია სოვეტოვის“ მწვრთნელი ჰაჯი ჰაჯიევი ინგლისს ეწვია, სულ მალე კი სახელოვანი თავდამსხმელი შეიძლება სამარაში აღმოჩნდეს.



## თუკი ვარსკვლავს იყიდი, დანახარჯს აანაზღაურებს... მაისურები!

**თითოეული დიდი ტრანსფერი მარკეტინგთანაც არის დაკავშირებული – როცა რონალდო ან ბექჰემი იყიდა, „რეალმა“ იმ წელსვე აინაზღაურა დანახარჯის ნახევარი... მათი მაისურების გაყიდვით.**

ამ მხრივ რეკორდსმენი მაინც ნაკატაა: როცა იგი „პერუჯაში“ ჩაირიცხა, იაპონიაში უამრავი მაისური გაიყიდა ამ გამოჩენილი ფეხბურთელის გამოსახულებით.

## 16 დეკემბერს დააჯილდოვებენ

**ბრიტანულმა ჟურნალმა „4-4-2“ გამოაქვეყნა ფეხბურთთან დაკავშირებული ყველაზე მდიდარი ადამიანების სია.**

პირველ ადგილზეა „ჩელსის“ მეპატრონე რომან აბრამოვიჩი (რომლის ქონება 5 მილიარდ 500 მილიონი გირვანქა სტერლინგია), მეორე ადგილზეა ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურისა“ და შოტლანდიური „გლაზგო რეინჯერსის“ აქციონერი ჯო ლუისი. ამ სიაში ერთი მწვრთნელიცაა – „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელი ალექს ფერგიუსონი, ფეხბურთელებს შორის კი ყველაზე მდიდარია დევიდ ბექჰემი (60 მილიონი გირვანქა სტერლინგი).

აბრამოვიჩი სხვებთან ერთად წარდგენილია ჯილდოზე „ლონდონელი წლის პერსონა“, რომელსაც 16 დეკემბერს მიანიჭებენ.

## კილფრიდ შეფერი „სპარტაკ-ალანიას“ ხელმძღვანელებს

**კილფრიდ შეფერი ცნობილი გერმანელი მწვრთნელია. იგი მუშაობდა მიუნხენ-გლადბახის „ბორუსიასა“ და „კარლსრუეში“, დიდ წარმატებებს მიაღწია კამერუნის ნაკრებში, სადაც მოიპოვა აფრიკის თასი, გავიდა კონფედერაციის ფინალში და მონაწილეობდა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატში.**

იანვრიდან შეფერი ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიას“ ჩაუდგება სათავეში.

## აინტერესებთ ვერპაკოვსკისი

**ლატვიის ნაკრებისა და რიგის „სკონტოს“ თავდამსხმელი მარის ვერპაკოვსკისი, რომელიც ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირის შემდეგ პოპულარული გახდა, ახლა ინგლისში იმყოფება, სადაც პრემიერ-ლიგის კლუბ „პორტსმუტში“ ისინჯება.**

აქ მას რეკომენდაცია მისცა პირადმა აგენტმა, ინგლისელმა გერი ჯონსონმა, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ ლატვიის ნაკრებს წვრთნიდა. „პორტსმუტის“ გარდა, ვერპაკოვსკისი აინტერესებთ ინგლისის „არსენალსა“ და „ვულვერჰემპტონ უინდერერსს“, აგრეთვე, სამარის „კრილია სოვეტოვს“.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ყოველი მხრიდან



### პაპი „ლივერპულს“ ქომაგობს

**ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ახლანდელი რომის პაპი იოან პავლე II – ახალგაზრდობაში კაროლ ვოიტილა-საიმადო მომავლის მეკარედ ითვლებოდა. თუმც კათოლიკური ეკლესიის მეთაურად აღზევების შემდეგაც არ ივიწყებს ფეხბურთს, არცთუ იშვიათია მისი შეხვედრები ამ საყოველთაო თამაშის გრანდებთან.**

იმასაც ამბობენ, რომ ამას წინათ გამართული იტალიისა და პოლონეთის ნაკრებების შეხვედრისას, პაპს გაუჭირდა, თუ ვისთვის ექომაგა. თუმც, როგორც „ლივერპულის“ პოლონელი ლეგიონერი ეჟი დუდეკი ამტკიცებს, ის კი ახლახან პაპთან იყო მიღებაზე, მისმა უწმინდესობამ უკვე გააკეთა არჩევანი. ის დაინტერესებულია ამ ინგლისური კლუბის წარმატებებით. „მე ვესაუბრებოდი რომის პაპის ახლობელ ადამიანებს და მათ მითხრეს, რომ მან გაიხსენა „ლივერპულში“ ჩემი გამოსვლები. როგორც ჩანს, ის ფიქრობს საერთოდ ფეხბურთზე, ჩემზე და ჩემს კლუბზეც“.

„ლივერპულის“ საიტის ადმინისტრაცია, კარგა ხანია, ეჭვობს, რომ ვატიკანში არიან „წითლების“ ქომაგები – კლუბში ხომ რეგისტრირებულია ექვსი იქაური მღვდელი.

### თუ ფსონის ჩასვლას აპირებთ...

**მხოლოდ გუშინწინ გაიმართა ევროპის ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის გათამაშებაში მონაწილე გუნდების წილისყრა და დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა საბუკმეკერო კანტორამ William Hill უკვე გამოაქვეყნა წინასწარი კოტირება.**

ამ სამაზანდო პროგნოზის მიხედვით ჩემპიონთა ლიგაში მთავარ ფავორიტ კლუბებად მიჩნეულია მადრიდის „რეალი“, რომლის გამარჯვების შანსი შეფასებულია მაჩვენებლით 4.00 და „მანჩესტერ იუნაიტედი“ – 5.50. შემდეგ მოდიან ლონდონის „არსენალი“ (7.00) და „ჩელსი“ (7.50). მათ მოსდევს ახლანდელი ჩემპიონი „მილანი“ (8.00). ძალზე მცირე შანსი აქვს დატოვებული მოსკოვის „ლოკომოტივს“ – 67.00.

უეფას თასის გათამაშებაში მთავარ ფავორიტად იტალიურ „რომას“ მიიჩნევენ – 5.50, შემდეგ მოდიან ესპანური „ბარსელონა“ (6.50) და „ვალენსია“ (7.50). მოსკოვის „სპარტაკი“ 51.00 კოეფიციენტით სადღაც პროგნოზების შუაგულშია.

ღმერთმა ხელი მოუმართოს ამ ტურნირებში მონაწილე ყველა გუნდსაც და მათი გამარჯვებით დაიმედებულ თითოეულ ფსონის ჩამდებსაც.

### რა ვერ გაიყვეს?

ფიგურული ციგურაობის მსოფლიო ფედერაციამ (WSF) სასამართლოში უჩივლა მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირს (ISV) – ორგანიზაციას, რომლის ეგიდითაც იმართება ფიგურისტების ყველა დიდი ტურნირი. მომჩივანნი ბრალს სდებენ საერთაშორისო კავშირსა და მის პრეზიდენტს ოტავიო ჩინკვანტს „ანტისამეჯიბრო საქციელსა“ და „საერთაშორისო ფიგურული ციგურაობის მონოპოლიაში“.

ფიგურული ციგურაობის ფედერაცია, რომელიც წლეულს, მარტში შეიქმნა, როგორც საერთაშორისო კავშირის ალტერნატიული გაერთიანება, ჩივის, რომ ISV საჯარიმო სანქციებს იყენებს იმ სპორტსმენებისა და ორგანიზაციების მიმართ, ვინც მხარს უჭერს ამ ახალ ფედერაციას.

### ტექნიკური ნოკაუტით

მსოფლიო ექს-ჩემპიონმა ქვესაშუალო წონაში, ამერიკელმა მოკრივემ ფერნანდო ვარგასმა გაიმარჯვა ტექნიკური ნოკაუტით თავის თანამემამულე ტონი მარშალთან ბრძოლაში.

მეშვიდე რაუნდის შემდეგ მსაჯმა ორთაბრძოლა შეწყვიტა, რადგან მარშალს წარბი საშინლად გაუსკდა.

### ყოველ წელს – რომელიმე დიდი ფეხბურთელი

**მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა განაცხადა, რომ გააგრძელებს ტაქტიკას, რომელიც ჯერ კიდევ 2000 წელს აირჩია. ეს გახლავთ ყოველწლიურად რომელიმე, მსოფლიო სახელის მქონე, დიდი ფეხბურთელის მიწვევა.**

მართალია, პრეზიდენტს კონკრეტულად არ უთქვამს, ვისი შეძენა სურს 2004 წლისათვის „რეალის“ შემადგენლობაში, ჟურნალისტების აზრით კი, ეს იქნება ტიერი ანრი ლონდონის „არსენალიდან“, რომლის შესახებაც ახლა ბევრს წერენ ესპანურ პრესაში.

### უმცროსმა ძმამ უფროსს გადააჭარბა?!

2002-2003 წლების სეზონი პირდაპირ ბრწყინვალე იყო „მილანის“ თავდამსხმელ ფილიპო ინძაგისთვის, რომელსაც უამრავი გოლი გაჰქონდა. ახლანდელ, 2003-2004 წლების სეზონში „პიპო“ უკვე აღარაფრით გამოირჩევა, უამრავი მატჩიც გამოტოვა ტრავმის გამო.

სამაგიეროდ, ფილიპოს უმცროსი ძმა სიმონე ინძაგი (რომის „ლაციო“) ისე კარგად თამაშობს, როგორც არასდროს. ახლა მისი გადაბირება ინგლისურ კლუბებს „ტოტენჰემ ჰოტპურს“, „ბირმინგემ სიტისა“ და „მიდლსბროს“ სურთ.

### 23 ათასი კრონა – ცოლის ცემისათვის

შვედური „მალმიოს“ მცველი, 24 წლის ელანგა თვენახევრით აყურყუტეს ციხეში ცოლის ცემისათვის. გარდა ამისა, მან ცოლს 23 ათასი შვედური კრონაც (2550 ევრო) უნდა გადაუხადოს.

### „არსად მივდივარ, ცილს მწამებენ!“

განთქმული თავდამსხმელი კრიტსიან ვიერი ახლა ისე უხეიროდ თამაშობს, რომ მილანის „ინტერის“ გულშემატკივრები (ადრე მის მზეს რომ ფიცულობდნენ) გადაიმტერა. ამავე დროს, ვრცელდება ხმები, რომ იგი „ინტერის“ დატოვებას და „ჩელსიში“ გადაბარგებას აპირებს.

– არსად მივდივარ, ცილს მწამებენ, – აცხადებს ვიერი.

### ჩოგბურთის დედოფალს ბრალს სდებენ

**დღეს პლანეტის ქალთა საჩოგბურთო ელიტას ლიდერობს ბელგიელი ჟიუსტენ ენინ-არდენი, რასაც ვერ იტანს „დედოფლის ტახტზე“ მისი წინამორბედი და თანამემამულე კიმ კლიისტერსი და ცდილობს ყოველმხრივ, არა მარტო კორტზე, მის „დამხობას“.**



ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც აშშ ღია ჩემპიონატზე ჟიუსტინმა დაამარცხა კიმი, ამ უკანასკნელის მამამ – ლეომ წამსვე დაადანაშაულა გამარჯვებული დოპინგის გამოყენებაში: თითქოს ჟიუსტენმა წონაში იმიტომ მოიმატა და კუნთებიც გაიმაგრა, რომ აკრძალულ ნივთიერებებს იყენებს. ამან ძალზე გააოცა და აღაშფოთა ჩოგბურთელის მწრთნელი კარლოს როდრიგესი, მან ორი შვილიც კი დაიფიცა, რომ ჟიუსტენს არასოდეს გამოუყენებია დოპინგი. თავად ჟიუსტენმა კი განაცხადა „ჩემი ერთადერთი სტიმულატორია დაძაბული ვარჯიში“, და ისიც დაამატა, რომ მზადაა ყოველგვარი ტესტების გავლისათვის, რათა დოპინგისაგან თავისი ორგანიზმის სისუფთავე დაამტკიცოს.

თუმც მეტოქემ ეს არ იკმარა. კიმ კლიისტერსმა თანამემამულე სიმულაციაში დაადანაშაულა, თითქოს იგი ცდილობდა მოწინააღმდეგეების რიტმის დაცემას. ამის მაგალითად კალიფორნიის ტურნირი მოიტანა, სადაც ენინ-არდენმა კვლავ დაამარცხა კლიისტერსი. შეხვედრის დასაწყისს ჟიუსტენი აგებდა. მან სამედიცინო შესვენება მოითხოვა, რათა სახვევები შეეცვალა, ხოლო მატჩის განახლების შემდეგ მკვეთრად მოუმატა ტემპს, ორთაბრძოლა გამარჯვებითაც დაასრულა და 148 ათასი დოლარიც მოიპოვა. „ამას ეგ პირველად როდი აკეთებს“, – განაცხადა მატჩის შემდეგ კიმმა. მისი თქმით, ეს ენინ-არდენის განსაკუთრებული ხერხია და თუ შეხედავთ, თუ როგორ დახტის კორტზე, მიხვდებით, რომ ტკივილები მაინცდამაინც არ აწუხებსო.

ბუნებრივია, მეტოქემ ამ ბრალდებაზეც უპასუხა: „ჩემთვის აუცილებელი იყო სახვევის შეცვლა, რათა ამეცდინა კოჟრების გადაყვლეფა. კიმი, ალბათ, გულს იმშვიდებს, ასეთ რამეს რომ ამბობს. ავი განზრახვით მე არაფერი ჩამიდენია“.

## ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## მოყვარულები. IV ნაწილი

საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნაზი გოგიშვილის ახალგაზრდა შეგირდი **ალექსანდრე ალექსეევი** (დაიბ. 1985 წ.). საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტია. იგი გულმოდგინედ ეუფლება სპორტის საყვარელი სახეობის საფუძვლებს და ჩვენი რუბრიკის დღევანდელ გამოშვებაში თავისი ვარჯიშების ჩვენებას განაგრძობს.

### ფეხის კუნთების ვარჯიშები

**1. ფეხის ორთავა კუნთების ვარჯიში ჰანტელის მეშვეობით (სურ. 1,2).** ათლეტი სკამზე მუცლით და ფეხებით სწევს ჰანტელს. სრულდება 6 მისვლა 12-12 გამეორებით.

**2. ანალოგიური ვარჯიში ერთი ფეხით ტრენაჟორზე (სურ. 3).** იგივე ვარჯიში შემდეგ სრულდება მეორე ფეხით. შესაძლებელია ორივე ფეხით ერთად შესრულებაც. სრულდება 6-6 მისვლა თითოეული ფეხისათვის 10-10 გამეორებით.

**3. ფეხის ოთხთავა კუნთების ვარჯიში ტრენაჟორზე (სურ. 4).** წინა ვარჯიშის ანალოგიურად თითოეული ფეხისათვის ან ერთდროულად ორივე ფეხისათვის სრულდება 6-6 მისვლა 12-12 გამეორებით.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**

**ნაზი გოგიშვილის ფოტო.**



4



1



2



3

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## „მნათობის“ ფურცლებიდან

### დევიდ ჰერბერტ ლოურენსი

# პორნოგრაფია და უხამსობა

პორნოგრაფია სექსის შეურაცხყოფის, მისი გაბინძურების მცდელობაა. ამის პატიება კი ნამდვილად არ შეიძლება. პრიმიტიული მაგალითი ზოგიერთ ქალაქში ნაძირალების მიერ გაყიდული ცნობილი სურათებია. ზოგიერთები მეც მინახავს. ისეთი მახინჯია, ტირილი მოგინდება. ეს ადამიანის სხეულის შეურაცხყოფაა! ადამიანური ურთიერთობების მასხრად აგდებაა! ადამიანურ სიშიშვლეს იგი მახინჯ და იაფფასიან სანახაობად გადააქცევს, სექსუალურ აქტს კი საშინელ, სამარცხვინო ქმედებად, სადაც ყოველივე დაკოდილი, დამდაბლებული და ბინძურია.

იატაკქვეშეთიდან გაყიდულ წიგნებშიც იგივე ისტორიას ვხვდებით. ან ისე უგემოვნოა, გული აგერევა, ან ისე ბრიყვულია, ველარ გაგიგია, ვინ კითხულობს ან ვინ წერს, ალბათ, ვინმე კრეტინი ან ჭკუასუსტი.

სკაბროზულ ლექსებზე, მსუყე სადილის შემდეგ რომ ჩამოარაკრაკებენ ხოლმე, იგივე შეიძლება ითქვას, ან თუნდაც უხამს ანეკდოტებზე, კომივოიაჟერები რომ უმასპინძლდებიან ერთმანეთს მგზავრობისას, მოსაწევ ოთახში. ხანდახან მართლა სასაცილო გვხვდება, რა თქმა უნდა, გამონაკლისის სახით; ძირითადად კი, როგორც წესი, ზიზღის მომგვრელია. ხოლო მისი, ეგრეთ წოდებული იუმორი ის ფოკუსია, რომელიც სექსის გათხვრის უფლებას იძლევა.

კი, ბატონო, ჩვენს თანამედროვეთა უმეტესობის სიშიშვლე მახინჯი და უბადრუკია, მათი სექსუალური ურთიერთობები კი ასევე უშნო და უფერული. თავის მოსაწონებელი აქ არაფერია, ეს ჩვენი ცივილიზაციის უბედურებაა. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი მასშტაბით დამამცირებელი და სამარცხვინო სიშიშვლე, უბადრუკი და დასნეულებული სექსი, არც ერთ სხვა, თვით რომის ცივილიზაციასაც კი არ უწარმოებია. რადგან არც ერთ ცივილიზაციას სექსი იატაკქვეშეთში, სიშიშვლე კი საპირფარეშოში არ შეუდენია.

გონიერი ახალგაზრდები, მადლობა ღმერთს, მგონი მზად არიან შექმნილი მდგომარეობა გამოასწორონ. მათ არ სურთ ნორჩი სიშიშვლე უფროსების იმ დახუთულ, პორნოგრაფიულ და დახშულ სამყაროში ჩაკეტონ, სადაც ყველაფერი ჩუმ-ჩუმად კეთდებოდა. ისინი თავიანთ სექსუალურ კავშირებს აღარ მალავენ. ვაი-წმინდანებს, ეს, რა თქმა უნდა, ძლიერ აღშფოთებთ, სინამდვილეში კი ეს დიდი ცვლილებაა, ეს რევოლუციაა, ნამდვილი რევოლუცია.

არადა, განსაცვიფრებელია, თუ რა ძლიერია პრიმიტიულსა და უხამს ადამიანებში სექსის გათხვრის სურვილი. ახალგაზრდობისას გულუბრყვილოდ მეგონა, რომ ამ ნორმალურ, ერთი შეხედვით ჯანმრთელ მამაკაცებს, რომლებსაც მატარებელში ან სასტუმროთა მოსაწევ ოთახებში ვხვდებოდი, გრძნობებიც გონიერი ექნებოდათ და სექსს სასარგებლო და ამაღელვებელ საქმიანობად ჩათვლიდნენ. არა, ბატონო! გაგონილა? ასეთი ადამიანები სექსს ჩვეულებრივ ზიზღითა და სიძულვილით აღიქვამენ და საკუთარი გრძნობების უხეშად და უკმეხად ჩაწიხლვის სურვილით იწვიან. როცა ასეთი ადამიანები ქალთან კავშირში შედიან, ზეიმობენ და მიაჩნიათ, რომ ამით ქალი დამცირდა, უფრო ცუდი გახდა, ყურადღების ღირსი აღარაა და აბუჩად აგდებაც შეიძლება.

ბინძურ ისტორიებს სწორედ ასეთი ტიპები ყვებიან, უხამსი სურათებიც მათ დააქვთ და უწმაწური გამოთქმებიც ზეპირად იციან. ეს დიდი პორნოგრაფიული კლასია — რიგით ობივატელთა კლასი. სექსი მათ თავგადაკლულ პურიტანელებზე ნაკლებად როდი ძულთ და ეზიზღებათ და როგორც კი ბუკის ხმას გაიგონებენ, მაშინვე ანგელოზთა მხარეზე დგებიან. ნამდვილი სექსუალური ურთიერთობა მათ მხოლოდ უარყოფით პერსონაჟთა და ავხორც ბოროტმოქმედთა ხვედრად სურთ გადააქციონ. ტიციანსა და რენუარს ურცხვობად თვლიან და მათგან ცოლებსა და ქალიშვილებს იცავენ.



რატომ? იმიტომ, რომ სექსის სიძულვილის ვულგარული ვირუსით არიან დაავადებულნი, რასაც თან ბინძური ავხორცობის სიძვისეული ავადმყოფობაც ერთვის. ადამიანის ორგანიზმში სექსუალური და ფეკალური ფუნქცია ერთმანეთში მჭიდროდაა გადაჯაჭვული და ამასთანავე, დიამეტრალურად ურთიერთსაწინააღმდეგოა. სექსი — შემქმნელი ნიაღვარია, განავალი კი — დამანგრეველი, ასე ვთქვათ, დამშლელი ნიაღვარი. ნამდვილად ჯანმრთელ ადამიანს ეს ორი ფუნქცია მკვეთრად გამიჯნული აქვს. ამ ორი ნიაღვრის უკუქმედებას, როგორც ჩანს, ჩვენი ყველაზე სიღრმისეული ინსტინქტები წარმოშობს.

დეგრადირებულ ადამიანში კი სიღრმისეული ინსტინქტები ჩაფერფლილია და ეს ორი ნიაღვარი ერთმანეთს ერწყმის. სწორედ ამაშია ვულგარული ადამიანების საიდუმლოება: სექსისა და განავლის ნიაღვრებს შორის განსხვავებას ვერ ხედავენ. ეს კი მაშინ ხდება, როცა სული იღუპება და უმთავრესი მაკონტროლებელი ინსტინქტები აღარ მუშაობენ. ჰოდა, სექსი სიბინძურედ გადაიქცევა, სიბინძურე — სექსად, სექსუალური აღგზნება — უხამს გართობად, ქალის სექსუალურობის ნებისმიერი გამოვლინება — გარყვნილების ნიშნად. ამქვეყნად ჩვეულებრივი, ვულგარული ადამიანური არსებები ასე იბადებიან, სახელად ლეგიონი ჰქვიათ, ხმას სწორედ ისინი იმაღლებენ, Vox populi, vox dei-ც ისინი არიან და ყოველგვარი პორნოგრაფიის წყაროც სწორედ ისინი და სხვა არავინ, ხდებიან...

მეცხრამეტე საუკუნის თითქმის მთელ ლიტერატურას პორნოგრაფიული ნადები ფარავს; ბევრი ისეთი, თავი პიწკია რომ ჰგონია, პორნოგრაფიული თვისებების მატარებელია და თავად პორნოგრაფიისაკენ სწრაფვაც დღევანდელივით ძლიერი არასოდეს ყოფილა. ეს ორგანიზმის დაავადების ნიშანია, მაგრამ ამ დაავადების მკურნალობა მხოლოდ სექსის, სექსუალური სტიმულის აღიარებით შეიძლება. ნამდვილ პორნოგრაფიას ბოკაჩო ჭეშმარიტად სძულს. იტალიელი მთხრობელის ჯანმრთელი, შეურყვნელი ბუნებრიობა ხომ თანამედროვე პორნოგრაფიულ არარაობას იძულებულს ხდის იგრძნოს, რა ბინძური ჭია-ღუა ბრძანდება. დღეს ბოკაჩოს ყველა ახალგაზრდა და მოხუცი უნდა კითხულობდეს, რა თქმა უნდა, თუ თავად უნდათ. სასარგებლო მხოლოდ სექსთან ნებაყოფლობითი, სუფთა და ღია ურთიერთობა შეიძლება აღმოჩნდეს, ახლა კი ნაჩუმათევი, თითქმის საიდუმლო პორნოგრაფიის ჭაობში ვიხრჩობით. აღორძინების ხანის ნოველისტები ბოკაჩო, ლასკა და სხვები დღესდღეობით შეიძლება საუკეთესო შხამსაწინააღმდეგო საშუალებები აღმოჩნდნენ. აი, პურიტანელთა აბები კი, ვინ იცის, რა საწინააღმდეგო ეფექტს გამოიწვევენ.

პორნოგრაფიის მთელ პრობლემას, ვგონებ, ის წარმოშობს, რომ ყველა გაჩუმებას ამჯობინებს. მალულობა და მოკრძალება ხომ აბსოლუტურად განსხვავებული ცნებებია. მალულობა მუდამ შიშს შეიცავს, რაც ხშირად სიძულვილში გადაიზრდება ხოლმე. მოკრძალება კი დელიკატური და თავშეკავებულია. დღეს მოკრძალება პატივში აღარ ჰყავთ, თუმცა დამცველ ვაი-წმინდანთა ზედამხედველობის ქვეშ მოექცა. მალულობას კი, ამ მანკიერებას, ძალიან ეფერებიან. ვაი-წმინდანთა დამოკიდებულება ახლა ასე ჟღერს: ძვირფასო გოგონებო, სანამ საკუთარ საიდუმლო სურვილებთან ჩახუტებულებს გძინავთ, შეგიძლიათ მოკრძალება ფეხებზე დაიკიდოთო.

ეგრეთ წოდებული „ფარული, უხამსი სურვილები“ თანამედროვე ბრბოსთვის უკიდეგანოდ ძვირფასი რამ გახდა. ამ თავისებურად მტკივნეულ ადგილს დიდი გულმოდგინებით მალავენ. ეს ხომ ქავილია, რომლის მოფხანა კი არა, შეხებაც კი ისეთ მძაფრ შეგრძნებებს გამოიწვევს, წარმტაცად რომ მოგეჩვენება. სწორედ ამ ფარულ, უხამს სურვილებს კიდევ და კიდევ იმდენს იფხანენ და ხეხავენ, სანამ იდუმალი ქავილი ყველაფერს არ მოედება და ადამიანის ნერვული მდგომარეობაცა და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობაც მის ხელში არ აღმოჩნდება. სრული საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ თანამედროვე სასიყვარულო რომანებისა თუ ფილმების თითქმის ნახევრის წარმატება სწორედ ამ ფარული, უხამსი სურვილების იდუმალ ქავილზეა აგებული. თუ გნებავთ, ამასაც შეგიძლიათ სექსუალური აღტკინება დაარქვათ — სინამდვილეში კი ფარული, ქურდული სექსუალური აღგზნება განსაკუთრებულ ხასიათს ატარებს. აბა, როგორ შევადარო ბოკაჩოს ზოგიერთ ისტორიაში წარმოდგენილი სუფთა და მარტივი, აშკარად გამოვლენილი და გულწრფელი სწრაფვა ამ ქურდულ ნდომას, რომელიც სრული საიდუმლოების ვითარებაში უხამსი, ფარული სურვილების ქექვით იშვება და რომლითაც დღევანდელი ბესტსელერების ფურცლებია გაჟღენთილი? პორნოგრაფიის არსი სწორედ აქავებული ადგილების ეს წარმოსახვით-პიკანტური ქექვაა. უფრო მეტიც, ეს უგვანობაა და თანაც ძალიან სახიფათო უგვანობა.

როგორ გავექცეთ? მხოლოდ ერთი გზა არსებობს: საიდუმლო დღის სინათლეზე გამოვიყვანოთ! აღარ გვინდა საიდუმლოებები? ერთადერთი საშუალება, რომელიც სექსთან დაკავშირებულ საშინელ სულიერ ქავილს დააცხრობს, მისი ლაღად, მარტივად და ბუნებრივად აღქმაა. ძალიან ძნელია? ფარულობა ვერაგი ხაფანგია? რა თქმა უნდა. მაგრამ ადრე თუ გვიან ხომ უნდა დავიწყოთ. თუ ადამიანი თავის აუტანელ ქალიშვილს ეტყვის „შვილო, ერთადერთი სიხარული შენგან მაშინ მივიღე, როცა ჩაგსახეო“, ამ ადამიანმა უკვე ბევრი გააკეთა, რათა თავისი თავიც და ქალიშვილიც ფარული, უხამსი სურვილებისგან გაეთავისუფლებინა.

შეიძლება დღის სინათლეზე გამოიტანო სექსი, მაგრამ ფარული უხამსობისგან მაინც ვერ განთავისუფლდე. შეიძლება გადაქექო მარსელ პრუსტის ყველა რომანი, სადაც ყველაფერი დაწვრილებითაა აღწერილი, ფარული უხამსობა კი მაინც ვერ ამოძირკვო და ვინ იცის, იქნებ სიცოცხლისუნარიანობაც გაუმძაფრო. შეიძლება სრული გულგრილობა და სექსუალური პასიურობა გამოიწვიო, ფარული უხამსობა ამასაც აიტანს. დაბოლოს, შეიძლება მუსუსისა და ახალი დონ-ჟუანის სახელი დაიგდო, სულში კი მაინც ფარული უხამსობა მეფობდეს...

დღევანდელი მსოფლიოს ყველაზე დიდი სიცრუე სწორედ უმანკო სიწმინდისა და ფარული უხამსობის სიცრუე გახლავთ. ეს ვაი-წმინდანები, მეცხრამეტე საუკუნიდან მემკვიდრეობით რომ მივიღეთ, სწორედ ამ სიცრუის განსახიერება არიან. ისინი საზოგადოებას მართავენ, პრესას ხელმძღვანელობენ, ლიტერატურას მოთავეობენ, ყველაფერს მოედვნენ და, ბუნებრივია, ობივატელთა ბრბოც აიყოლიეს.

ეს, რა თქმა უნდა, ცენზურას ნიშნავს. იგი კრძალავს ყოველივეს, რაც უმანკო სიწმინდისა და ფარული უხამსობის სიცრუეს უჯანყდება. სამაგიეროდ, მხარს უჭერს ეგრეთ წოდებულ ნებადართულ პორნოგრაფიას, ამ შელამაზებულ, მაგრამ თხელი ქვედა საცვლის ქვეშ აფუსფუსებულ ფარულ უხამსობას. ვაი-წმინდანები ჩაივლიან, მალულ პორნოგრაფიას ხოტბას აღუვლენენ, გულწრფელად ნათქვამ ყველა სიტყვას კი საფუძველშივე ჩაახშობენ....

სანამ საზოგადოება ვაი-წმინდანების მხარეს იდგება, ყოველი წიგნი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ტკბილმოუბარ სიცრუეს თავს დაესხმება, გაჩენისთანავე განადგურდება. მაგრამ ვაი-წმინდანებიც უნდა გაფრთხილდნენ. ჩვენს თანამედროვეობაში საზოგადოება მაინცდამაინც სანდო აღარაა. და არც მისი დამოკიდებულებაა ოდესღაც გაღმერთებულ „წმინდანებთან“ ძველებურად თვინიერი. სხვა განწყობის ადამიანებიც გაჩნდნენ, თუმცა ჯერ ცოტანი არიან, ვისაც სიცრუეც ძულთ და ის ვაი-წმინდანებიც, ამ სიცრუის უკვდავყოფას რომ ცდილობენ. ასეთი ადამიანი პორნოგრაფიასაც და უხამსობასაც არაორდინარულად აფასებენ. დაუსრულებლად ადამიანებს უმანკო სიწმინდითა და ფარული უხამსობითაც ვერ გააბრიყვებ. და ამ, ჯერ კიდევ მცირერიცხოვან პუბლიკას, შესანიშნავად ესმის, რომ ბევრი თანამედროვე, დიდი თუ პატარა მწერლის წიგნებში გაცილებით მეტი პორნოგრაფია შეინიშნება, ვიდრე „დეკამერონის“ ხალისიან ისტორიებში. ეს შეთითხნილი ფარული უხამსობა ხომ სადმე მოფარებულ კუთხეში მასტურბაციისკენ გიბიძგებს, რასაც ჯანმრთელი ბოკაჩო არასოდეს დაუშვებდა. ამ მცირერიცხოვან პუბლიკას შესანიშნავად ესმის, რომ ბერძნული ვაზის ყველაზე უშვერი გამოსახულებაც კი — „ოჰ, დუმილის მკაცრო დედოფალო!“ (ჯონ კიტსი — „ოდა ბერძნულ ვაზს“) — ისე პორნოგრაფიული არაა, როგორც ფილმებში მსხვილი პლანით ნაჩვენები კოცნა, რადგან ეს კოცნა, ქალებსა და მამაკაცებს იდუმალი და მარტოხელა მასტურბაციისკენ უბიძგებს.

ადრე თუ გვიან, ალბათ, მთელი საზოგადოება მოინდომებს სიმართლეს თვალებში ჩახედოს და შეამჩნიოს, რა დიდი განსხვავებაა დღევანდელი პრესის, კინემატოგრაფის და პოპულარული ლიტერატურის მასტურბირებულ საიდუმლო ჭინთვებსა და იმ ძველი, შემქმნელის ენერგით აღსავსე სექსუალური



სწრაფვის გამოსახულებებს შორის ბოკაჩოსთან, ბერძნულ ვაზებზე ან თუნდაც პომპეუსის ხელოვნებაში რომ ვხედავთ და ასე აუცილებელია ჩვენი სულიერი დაკმაყოფილებისთვის.

დღეს საზოგადოებრივი ცნობიერება დაბნეულია და ლამის იდიოტიზმამდეა მიყვანილი. როცა ჩემს გამოფენას თავს პოლიცია დაესხა, პრინციპში წარმოდგენა არ ჰქონდა, რისი კონფისკაციისთვის მოვიდა. ამიტომ წაიღეს ყველა სურათი, სადაც ქალის ან მამაკაცის სასქესო ორგანოს თუნდაც მინიშნება იგრძნობოდა. რა სიუჟეტი ჰქონდა სურათს, ან რა აზრი იდო მასში, ფეხებზედაც არ ეკიდათ. ეს მკაცრი პოლიციელები ყველაფრის გამოფენის უფლებას მოგვცემდნენ, ოღონდ ადამიანის სასირცხვო ორგანოების ნასახიც არ უნდა ყოფილიყო. დიახ, ეს საპოლიციო შემოწმება გახლდათ. „საზოგადოებრივი აზრის“ მოსათაფლად კი საკმარისი იქნებოდა ეს ადგილები ლეღვის ფოთოლს დამსგავსებული მწვანე იარლიყებით დაგვეფარა...

თარგმნა
მანანა მიქელაძემ.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ 335.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 336, კვირა, 14 დეკემბერი, 2003 წელი.

ეპისტოლე

ოტია იოსელიანი

# წერილები დაჩის

## ცხოვრების გზის თაობაზე

ბატონო დაჩი!

ახლა, ჩვენ, გზის არჩევის თაობაზე მოსაუბრება გვინდა.

რა თქმა უნდა, რამდენი ადამიანია, იმდენი გზაა, მაგრამ თუ მთლად უკიდურესობაში ჩავცვივდებით, აქედან შეიძლება ორ მთავართან შევჩერდეთ. გზა — „კაი ცხოვრებისა“, „კაი პურის ჭამისა“, „რასაც შეჭამ, ის შეგრჩება!“ „სახლი თუ გეწვება, ზედ ხელი მოითბე“... და მეორე — შრომისა, ტანჯვისა, ღვაწლისა — „უნდა დაიწვე, რომ გაანათო“-სი.

არის, კიდევ, მესამე — ამათ შუა უთავბოლო ბორძიკი.

ჰოდა, რას აპირებ, ახლა შენ? გაფორმდები სამსახურში „მონტიორად“, მიეყუდები ბოძს, არ გაათბობ არაფერს, ხალხი ბნელში იქნება და შენ ჩაიჯიბავ (არა აქვს მნიშვნელობა, რამდენი იქნება) ფულებს, თუ ჩაიცვამ რკინის ჩანგლებიან ქალამნებს, აჰყვები ბოძს, გაიკუპრები, გაეკვრები ზედ, ქვეყანას გაანათებ, რომ შენი წვალების, ჯახირის ნაწილი კი არა, ვერც ვერაფერი მიიღო? და ვაჟა-ფშაველასავით იტყვი: „მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შეწუხებული“-ო?

ა, ბატონო, ერთიცა და მეორეც. ამათ შუა რაიმეს ძებნა ბნელში ხელის ცეცებით თვალაცრემლებული ბოდიალია — იქნებ, სასწაულით სინათლეს გადავეყარო და გზა გავინათოო. მაგრამ სანთელს ვინც ჩამოქნის, ინთებს კიდეც. ასე, გზა-შარად კი არ ჰყრის — ვინმე ხელჩაქნეულმა, უმაქნისმა აინთოს და აბრიალოსო (ეს სანთელი ერთის მეტი არ მზადდება).

შენ ძალიან კარგი ჭკუის სასწავლებელი მაგალითი გიდევს წინ (რა თქმა უნდა, თუ ჭკუა გაქვს). ერთი, შენი ძალიან კარგი ახლობელი, პირველ გზას დაადგა, მეორე ამ ორ გზას შუა დაიკარგა ბნელში.

ახლა ჯერი შენზეა.

კანონზომიერება ან ხვედრი არაა ეს. მე რომ მკითხო, მოდგმით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენ მეორე გზის გარდა გზა არ გაგვაჩნდა. და თუ ის მოხდა, რაც არ უნდა მომხდარიყო, ეს არც იმას ნიშნავს (რაკი სამართალი არ ყოფილა) შენც იმ პირველ გზას არ დაადგე, ან უგზო-უკვლოდ არ დაიკარგო, როცა ამის სამწუხარო მაგალითი ხელთა გვაქვს. ესაა, რომ სინდისზე დაგვჭირდება ხელის აღება და გაუზნეოება. მერე ყველაფერი იოლია, რასაც იშოვი, შენი იქნება თუ სხვისი — შეჭამ. ჭამა იქნება მიზანი, სწრაფვა და მიღწევა. გაძღები — ბედნიერი იქნები, მოგშივდება... მაგრამ, თუ არაფერს გაუშვებ შეუჭმელს, რა ქვა ჩაგასკდება, როგორღაც მუცელს როგორ ვერ ამოიყორავ?!

ამ ულმობელ მეორე გზაზე არავითარი ამისთანა „მომხიბვლელი“, „სასვებედნიერო“ არ ჩანს — სულ შრომა, დაღლა, დაქანცვა, წვალება, წამება და გოლგოთა...

რასაკვირველია, ცდუნება დიდია...

პირველ გზაზე ტვინის განძრევა სულ არ გინდა (შეგიძლია იგი ისე ხელუხლებლად ჩაიტანო, ასი წლის მერეც, სამარეში, ვითომც არ გქონია). პირთან დუმის მიტანას რა სიბრძნე უნდა. ისე მოიძუძგნი პირს ქონით, მაძღარსაც კი ნერწყვი მოუვა. ხელის განძრევა... რამდენადაც სინდისი უნდა გამოირეცხო, ამდენად დაგჭირდება... თუმცა, ჭკუას რამდენად არ შეაწუხებ, სინდისიც ამდენად დუნდება და ზნეობასთან ერთად კვდება. კვდება და გზამრუდი კაცი მაშინ იბადება და არნახული სისწრაფით მიექანება და ეფლობა ჭენჭყოსა და წუმპეში. იძირება და ნაძირალდება.

არ იფიქრო, იმ თითო-ოროლა, მეორე გზაზე ფეხმისობილ გზამართლის გარდა ვინმე ქვას მესვრისო. მაძღარი კაცის ეშინიათ: ეს ისეთ მადაზეა, ჩვენც არ შეგვჭამოსო. მასზე იტყვიან: „ვენაცვალე, ცხოვრების შანსი აქვს“-ო. „კაცია, ჭამს პურს ქვეყანაზე“-ო; „მშიერ სიკვდილს მაძღარი სიკვდილი სჯობს“-ო. და თუ აღესრულა — „მოჭამა წუთისოფელი“-ო...

მშიერს, უპოვარს და მარხულს იქით უპირებენ შეჭმას, მარტო ხსნილში კი არა, მარხვაშიც.

მაგრამ საკითხავია — რომელი რომელს და რა რას სჯობს?

ის, ვისაც მუცელღმერთობა უჯობს (ძაღლი მიაკვდა სულში), დანაყრებულ-გასესილი უნდა მოკვდეს (თუ, საერთოდ, მკვდრად დაბადებული არ იყო). ჭამის მეტი თუ არაფერი უსწავლია და უკეთებია, ჭამა, რომ დაიბადა, ხომ იცოდა!

მაგრამ შიმშილით ძღომის ხელოვნებას ცოტა, ძალიან ცოტა, მაგრამ ვინმე ხომ უნდა ეზიაროს. ტანჯვაგვემით ბედნიერების მცნება და წვით ნათების მადლი ვინ აღმართოს, აღავლინოს და აცანათოს?

კარგი, ბატონო, გავძეხით. ჰო, შევჭამეთ ღორი, ძროხა, ცხენი, ზაქი, ავტომანქანა, სახლი, ავეჯი, ბროლის ჭაღი და ვეწიეთ საწადელს — მოვიპირეთ.



რა ვქნათ ახლა, ვართ აგერ დაგორებული, არ ეტევა მეტი ამ კრულ სტომაქში. არადა, ახლა სხვა გზა, სხვა სავალი აღარაა. მოუთმენლად ველოდებით მადის მოსვლას და ისევ ნოყივრად დანაყრებას. რაც ვიცოდით, ვქენით. მეტი, რაც არ ვიცით, რა ვქნათ? რისთვისაც მოწოდებული ვიყავით, აღვასრულეთ, მაგრამ რა გვქვია ასეთ კაცს? ან რაიმენაირი კაცი დაგვერქმევა?

ამ ორ გზას შორის მოღარღილე საშუალოა; მთვლემარე, მაგრამ მაინც სინდისი უნდა, თუმცა პატრონისთვისაც და სხვისთვისაც უსარგებლო, უნიათო, წყალ-ღვინო. არც თავისთვის უქნია ღმერთს და არც სხვისთვის. არაფერს აფუჭებს, მაგრამ არც აკეთებს. თავისთვის ლუკმას გაიხერხებს, თორემ ხელს ვერავის გაუმართავს.

რა ვქნათ ახლა, გვიშველის გზამრუდის ძღომა, სკდომა, სმა და გლარჯვა?

მავანი რისი მავანია თუ არ თქვა: იმ მეორე გზაზე, სულ თუ ვერასოდეს დავნაყრდით, შიმშილით როგორ გავძღეთ და წყურვილით რანაირად დავრწყულდეთო?

არა! პა-პა-პა-პა! გაძღომა კი არა, თუ საერთოდ შიმშილის გრძნობა გაგაჩნია, იქ ფეხს ვინ მიგადგმევინებს, ან რა გესაქმება. რატომ კარგავ ტყუილად დროს, მიადექი ეგერ სალაფავს და თქვლიფე.

არ გადაირიო, თუ საერთოდ იცი, რომ კუჭი გაქვს და თუნდაც მოკრძალებულად თავს გახსენებს, არ დაკარგო ჭკუა, მეორე გზისკენ არ გაიხედო. იმ მხარეზე გახედვითაც და თვალის შევლებითაც კი შებღალავ და შესცოდავ.

მავანი თავისსას არ დაიშლის?

— როგორც ადამიანი, სტომაქიც ხომ ღმერთმა გააჩინაო.

ა-პა-პა-პა! ღმერთი მაგისთანა ვერაგის გამჩენი იყო? ღმერთი ამისთანა ვერაგობას თავის გაჩენილს მუცელში ჩაუდებდა? როგორც ევა აცდუნა და მერე ადამი, თავიდან, როცა შემოქმედი ძერწავდა და ჯერ კიდევ ნედლი თიხისა იყო, ეშმაკი მიეპარა და კუჭი შეტენა, გარედან გაასწორა და სიჩქარეში, ღმერთმა არ მომისწროსო, პატარა ჭიპი დარჩა ამოუვსებელი.

ახლა არ ვიცი, ჩვენ როგორ მოვიქცეთ. გვიდევს მუცელში ეს, ყოვლად დაუნდობელი ვერაგობა — ფაშვი და ერთმანეთს გვაჭმევს.

ჩემთვის რომ ვინმეს ეკითხა, მე ყველა მეორე გზისთვის გაჩენილები მეგონეთ. ეს სული მინდოდა გდგმოდათ და გზამართალს გევლოთ. მაგრამ, როგორც ოდითგანვე ვიცით და ჩვენი თვალითაც ვხედავთ, ღვთის საქმეში ეშმაკი ორივე ხელს ურევს და რა ვიცი, რომ არ იმარჯვა.

ამიტომ, ამაზე შენ უნდა დაფიქრდე. უნდა შეამოწმო თავი. ასე, ერთი შეხედვით, მაგი, სარკეში რომ იყურო, კი არ ჩანს. ან სანდო კაცს სთხოვო: მოდი, ერთი თვალებში ჩამხედე, ხომ სუფთა მაქვსო. მთლად ამღვრეული, ან ჩასისხლიანებული თუ არა გაქვს, ვერ გეტყვის. სახეზე თუ მთლად ლაფი არა გაქვს მისხმული, სუფთა ეგონება. მაგას, ალბათ, სხვა საზომი დასჭირდება — შენივე თვალი, მაგრამ მესამე, ან მეორე წყვილი. ის თუ დაინახავს, მაგალითად, რომ შენ გიხარია ლორთქო ბალახის (მალე, საცაა წამოვა) ამოსვლა ისე, რომ მისი მოძოვა-მობალახება არ გინდა. ბალახი ძროხასაც უხარია.. თუ შენი სიხარული ძროხის სიხარული არაა, ამ გაზაფხულზე ატმები რომ გაყვავილდება — გეამება, მაგრამ მწიფე ნაყოფს დაინახავ თუ უნაზეს ფერებს? აი, დილის მზე რომ ამოდის (პირდაპირ შენს ფანჯარას ასკდება), ცრემლს მომადენსო და თვალს ხომ არ არიდებ? ჩვენი ხბო სხვის უფრო მშვენიერ ხბოზე ლამაზი ხომ არ გგონია? ნედლ ხეს რომ ჭრი, არ ფიქრობ, რომ სტკივა? ხეს თუ დარგავ იმისთვის, რომ ნაყოფი სხვისი იყოს? აქ ფუტკარიც კი არ გამოგადგება. იგი მშრომელია თავდაუზოგავად, მაგრამ თაფლს და ცვილს თავისთვის იმზადებს. აი, ფუტკარი რომ იყო, მაგრამ თაფლი ჩუმად სხვის სკაში მიგქონდეს და ასხამდე, შენი სახლი კი გადასაწვიმებლად და ღამის გასათევად გინდოდეს...

ესე იგი, შენ უნდა სცნო თავი შენი. მაგრამ ამას ორი თვალი და ორი ყური არ ეყოფა. ორი თვალის მეტი თუ არა გაქვს, ბრმა ყოფილხარ, ორი ყურის მეტი — ყრუ. თუ დედაშენის მეტი არავინ გიყვარს, ხბო ყოფილხარ, თუ შვილის მეტი არავინ გეყვარება — ძროხა. თუ ცოტნე დადიანობაზე და ილია ჭავჭავაძეობაზე არ ოცნებობ, იცოდე, სამშობლო არა გაქვს. დღეს კაცმა არ იცის, რას გააკეთებ, რას შეჰქმნი, მაგრამ მაინც იმით გაიზომები და შეფასდები — რა გინდოდა, რა გეწადა და რას ეცადე. მილიონის პატრონმა რომ ასი ათასი მოგცეს, იმას, მანეთის მქონემ რომ შუაზე გაგიყოს — მილიონჯერ ის გერჩიოს. მამაშენზე უფრო ზნესრული, შრომისმოყვარე და ხალხის ერთგული მიიჩნიე მამად, ვისგანაც მეტი ისწავლო, საყვარელ მასწავლებლად ის აღიარე. თავზე ხელი დაგისვას კი არა, ყური ვინც აგიწიოს, იმისი დაიჯერე; წყენინება იმასაც უსიამოვნებას ჰგვრის, ვინც გაწყენინა; ესიამოვნებინა — შენც გეამებოდა და იმასაც... ავადმყოფს ჰკითხე, რა გაწუხებს-თქო. რომელი „პროვიზორი“ მე ვარ, რომ ვუწამლოო და არ მიხედო, პირველ გზას ადგახარ. თუ მეორე გზას დაადგები, იცოდე, თვითონ შენა ხარ წამალი და მკურნალი. უგუნურს სულელი, უპოვარი და შეშლილიც კი უნდა ეგონო, ამიტომაა იგი რეგვენი. მწვერვალის თხემი რომ დაინახო და იქიდან გადმოხედო ქვეყანას, მწვერვალზე უნდა ახვიდე. შენამდე თუ ვინმე ამოვიდა, თქვენს შორის განსხვავება არაა, შენი ტოლი და სწორია. მარტოობის არ უნდა გეშინოდეს, მარტოობის დროს თავს ვერავისთან შეიქცევ და დროს არ დაკარგავ — სიბრძნეს ჩაწვდე. ბრბო გაგართობს, გაგალაღებს, ქვებს გასროლინებს. ბრბოს ვერ გაიყოლებ — თვითონ გაგიყოლებს, რაც მას უნდა, იმას ჩაგადენინებს, ან გადაგივლის და როგორც ლეკი ნაბადს, ისე გაგთელავს.

და, რაც მთავარია, დრო! პირდაპირ გულზე უნდა ჩამოიკიდო მსხვილი ჯაჭვით მძიმე აბრა, კისერს რომ გიწყლულებს და ყოველ წამს გახსენებს, რომ ყოველი დაკარგული წუთი გამოუსწორებელი დანაშაულია. კაცმა არ იცის, შენ რისთვის მოგავლინა ღმერთმა ამ ქვეყანაზე და საკმარისია დააგვიანო, რომ მატარებელმა გაგასწროს, რომელშიც შენი ადგილი იყო და რომლის საგზურითაც შენ დაიბადე.

დროის სუნთქვა

ნოდარ ხუნდაძე

### ნუ გადაიხდი!

2003 წელს კურორტ გაგრის ასი წლისთავი შესრულდა

ბჟუტავს სანთელი, — ჯერჯერობით მაინც არ ჩაქრა,
მკრთალად აშუქებს ჩაბუდებულს გულში იმედებს,
ნუ გადაიხდი ასი წლისთავს უჩვენოდ, გაგრა, —
მონატრული ვართ შენს ჯადოქრულ მინდვრებს და ქედებს.

ჰა, რახანია, სულს გიხუთავს სიბნელე შავი,
სურათი ერთობ მძიმე არის და გულსაკლავი,
ჩვენ ცრემლებსა ვღვრით, მტერი სარობს შენი სიავით, —
შენი შვილები წავიკიდეთ, ვერ დავდეთ ზავი.

რა ბევრი დაგვრჩა უპატრონოდ, შენთვის მოკლული!
ყოველ ცისმარე თავს გვახსენებს მათი აჩრდილი,
უსამართლობით დაჩაგრული გვიშფოთავს გული, —
ბოლოს მოგვიღებს სატიალო დარდი აშლილი.

მოვდივართ, მოგვაქვს უმძიმესი გოლგოთის ჯვარი, —
იშვიათია დღეს ჩვენს შორის სახემღიმარი.

### ხმალი აიღე!

დევნილი გვქვია, უფრო სწორად, ჩვენ ვართ ხიზნები,
ზოგი ჭონია, დალაქია თუ მებადური,
არ გვირევია უსაქმური ვინმე, დაბდური,
ყველა ჩვენგანს აქვს სანუკვარი მისთვის მიზნები.

შინ დაბრუნება უწმინდესი არის ოცნება,
თავისკენ გვიხმობს ზღვისპირული მთვარის ნათება,
დილის ნიავი, ჭორიკანა, მოგვენატრება, —
გვჯერა, ეს ლტოლვა არასოდეს წარისოცება.

ხელფეხშეკრულნი თვალთ ვაცეცებთ და გვწვავს ალმური,
არ გვხურებია, რახანია, თბილი საბანი,
გვესმის დამფრთხალი, უსუსური მტრების ბაბანი,
ახლა კვნესიან, რომ ირთობდნენ თავს სალამურით.

გეტყვი, ჭონი ხარ, დალაქი თუ ხარ მებადური, —
ხმალი აიღე და გადასდე გვერდზე ფანდური.

### გოლიათი

გოგი უშვერიძის მონატრება

შენ გიყვარდა შავი ზღვა, კოლხიდა და ღალიძგა,
გაგიცია სიკეთე უშქარი უშურველად,
სანაცვლოს არასოდეს იღებდი არავისგან,
გძულდა მხოლოდ უტეხი, ხელმრუდი და წურბელა.

მუდამ ალერსს აფრქვევდი ზრუნვით სავსე თვალებით,
დიდი ტრფიალი იყავ ამ მიწის და ამ ზეცის,
ეტყობა, სიყვარულში ვერ მოზომე ძალები,
გულმა ვეღარ გაუძლო, შუა გზაზე დაეცი.

რომ გიხსენებ კაცურ კაცს, ახლა მომეჩვენება, —
სანამ იყავი ცოცხალი, მტერს ადვილად ვჯაბნიდი,
შენი დევიზი იყო ალერსი და შენება,
ტკივილიც განგიცდია ხან პატარა, ხან დიდი.

შენთვის მცირეც კმაროდა სულის საზრდოდ ხმიადი,
ჭეშმარიტად იყავი ვაჟკაცი გოლიათი.

### ძეგლი

ოთარ მეტრეველს

მტრებმა დაგიგეს არაერთხელ ვაგლახად ხუნდი,
გაგშავებოდა, მათ უნდოდათ, ცარგვალი ლურჯი,
თუმც ვერ მოგტეხეს, ვერ დაგჯაბნეს კერპი და ურჩი,
უფალს დიდება, იმ ქვეყნიდან ორჯერ დაბრუნდი.

და ეზიარე კვლავ ცხოვრებას ფერადს და მშფოთვარს,
შენ უკვდავების ჩვენთვისა ხარ ცოცხალი ძეგლი,
ახალ თაობებს გაუნათებს სულს ანარეკლი,
რომ გააელვებს გზა შენს მიერ გავლილი, ოთარ.

სათქმელს კვლავ იტყვი, ბედისწერამ თუ დაგაცალა,
მტერი არ გყავდა, გმტრობდა მხოლოდ ბრმა და ხელმრუდი,
ტყვიაც კი თურმე ვაჟკაცის გულს ვერ კლავს, დავრწმუნდი,
მას სიყვარული მშობელ ქვეყნის უკარგავს ძალას.

ზღვისპირეთისკენ მივისწრაფით თავგამოდებით,
ძველ გაგრის პარკში კვლავ ყივიან ნეტავ გედები?!

### მიჭირს წარმოვიდგინო

გივი ძნელაძის გარდაცვალების გამო

შენგან არვინ ელოდა დანას, სამტროდ ალესილს,
გულში არ ჩაგიმარხავს წყენა ზომის იოტის,
თითქოს იყავ მკურნალი, — ტკივილს შემოგჩიოდი,
ნახევარ საუკუნეს მიამებდი ალერსით.

გყავდა ძმა უამრავი, გამორჩეულს კაცობით,
სიცოცხლეში ალილო ერთხელაც არ შეგშლია,
თუმც ებრძოდი საწუთროს, შხამიანს და ეშვიანს, —
შენ სიკეთით იყავი შეკრული და ნაქსოვი.

გარს იმედებს აფრქვევდი ჭაღარა, ვით მეინვარი,
შენ შეგეძლო მოძმისთვის ბოლო ლუკმის დათმობა,
ელოდი, ვერ მოესწარ ტაროსსა და დათბობას,
შენი იყო მამული იარა, სატკივარი.

მიჭირს, წარმოვიდგინო შემზარავი სურათი...
ახლა ცრემლად იღვრება კოხნარი და ბურნათი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ახალი ტექნოლოგიები

**ეს რომ ასეა, ამაში დარწმუნება ძნელი არ გახლავთ, უბრალოდ, მათ საქმიანობას უნდა დააკვირდე და დაიჯერებ, რომ უხელფასოდ სიცივეში ობსერვატორიაში ღამეების ტეხვა და ასეთ ვითარებაში ციურ მოვლენებზე დაკვირვება, მართლაც ფანატიკოსებს ხელეწიფებათ.**





# ქართველი ასტრონომები თავიანთი საქმის ფანატიკოსები არიან

მეცნიერება, როგორც თავად მეცნიერები აღიარებენ, ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებააო, ჰოდა ქართველ ასტრონომებს გაზრდილი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების უნიკალური შესაძლებლობა ეძლევათ. ამ დღეებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ობსერვატორიამ ევროპელი კოლეგების მეოხებით სუპერთანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობა მიიღო, რომელიც ქართველ ასტრონომებს მსოფლიო პროექტებში ჩართვისა და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისა თუ დარგის განვითარების შესანიშნავ პირობებს შეუქმნის.

ვიდრე ქართველ მეცნიერებთან ამ ტექნოლოგიების მუშაობის პრინციპსა და მნიშვნელობაზე ვისაუბრებდე, ვიტყვი, რომ აბასთუმნის ობსერვატორია, მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში დიდი ქართველი მოღვაწის ევგენი ხარაძის თაოსნობით შეიქმნა და სამყაროს შემეცნების საქმეში საერთაშორისო მასშტაბით დიდი წვლილი შეიტანა.

დღეს თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ქართული ასტრონომიული სკოლა მსოფლიოში ანგარიშგასაწევ სამეცნიერო ძალად ითვლება. სწორედ ამის გამოძახილი გახლავთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და მათემატიკის განყოფილებასა და ირლანდიის სამ სამეცნიერო დაწესებულებას — დანსინკის ობსერვატორია, დუბლინის პერსპექტიული კვლევის ცენტრი, კორკის ტექნოლოგიური ინსტიტუტი — შორის თანამშრომლობა.

ამ მრავალწლიანი თანამშრომლობის საფუძველზე აბასთუმნის ობსერვატორიის გარეგალაქტიკურ გამოკვლევათა განყოფილებას ირლანდიის მხარემ არასტაციონარული გარეგალაქტიკური ობიექტების შესასწავლად და ერთობლივი კვლევების ჩასატარებლად CCD კამერა, ფილტრების პროგრამულად ამძრავი მოწყობილობა (ფილტრებითურთ) და კომპიუტერი გადასცა. ხელსაწყოს მიღების ისტორია, როგორც აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე იხსენებს, 1997 წელს იწყება, როცა ობსერვატორიაში მისი დირექტორობის პერიოდში ქართველ ასტრონომთა ჯგუფმა გალაქტიკებზე მიმდინარე აქტიური პროცესების შესწავლა დაიწყო.


ფილტრების პროგრამულად ამძრავი მოწყობილობა — CCD კამერა.

— ამ პროგრამის სულისჩამდგმელი, — ამბობს ბატონი ჯუმბერი — ობსერვატორიის წამყვანი სპეციალისტი ომარ კურტანიძე გახლდათ. აბასთუმნის გარეგალაქტიკური ჯგუფი თანამშრომლობს აშშ-ის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის, ესპანეთის, ირლანდიის, ინგლისის და ჩინეთის სამეცნიერო ცენტრებთან.

თანამედროვე ხელსაწყოს აბასთუმნის ობსერვატორიისათვის გადმოცემა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ გარეგალაქტიკური განყოფილების შექმნის ინიციატორს ომარ კურტანიძეს CCD მიმღებით დაკვირვების დიდი გამოცდილება აქვს.

ეს ტექნოლოგია აბასთუმნის ობსერვატორიას ისეთ საერთაშორისო პროგრამაში ჩართვის საშუალებას აძლევს, როგორიც არის ENIGMA. პროექტში, რომელიც ევროკავშირის ეგიდით ხორციელდება, ევროპის ქვეყნების გარდა, ასოცირებულ წევრებად აშშ და იაპონიაც არის გაერთიანებული.

თვალსაჩინოებისათვის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ასტრონომებისთვის და ობსერვატორიისთვის ასეთ ტექნოლოგიებს, ვიტყვი, რომ დღეს სამყაროს შესწავლა დედამიწაზე განლაგებული ტელესკოპების გარდა, კოსმოსიდან, დედამიწიდან 200-300 კილომეტრით დაშორებულ ხელოვნურ თანამგზავრზე დადგმული ტელესკოპიდანაც ხორციელდება. მათი ეფექტურობა დედამიწის უდიდესი ტელესკოპების ეფექტურობას რამდენიმე ათეულჯერ აჭარბებს. სწორედ ამგვარი ეფექტი აქვს იმ მოწყობილობებს, რომელიც ამ დღეებში ფრანკფურტიდან თბილისში ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზებმა“ ჩამოიტანა.

ეს ახალი ტექნოლოგიის მუხტკაშვირიანი ხელსაწყო, რომლის მთლიანი კომპლექტი 23 ათას დოლარზე მეტი ღირს, აბასთუმნის ობსერვატორიას უფასოდ გადაეცა იმ ერთობლივი კვლევებისათვის, რომელსაც ქართველი და უცხოელი ასტრონომები გარეგალაქტიკებში მიმდინარე აქტიური პროცესების შესწავლას ერთიანი პროგრამით ახორციელებენ.

აბასთუმნის ობსერვატორიას, რომელსაც ესოდენ დახმარებას უწევენ უცხოელები და ამ დონის პროექტების განხორციელებაში შეუძლია


ჯუმბერ ლომინაძე.

მონაწილეობის მიღება, ელემენტარული სატელეფონო კავშირის დამყარება არ უნდა უჭირდეს გარესამყაროსთან, დღეს ამაზე საუბარი უხერხულიც კია.

არადა, როგორც ქართველი ასტრონომები აღნიშნავენ, აბასთუმნის ობსერვატორია ასეთი ტექნოლოგიებით კიდევ უფრო მეტ საერთაშორისო აღიარებას მოიპოვებს, ამიტომ როგორც ობსერვატორიას, ისე იქ მომუშავე სპეციალისტებს, მეტი ყურადღების მიქცევა სჭირდებათ.

**შოთა მაჭარაშვილი.**

## განცხადება

**სააქციო საზოგადოება „აისბერგის“ გაკოტრების მმართველი ზ. კაკუშაძე აცხადებს, რომ აუქციონის წესით იყიდება ვალაუვალი მოვალის სს „აისბერგის“ ქონება მდებარე ქ. თბილისში, ფონიჭალა, სს „აისბერგი“.**

**აუქციონი ჩატარდება 2003 წლის 17 დეკემბერს დღის 11 საათზე. მისამართი: ქ. თბილისი, ფონიჭალა, სს „აისბერგი“.**

**გასაყიდად გამოტანილი იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი ქონება შემდეგი ფასებით:**

**1. ნაყინის საამქრო — 34 828 ლარი;**

**2. ხორცისა და ცხიმის გადამუშავების საამქრო — 7 971 ლარი;**

**3. სამაცივრო-სასაწყობო მეურნეობა — 42 329;**

**4. საკომპრესორო-მექანიკური საამქრო — 29 983 ლარი;**

**5. თბოენერგოსამსახური და გადამცემი მოწყობილობები — 25 320,50 ლარი;**

**6. სატრანსპორტო მეურნეობა — 3 765 ლარი;**

**7. ადმინისტრაციული და დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობანი მანქანადანადგარებით — 309 845 ლარი.**

**აუქციონზე ქონების შემძენს ევალება აუქციონის დაწყებამდე წარმოადგინოს წერილობითი განაცხადი და გადაიხადოს „ბე“ ქონების საწყისი ფასის 10 პროცენტის ოდენობით, ხოლო დანარჩენ თანხას გადაიხდის მომდევნო 5 დღის ვადაში.**

**დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება მისამართზე: ქ. თბილისი, ფონიჭალა, სს „აისბერგი“.**

**გაკოტრების მმართველი ზ. კაკუშაძე.**

## ნაშრომი გამომცემელს ელის

# ფერადი ლითონების მეტალურგია, რომელიც ყველას დაავიწყდა

## ეს წერილი რედაქციამ ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიიღო

ფერადი მეტალურგია — ფერადი ლითონების წარმოება უძველესი პროფესიაა, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანი ფლობდა. ამ პროფესიის განვითარება უკავშირდებოდა ღმერთის მიერ ნაბოძებ სიმდიდრეს — ფერადი ლითონების მრავალფეროვან სიმდიდრეს ქვეყნის წიაღში.

საბჭოთა წყობის პერიოდში საქართველოს ფერადი მეტალურგია, სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მეტალურგიასათან შედარებით გაცილებით მაღალ დონეზე იდგა. ორი, საკმაოდ დიდი სპილენძის ქარხანა მუშაობდა ადგილობრივ ნედლეულზე.

სამწუხაროდ, ეს ქარხნები ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე აღარ არის. ჩაკვდა და დავიწყებას მიეცა ეს პროფესია საქართველოში.

სამაგიეროდ, 1930-იან წლებში სვანეთსა და რაჭაში, ახლად აღმოჩენილი დარიშხანის საბადოების ბაზაზე აშენდა ქარხნები, სადაც პრიმიტიული და საშიში მომწამლავი ტექნოლოგიით აწარმოებდნენ დარიშხანის ძლიერ ტოქსიკურ ნაერთს — დარიშხანის ოქსიდს — თეთრ დარიშხანს. იგი შხამიანი ქიმიკატების წარმოებასა და სამხედრო საქმეში გამოიყენებოდა, და წამლავდა საქართველოს ამ უმშვენიერეს კუთხეებს: იღუპებოდა ფლორა და ფაუნა, ავადდებოდნენ ადამიანები. რუსთავში მეტალურგიული ქარხნის ამუშავებით საქართველოში დაიწყო შავი მეტალურგიის განვითარება, უმაღლეს სასწავლებელში გაიხსნა შავი მეტალურგიის ფაკულტეტი, შეიქმნა მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტი, გამოიცა სახელმძღვანელოები... ფერადი მეტალურგია კი უფრო და უფრო დაიჩრდილა.

მხოლოდ 1960-იან წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში გაიხსნა მცირერიცხოვანი თანამშრომლებისგან შემდგარი ფერადი ლითონების ლაბორატორია, სადაც მე და ჩემი მეუღლე ვმუშაობდით. აქ ფუნდამენტური კვლევების საფუძველზე დამუშავდა სვანეთისა და რაჭის დარიშხანის მადნებიდან ლითონური დარიშხანის მიღების უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიები. სვანეთში (ცანაში) შეწყდა მომწამლავი ტექნოლოგიის გამოყენება და ჩვენს მიერ დამუშავებული ტექნოლოგია დაინერგა. დამუშავდა მადნეულის (კაზრეთის) სპილენძის მადნების მეტალურგიული გადამუშავების ნარჩენებიდან დარიშხანის განდევნისა და ძვირფასი ლითონების ამოღების ტექნოლოგია და სხვა მრავალი სიახლე.

1990-იანი წლების დასაწყისში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, როგორც იქნა, შეიქმნა ფერადი მეტალურგიის ჯგუფი. მაგრამ თავი ვერ დაადგეს ქარხნის მშენებლობას. საქმეში ჩაერთვნენ შავი მეტალურგიის სპეციალისტები, ქიმიკოსები, გეოლოგები, სამთო საქმის სპეციალისტები. და როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე ამ დროს, სიტუაცია აირია. ყველა თავის წინადადებას იცავდა. ზუსტად ამ დროს ამერიკის შეერთებული შტატებიდან მაცნობეს, რომ ჩემი ვაჟიშვილი მძიმედ არის ავად. მე და ჩემი მეუღლე დაუყოვნებლივ გავემგზავრეთ. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ვაჟიშვილი გამოჯანმრთელდა, მაგრამ დიდ ავტოავარიაში მოხვდა და კიდევ ექვსი თვით ლოგინს მიეჯაჭვა. ჩემმა მეუღლემ ველარ გაუძლო ასეთ დაძაბულობას, და, ალბათ, ნერვიულობის ნიადაგზე განუკურნავი სენი შეეყარა. ხუთი წელი მკურნალობდა. საქართველოში ველარ დავბრუნდით.

ამასობაში ფერადი ლითონების ლაბორატორია მეტალურგიის ინსტიტუტში დაიხურა (ვერ მოინახა სპეციალისტი, რომელიც ლაბორატორიას გაუძღვებოდა). მაშინ მე და ჩემმა ცოლმა გიულიმ (მისი წინადადებით) დავიწყეთ წიგნის წერა ფერადი მეტალურგიის საკითხებზე. გიული ხელით წერდა. და როცა შრომა დასასრულს მიუახლოვდა, გაურთულდა ავადმყოფობა და ტრაგედია გარდუვალი გახდა, იგი გარდაიცვალა.

მისი ნაშრომი დარჩა.

თუ ამ ნაშრომს გამოცემა ეღირსა, მჯერა, რომ ეს პირველი ქართული წიგნი ამ დარგში ხელს შეუწყობს ადგილობრივი წიაღისეული ნედლეულის ბაზაზე ფერადი ლითონების წარმოების აღდგენასა და განვითარებას, ფერადი მეტალურგიის აღორძინებას ჩვენს ქვეყანაში. ვითვალისწინებ ამ ნაშრომის სპეციფიკას და ამიტომ ფართო მკითხველს ძალიან მოკლედ მივაწვდი ინფორმაციას ამ წიგნის შესახებ.

თავდაპირველად მოკლედ არის განხილული მეტალურგიული პროცესები, რომლებიც, ძირითადი მეტალურგიული გადამუშავების წინ, წიაღისეული ნედლეულის — მადნის წინასწარ მომზადებას ითვალისწინებს.

შემდეგ ახსნილია თითქმის ყველა პროცესის არსი, რომლებიც საწარმოთა პრაქტიკაში გამოიყენება ფერადი ლითონების ნედლეულის გადამუშავებასა და მათ რაფინირებაში (გასუფთავებაში). განხილულია ნედლეულიდან ლითონის ამოღების მაღალ და დაბალტემპერატურული ჰიდრომეტალურგიული, ნედლეულიდან ლითონის ამოღების ელექტროლიტური, რაფინირების პროცესები, რომლებიც კომერციული ლითონური პროდუქტების მიღებას უზრუნველყოფს.

ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება ფერადი ლითონების წარმოებას, ამ დარგში გამოყენებულ თითქმის ყველა მეტალურგიულ პროცესს.

ნაშრომში განხილულია გარემოს დაცვის პრობლემები. აღწერილია მეტალურგიული წარმოების ნარჩენების შეკრების, განცალკევებისა და გაუვნებლობის მეთოდები და დანადგარ-მოწყობილობები.

დამატებაში, რომელიც ნაშრომს ერთვის, შეკრებილია ელემენტების თვისებები და ზოგიერთი ლითონის ხარისხობრივი სტანდარტები, ლიტერატურის საკმაოდ გრძელი სია.

**ვასილ (დათო) რცხილაძე,**
ტორინგტონი, კონექტიკუტი, აშშ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ორშაბათი
### 15 დეკემბერი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ახალი თოვლის ბაბუა" 10.10 დოკ. სერიალი "ბუნების სამყარო" 10.25 სერიალი **"ფორსაიტების საგა"** 11.40 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი **"სოლედადი"** 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. ფილმი "ბრიუგე" 15.15 მხ. ფილმი **"გონებრივი შემოტევა"** 16.50 დოკ. სერიალი "ორიენტირი" მე-5ს. 17.15 რამპა 17.20 50-50 18.00 ვესტნიკი 18.20 ტელესერიალი **"სოლედადი"** 19.15 მრავალჟამიერ 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 "იმღერე რამე" 21.35 კრიმინალური ქრონიკა 22.00 "სტუმრად მსახიობთა სტუდიაში" 22.30 რა ხდება 00.00 მხ. ფილმი **"ბედის შემოქმედი"**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.30 კინოსეანსი **"საუკეთესო საუკეთესოთა შორის-1"** 21.00 ვმესტე 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.10 მხ. ფილმი **"მარტენ გერის დაბრუნება"**

07.00 დილა მშვიდობისა 07.10 სერიალი "ჯადოქარი" 09.40 სერიალი **"ასულ ტეკილა"** 10.20 დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" 11.00 ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"სასტიკი ანგელოზი"** 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.30 სერიალი **"ასულ ტეკილა"** 17.30 სერიალი "ჯადოქარი" 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 18.20 სერიალი "ჯადოქარი" 19.00 ბუნდეს ლიგა 19.45 სერიალი **"სასტიკი ანგელოზი"** 22.00 სერიალი **"ჯაშუში"** 22.50 ღამის კურიერი 00.10 მხ. ფილმი **"მე სემი ვარ"**. მთ. რ-ში: შონ პენი, მიშელ პფაიფერი.

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა 08.30 მხ. ფილმი **"ვანდომის მოედანი"** 10.20 მხ. ფილმი **"ჰუსარი სახურავზე"** 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.10, 17.30 მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" 13.30 დოკ. ფილმი 14.10 დოკ. ფილმი 18.00, 20.00 დოკ. ფილმი 19.45 მუსიკა 20.00 ბურთი და მოედანი 21.00 სერიალი **"ლიცეუმი"** 22.15, 23.00 დიალოგი 23.45 მხ. ფილმი **"ბუდუ"**

07.00, 10.00, 11.00, 12.00 ქრონიკა 07.15, 11.25, 13.15, 17.20, 01.20 იმედის მელოდიები 07.45 "იმედის"დილა 10.05 დროება 12.10 სერიალი **"კლონი"** 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 ქრონიკა 13.30 სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** 14.05 სერიალი **"კლონი"** 15.15 მხ. ფილმი **"შემოდგომა ნიუ-იორკში"** 17.25 X -კლუზივი 18.05 სერიალი **"სიყვარული უდაბნოში"** 19.00, 21.00, 22.00, 00.10 ქრონიკა 19.30 სერიალი **"კლონი"** 30-ე ს. 20.30 "არჩევანი თქვენ" 21.30 სპორტ. პროგრამა "გოლი" 22.50 მხ. ფილმი **"შვიდი მოხუცი და ერთი გოგონა"** 00.25 სპ. პროგრამა "გოლი სერია **"ა"**

09.00 საინფ. გამოშვება "მზერა" (გან) 10.00 სერიალი **"მარია ემილია"** 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი "ჯადოსნური ტყე" 19.00 სერიალი **"მარია ემილია"** 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 20.45 მხ. ფილმი **"დაჩაგრულები"** 22.45 საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" 23.45 მხ. ფილმი **"მთიელი"**

12.00 ინდური მხ. ფილმი " **მზიური დინასტია"** 15.00 მხ. ფილმი **"მახე"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ.ფილმი **"ამერიკული ნამცხვარი 2"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"სიმართლე კატებსა და ძაღლებზე"** 22.30 "საქმე და ეკონომიკა"

10.30, 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 ვარსკვლავები გვამცნობენ 13.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 14.00, 21.30 სერიალი **"ყავახანა"** 14.15 დოკ. ფილმი 14.30 მუსიკალური კოლაჟი 19.30 ექსტრაორდინალური 21.00 სპორტის სამყარო 21.00 პირველი ნაბიჯები 22.00 ინდური მხ. ფილმი **"ვიწვი სიყვარულისგან"**

08.00 მუსიკა 09.00 ტოროლა 12.00 ფილმი 14.00 მუსიკა 16.00 ფილმი **"მოასწრო შუაღამემდე"** მთ.რ-ში: რობერტ დე ნირო, ჩარლზ გროდინი. 18.00, 19.15 ქართული მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 20.50 ათი ლექსი 21.15 უცხოური მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 აბა გამოიცანი კადრი 00.00 "ბრავო" **"უცხო რიგში"** მთ.რ-ში ბენ აფლეკი, სამუელ ლ.ჯექსონი. 01.40 "ღამურა" მხ. ფილმი **"ილუზიები"**. 03.00 პაუზის გარეშე

08.00 პროგრამა **"დილა"** 10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 10.10 ანონსი 10.15, 13.15, 14.15, 17.50, 20.15 მუსიკა 10.30 რუს. სერიალი **"დეტექტივ დუბროვსკის დოსიე"** 11.20 მულტფილმი "სამი მუშკეტერი" 12.15 დოკ. სერიალი "ქალაქი ლუვრი - უდიდესი მუზეუმები" 13.40 "ბელისიმო" - თეთრი ღამეები 14.50 "მსოფლიო ფეხბურთი" 15.20 მხ. ფილმი **"ამორძალები და გლადიატორები"** 17.00 მხ. სერიალი **"სამოდელო სკოლა"** 18.00 მულტსერიალი "სიმბა, მეფე ლომი" 18.30 სერიალი **"პატარა აინშტაინები"** 19.00 სერიალი **"სირინოზები"** 20.00 დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" მე-5ნ. 21.15 სერიალი **"მოჯადოება"** 22.15 "ღამის მატარებელი". 00.30 მხ.ფილმი **"ტალღის ქიმზე"**

## სამშაბათი
### 16 დეკემბერი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ახალი თოვლის ბაბუა" 10.10 მხ. ფილმი **"ბედის შემოქმედი"** 11.50 კრიმინალური ქრონიკა 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი **"სოლედადი"** 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ლერერის შოუ 15.15 ქართ. მხ. ფილმი **"ანგელოზის გადაფრენა"** 16.45 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" 17.00 პალიტრა 17.30 საქართველო და გარე სამყარო 18.00 ვესტნიკი 18.20 ტელესერიალი **"სოლედადი"** 19.15 და არს მუსიკა 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.35 კრიმინალური ქრონიკა 21.45 ჩვენი ფეხბურთი 22.30 რა ხდება 00.00 მხ. ფილმი **"ქალიშვილები-დედები"**

